ბავშვთა უფლებები

N2. 2024

განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო

სსიპ მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

ბავშვთა უფლებები
N2. 2024

გამომცემელი –
მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრი

სარედაქციო კოლეგია

დავით სიმონია
იურიდიული დახმარების სამსახურის
დირექტორი

ნათია ალიაშვილი
არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

მორის ბარამია
განრიდებისა და მედიაციის
დეპარტამენტისუფროსი

ნინო ტყეშელაშვილი
მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა
რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის
დეპარტამენტის უფროსი

მთავარი რედაქტორი
ანი კუდუხაშვილი

კორექტორი
მაია წიკლაური

დიზაინერი
მარიამ ელიზბარაშვილი

ფოტოგრაფი
გელა ბედიანაშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია:
ტელ.: +995 (32) 2 200 220
ელ.ფოსტა: info@tpdc.ge

მისამართი:
თბილისი, ზ.ანჯაფარიძის I შესახვევი, N6

ISSN 2720-8621

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში
გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება,
შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების ეროვნული
ცენტრისა და ჟურნალის რედკოლეგიის
შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში
დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე
პასუხისმგებელია სტატიის ავტორი

WWW.TPDC.GE

სარჩევი

01 **რედაქტორის სვეტი** 4

02 **ნინო წილოსანი**
ინტერვიუ 5

03 **ლია მიგაური**
ეთნიკური უმცირესობების განათლების
უფლების რეალიზება სამოქალაქო
ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის
კონტექსტში 7

04 **დავით სიმონია**
ინტერვიუ 15

05 **თეა გალახვარიძე**
ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე
სახელმწიფოში არსებული სამართლებრივი
მექანიზმები 19

06 **დეკანოზი ლევან მათეშვილი**
ქრისტიანობა და ბავშვთა უფლებები 26

07 **მარიამ ალანია**
მედიის მოხმარება, აგრესია და ძალადობა
ბავშვებსა და მოზარდებში 30

08 **ხატია ხატიაშვილი**
COVID-19-ის გავლენა ბავშვთა უფლებებზე,
განათლებასა და ჯანმრთელობაზე 34

09 **ლალი ეუაშვილი**
ბავშვი, როგორც სამართალსუბიექტი - რა
უნდა ვიცოდეთ? 40

10 **ლანა მინდიაშვილი**
ბავშვის საკუთრებაში არსებული უძრავი
ქონების განკარგვის თავისებურებანი 44

11 **მარიამ მოგინაშვილი**
ადრეული და სკოლამდელი განათლების
მნიშვნელობა ჯანმრთელობის გრძელვადიანი
შედეგებისთვის 48

ანი კუდუხაშვილი

მთავარი რედაქტორი
არაფორმალური განათლების პროგრამის მენეჯერი

ძვირფასო მკითხველო,

ყოველთვის ვცდილობთ, თქვენთან შეხვედრა ორმხრივად საინტერესო და მნიშვნელოვანი იყოს. ამჟამადაც გვსურს, განსაკუთრებული გამოცემა წარმოგიდგინოთ, რომელიც სრულად ეძღვნება ბავშვთა უფლებებს. აქვე ვიტყვით, რომ ჩვენი პლატფორმა ორიენტირებული არ არის ამ უფლებების მხოლოდ კრიტიკულ გააზრებაზე; ის იძლევა ახალი, სფეროს წინსვლისკენ მიმართული იდეებისა და ინიციატივების გასაჯაროების საშუალებას.

ბავშვთა უფლებები – ეს ის პრინციპებია, რომლებიც თითოეული ბავშვის სიცოცხლეს, განათლებას, ჯანმრთელობას და კეთილდღეობას უნდა უზრუნველყოფდეს. მიუხედავად იმისა, რომ XXI საუკუნეში მივაღწიეთ საგრძნობ პროგრესს ამ მიმართულებით, ჯერ კიდევ არსებობს მრავალი პრობლემა, რომლებიც ბავშვების მიმართ უსამართლობასა და ძალადობას უკავშირდება. სწორედ ამ გამოწვევებთან ბრძოლისა და უკეთესი მომავლის შექმნისათვის არის საჭირო ცვლილებები, განათლება და ფართო საზოგადოებრივი შეთანხმება. ჩვენი ამოცანა არის არა მხოლოდ ინფორმირება, არამედ იმ ცნობიერების ამაღლებაც, რომელიც სასკოლო საზოგადოებაში, და არა მარტო, გააძლიერებს ბავშვთა უფლებების დაცვის მნიშვნელობას და დაეხმარება ყველას – როგორც მოქალაქეებს, ისე სპეციალისტებს.

ჩვენი ჟურნალი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა: ბავშვთა უფლებების დაცვის გლობალური და ადგილობრივი პრაქტიკები, მათი საარსებო კონტექსტი, განათლების ხელმისაწვდომობა, სოციალური უსაფრთხოება და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა.

ბავშვთა უფლებების ხელშეწყობა არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ თითოეული ჩვენგანის პასუხისმგებლობაცაა. სწორედ ამიტომ ვსაუბრობთ არა მხოლოდ კანონებზე და ინიციატივებზე, არამედ იმ აქტივობებზეც, რომლებიც საზოგადოებაში ბავშვების მიმართ უფრო გონივრულ და სწორ დამოკიდებულებას ქმნის.

წინამდებარე ნომრის მასალები განკუთვნილია ყველა იმ მკითხველისთვის, რომელიც დაინტერესებულია ბავშვთა უფლებების, ბავშვთა კეთილდღეობისა და გაძლიერების საკითხებით. ვიმედოვნებთ, რომ ჟურნალი უფრო მეტად გაზრდის მოტივაციას ისეთი აქტივობების განხორციელებისათვის, რომლებიც მუშაობს ჩვენი მომავალი თაობისთვის უკეთესი, სამართლიანი და თანასწორუფლებიანი გარემოს შექმნაზე.

გვჯერა ჩვენი ერთობლივი ძალისხმევის, თითოეული ბავშვის სრულფასოვანი და ღირსეული ცხოვრების შექმნისათვის.

ნინო წილოსანი

პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე

ქალბატონო ნინო, რა არის ის ძირითადი პრიორიტეტები, რომლებსაც პარლამენტი განსაზღვრავს გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ფარგლებში და რა ნაბიჯები გადადგა საქართველოს ხელისუფლებამ ამ მიმართულებით?

გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განსაზღვრის თვალსაზრისით, საბჭოს, მიმდინარე 2022-2024 წლის სამოქმედო გეგმით, ხუთი ძირითადი პრიორიტეტული მიმართულება აქვს განსაზღვრული, ესენია:

1. სახელმწიფოს გენდერული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
2. გენდერული თანასწორობის სფეროში საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება;
3. საბჭოს ინსტიტუციური გაძლიერება და გენდერული თანასწორობის სახელმწიფო მექანიზმების დახვეწა როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე;
4. ცნობიერების ამაღლება გენდერულ თანასწორობაზე;
5. სახელმწიფო გენდერული პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგი.

აღნიშნული პრიორიტეტული საკითხებით გათვალისწინებული ამოცანების უდიდესი ნაწილი შესრულებული ან მიმდინარეა თავისი შინაარსიდან გამომდინარე. უფრო დეტალურად განხორციელებულ საქმიანობებს შეგიძლიათ გაეცნოთ პარლამენტის ვებგვერდზე. [1]

რა ინიციატივებს გეგმავთ განათლების სისტემაში გენდერული სტერეოტიპული წარმოდგენების გასანეიტრალებლად (მაგ.: შეზღუდული წარმოდგენები და წინასწარშექმნილი შეხედულებები ბიჭებისა და გოგონების როლებზე)?

საბჭო აქტიურად თანამშრომლობს ახალგაზრდებთან გენდერული თანასწორობის საკითხებში ცნობიერების ამაღლებისა და განვითარების მიზნით. მოსწავლეებთან და სტუდენტებთან რეგულარული საინფორმაციო შეხვედრების გარდა, საქართველოს პარლამენტმა დაიწყო მასშტაბური პროექტების განხორციელება.

ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სფეროში ახალგაზრდების, განსაკუთრებით კი გოგონების ჩართვის, ეკონომიკური გაძლიერების მიზნით, საბჭომ 2022 წლის აპრილიდან წარმოიწყო ახალი საინფორმაციო კამპანია, რომლის ფარგლებშიც საბჭოს წევრები ექსპერტთან ერთად ეწვივნენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქს. საბჭო აქტიურად ახორციელებს თემატურ კამპანიებს, რომელთა ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებების მიზანია სტუდენტებსა თუ სკოლის მოსწავლეებში არსებული სტერეოტიპული დამოკიდებულებების შეცვლა და გოგონებში ისეთი პროფესიების პოპულარიზაცია, რომლებშიც ქალების წარმომადგენლობა დაბალია.

2023 წლის აპრილიდან გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივითა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანია დაიწყო. აღნიშნული კამპანიის ფარგლებში, საბჭო ყოველკვირეულად პარლამენტში მასპინძლობს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის წარ-

1 https://parliament.ge/parliament/councils/51090/documents

მომადგენელ სკოლებს - მოსწავლეებს უტარდებათ საინფორმაციო ექსკურსია პარლამენტარიზმის შესახებ, რის შემდეგაც ხვდებიან გენდერული თანასწორობის საბჭოს; ეცნობიან საბჭოს საქმიანობას, გენდერული თანასწორობის არსსა და მნიშვნელობას და დისკუსიის რეჟიმში განიხილავენ მათთვის საინტერესო საკითხებს, გენდერულ სტერეოტიპებებსა და შეხედულებებს.

როგორ შეიძლება სახელმწიფომ გააძლიეროს მოქმედება გენდერული ძალადობის პრევენციისთვის, რომელიც ხშირად გენდერული სტერეოტიპებით იწყება?

გენდერული ძალადობის წინააღმდეგ მოქმედების გაძლიერება კომპლექსური საკითხია და სწორედ გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრით იწყება. აღნიშნულ პროცესში უდიდესი როლი აქვს ყოვლისმომცველ განათლებისა და ცნობიერების ამაღლების კამპანიებს. მნიშვნელოვანია გენდერული თანასწორობის შესახებ ინფორმაციის ინტეგრირება სასკოლო სასწავლო გეგმებში ადრეული ასაკიდან, სწორი გენდერული ცნობიერების ჩამოყალიბების მიზნით. ამასთან, განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, ეროვნული სასწავლო გეგმით გამოყოფილია პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებთან დაკავშირებითაც ცოდნის ამაღლება ხელს უწყობს ეროვნული ფასეულობების ჩამოყალიბებას, მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას, დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარებას და ა.შ. აღნიშნული მიმართულებებიდან პრიორიტეტულია ადამიანის უფლებები, რომელიც მოიცავს ქალთა უფლებებს და დისკრიმინაციის აკრძალვას. აღნიშნული პრიორიტეტული მიმართულება რეალიზდება შემდგომ უკვე ფორმალური და სასკოლო არაფორმალური განათლების ფარგლებში; შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ ასპექტის გაძლიერება.

რა პროგრამები არსებობს იმისთვის, რომ ხელი შეეწყოს გენდერულად ნეიტრალურ განათლებას და შეამციროს მოზარდებში სქესის მიხედვით პროფესიული არჩევანი?

პროფესიის არჩევაში და ზოგადად განათლების სფეროში არსებული გენდერული სტერეოტიპების აღმოსაფხვრელად, პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო აქტიურად ახორციელებს სხვადასხვა კამპანიას, რომელთა მიზანია ცნობიერების ამაღლება და სწორედ სტერეოტიპული დამოკიდებულებების აღმოფხვრა საზოგადოებაში, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. კარგი მაგალითია კამპანია "ქალები და გოგოები მეცნიერებაში", რომლის ფარგლებშიც საბჭომ არაერთი მნიშვნელოვანი საინფორმაციო შეხვედრა და აქტივობა ჩაატარა როგორც ცენტრალურ, ისე მუნიციპალურ დონეზე. ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში მოვიწვიეთ ახალგაზრდები, რომლებიც სწორედ ახლა დგანან პროფესიული არჩევანის წინაშე, ჩავატარეთ პანელური დისკუსიები წარმატებულ მეცნიერ ქალებთან, STEM პროფესიის მენტორებთან, სოციალური მედიის კამპანიები და ა.შ.. ამ ყველაფრის მიზანი კი იყო სტერეოტიპული დამოკიდებულებების შეცვლა პროფესიული არჩევანის გაკეთებისას და ქალებით ნაკლებად წარმოდგენილი პროფესიების პოპულარიზაცია გოგონებში.

როგორ უნდა გაუმჯობესდეს სკოლის საგნობრივი პროგრამები, რათა უფრო თანასწორად წარმოჩინდეს როგორც მამაკაცების, ისე ქალების შესაძლებლობები და როლები სხვადასხვა სფეროში?

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით უთანასწორობის ან დისკრიმინაციის კომპონენტი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნობრივ პროგრამებში არ იკვეთება; იმავდროულად, პირველ საფეხურზე არის საგნობრივი პროგრამა - მე და საზოგადოება, რომელიც უყალიბებს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეს ჯანსაღი საზოგადოების პრინციპებსა და ღირებულებებს, ასწავლის ტოლერანტობას, ემპათიას, თანასწორობას. ზოგადი განათლების მესამე საფეხურზე კი არის სამოქალაქო განათლების სასკოლო პროგრამა, რომელიც ზოგადი განათლების ბოლო ეტაპზე ისწავლება და მოიცავს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, მათი დაცვის საშუალებებს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ პროგრამის ფარგლებში სკოლის მოსწავლეებს ზოგადი ცოდნა უყალიბდებათ ისეთ სამართლებრივ დოკუმენტებზე, როგორებიცაა საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო დეკლარაციები და კონვენციები, რომლებიც ადამიანის უფლებათა დაცვის საკანონმდებლო ჩარჩოს განსაზღვრავს.

არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით კი კარგი იქნება საპილოტე პროგრამის "ექიმის საათი" სასწავლო პროგრამაში საფუძვლიანად ინტეგრირება. ამჟამად აღნიშნული პროგრამა საპილოტე ეტაპზეა ჯერ კიდევ და დაახლოებით 25 სკოლაში, თბილისსა თუ მუნიციპალიტეტებში ერთჯერადად ჩატარდა. ვინაიდან მოდული მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, როგორ უნდა ამოიცნონ მოზარდებმა სექსუალური ძალადობის ნიშნები, გენდერული თანასწორობა, ბულინგი რეალურ სივრცესა თუ ინტერნეტში, გარდატეხის ასაკთან დაკავშირებული თემები, პირადი ჰიგიენა, ვფიქრობ, აუცილებელია აღნიშნული სასწავლო პროგრამა ყველა სკოლის საგანმანათლებლო პროცესის ნაწილი იყოს და მოსწავლეებს თანაბრად მიეცეთ საშუალება, პროფესიონალისგან მიიღონ ინფორმაცია მსგავს მნიშვნელოვან საკითხებზე.

ლია გიგაური

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე

ეთნიკური უმცირესობების განათლების უფლების რეალიზება სამოქალაქო ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის კონტექსტში

შესავალი

ადამიანის ფუნდამენტური უფლებების ყოველდღიურ ცხოვრებაში რეალიზების წინაპირობას განათლება წარმოადგენს, რამდენადაც სწორედ განათლებას აკისრია უმნიშვნელოვანესი ფუნქცია როგორც პიროვნული და პროფესიული განვითარების მისაღწევად, ისე სამომავლო სოციალური, ეკონომიკური თუ კულტურული ცხოვრების გაუმჯობესების თვალსაზრისით. შესაბამისად, თითოეული ბავშვის განათლებაზე ხელმისაწვდომობა, განურჩევლად მისი ეთნიკური კუთვნილებისა, გრძელვადიან პერსპექტივაში, თანასწორი და თანაბარუფლებიანი საზოგადოების გაძლიერებისთვის გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948 წ.) იყო ის პირველი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელმაც **განათლება ადამიანის უფლებად გამოაცხადა**: „ყველას აქვს განათლების უფლება. განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის განმტკიცებისაკენ“ (მუხლი 26). დეკლარაციაზე ხელმომწერმა სახელმწიფოებმა გამოხატეს მზაობა, რომ მხარი დაუჭირონ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა, მათ შორის, განათლების უფლების საყოველთაო პატივისცემასა და დაცვას იმ საერთო მიზნებიდან გამომდინარე, რომ განათლება ხელს შეუწყობს სხვადასხვა ერს, ეთნიკურ თუ რელიგიურ ჯგუფს შორის ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობასა და მეგობრობას, შესაბამისად, მოღვაწეობას მშვიდობის შესანარჩუნებლად.

ადამიანის უფლებების დაცვაზე მიმართული გაეროს კონვენციებსა და დეკლარაციებში, ასევე საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტების ფარგლებში, **განათლების უფლება** აღიარებულია, როგორც დამოუკიდებელი უნივერსალური უფლება. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია ხაზს უსვამს ყველა ბავშვის უფლებას, მიიღოს განათლება დისკრიმინაციის გარეშე.

ამასთანავე, ეს დოკუმენტები მკაფიოდ და ერთმნიშვნელოვნად გამოხატავს სულისკვეთებას, რომ იმ სახელმწიფოებში, რომლებშიც ცხოვრობენ ეთნიკური ან ენობრივი უმცირესობები, „იდენტობის შენარჩუნების უფლება დაბალანსებული უნდა იყოს ფართო ეროვნულ საზოგადოებაში ინტეგრაციისა და მონაწილეობის პასუხისმგებლობით. სრულფასოვანი ინტეგრაცია კი მოითხოვს როგორც ამ საზოგადოების, ისე სახელმწიფო ენის (ენების) საფუძვლიანი ცოდნის შეძენას“ (სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი“ (მუხლი 27)).

საქართველოს მოქალაქეებს, განურჩევლად მათი ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების და საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან აქვთ მტკიცე გარანტიები ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების, მათ შორის, განათლების უფლების დასაცავად. „ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება“. (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 27).

ქვეყნის ხელისუფლება:

- იზიარებს პრინციპს, რომ „განათლებამ უნდა მოამზადოს ბავშვი თავისუფალ საზოგადოებაში აქტიური ცხოვრებისათვის, ჩაუნერგოს მშობლებისადმი, თავისი კულტურული თვითმყოფადობის, ენისა და ფასეულობებისადმი პატივისცემა, ასევე, სხვათა კულტურული ტრადიციებისა და ფასეულობებისადმი პატივისცემა („ბავშვის უფლებათა კონვენცია“, მუხლი 29);
- იცავს „ეროვნული უმცირესობების მშობლიური ენის შესწავლის ან მშობლიურ ენაზე სწავლის შესაძლებლობებს და აღიარებს უმცირესობების უფლებას, შეინარჩუნონ თავიანთი კოლექტიური იდენტობა მშობლიური ენის საშუალებით“ (სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი“ მუხლი 27).

საქართველოს, როგორც ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან ქვეყანას, რატიფიცირებული აქვს **ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენცია** (FCNM), რომელზე ხელმოწერითაც (2005 წ.) იკისრა პასუხისმგებლობა, რომ დაიცავდა საკუთარ ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების უფლებებს, რაც ქვეყანაში სტაბილურობის, დემოკრატიული უსაფრთხოების, კანონის უზენაესობისა და კულტურული პლურალიზმის, შედეგად კი მშვიდობის განმტკიცების საფუძველია; ჩარჩო კონვენციით გათვალისწინებული პრინციპები მათი განათლების უფლების რეალიზებასაც მოიაზრებს.

საქართველოს ეთნიკური მრავალფეროვნება

ეთნიკური, ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნება ჩვენი ქვეყნის ისტორიული რეალობა და მისი განვითარების უმნიშვნელოვანესი რესურსია; ეთნიკური უმცირესობები საქართველოს მოსახლეობის ერთ მეშვიდედზე მეტს - 13,2%-ს შეადგენენ. მათი დიდი ნაწილი, 10.8%, ეთნიკურად სომეხი (დაახლოებით 4.5%) და აზერბაიჯანელი (დაახლოებით 6,3%) მოსახლეობაა, რომელთა უმრავლესობა მჭიდროდ არის დასახლებული ქვეყნის სამხრეთით, სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში, ასევე აღმოსავლეთით, კახეთის რეგიონში. მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები (ოსები, ქისტები, ავარები, უდები, რუსები, იეზიდები, ასირიელები და სხვა) კი, რომელთა საერთო რაოდენობა მოსახლეობის 2.4% შეადგენს, ძირითადად დისპერსიულად ცხოვრობენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. (საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი, მოსახლეობის საყოველთაო აღწერა 2014 წ www.geostat.ge).

მრავალფეროვანი ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელი, კულტურით, ტრადიციებითა თუ მრწამსით განსხვავებული ადამიანების მშვიდობიანი, მეგობრული და სოლიდარული თანაცხოვრების გამოცდილებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჩვენი ქვეყნის განვითარების პროცესში. ხელისუფლება კულტურულ მრავალფეროვნებას, ისევე როგორც თითოეული მოქალაქეს, მისი ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად, ქვეყნის სიძლიერის წყაროდ და ფასეულობად განიხილავს. კულტურულად მრავალფეროვანი საზოგადოების სტაბილური, დემოკრატიული განვითარებისა და ევრო-

პული ინტეგრაციის მიზნების მისაღწევად, სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახული აქვს უსაფრთხო და ტოლერანტული გარემოს შემდგომი განვითარება, თანასწორი, სამართლებრივი და თანაბარუფლებიანი საზოგადოების განმტკიცება, კულტურული მრავალფეროვნების დაცვა, სოციალური ერთიანობისა და ინკლუზიის მიღწევა.

აღნიშნული მრავალგანზომილებიანი მიზნების მისაღწევად, უპირველეს ყოვლისა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თითოეული მოქალაქის სრულფასოვან ინტეგრაციას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

საქართველოს საკანონმდებლო ბაზა, ფაქტობრივად არ ასხვავებს რაიმე სახის უმცირესობას უმრავლესობისგან და მასაც იმავე უფლებებს ანიჭებს; ეთნიკური უმცირესობების თანასწორობა, მათი ეთნო-კულტურული იდენტობისა და უფლებების დაცვა გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი უზრუნველყოფს თანასწორობის პრინციპის დაცვას, მათ შორის, განათლების სფეროში. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უფლებას, მიიღონ სრული ზოგადი განათლება მათ მშობლიურ ენაზე; “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონი ითვალისწინებს სპეციალურ მხარდამჭერ საგანმანათლებლო პროგრამებს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის.

სახელმწიფოს შემუშავებული აქვს სისტემური და კომპლექსური პოლიტიკა, რომლის ძირითად მექანიზმს **„სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგია“** წარმოადგენს. **სტრატეგიის მიზანია** „ქვეყანაში ეთნოსთაშორისი ურთიერთობების გაძლიერება, მათი კულტურული ფასეულობებისა და იდენტობის დაცვა, საზოგადოებაში თანასწორობის პრინციპების სრულფასოვანი რეალიზება, რათა საქართველოს ყველა მოქალაქემ, განურჩევლად ეთნიკური წარმომავლობისა, შეძლოს წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებასა და დემოკრატიული განვითარების პროცესში“. „ამ მიმართულებით, ხელისუფლების მიზნები ორიენტირებულია, პლურალისტური და ინკლუზიური პოლიტიკის გატარების გზით, ერთიანი, სტაბილური, სამართლებრივი და მრავალკულტურული საზოგადოების განმტკიცებაზე, რომლის მთავარი ღირებულება არის ადამიანი და მისი უფლებები“. (სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგია; www.smr.gov.ge).

აღნიშნულიდან გამომდინარე, სტრატეგიის მიზნები ორიენტირებულია ხელშემწყობი გარემოს შექმნაზე ხუთი პრიორიტეტული მიმართულებით გრძელვადიანი და მდგრადი პოზიტიური ცვლილებების მისაღწევად. ესენია:

1. სახელმწიფო ენა ინტეგრაციის მხარდასაჭერად;
2. ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
3. თანასწორობა, სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობა;
4. სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაცია;
5. კულტურათაშორისი დიალოგი.

პირველი ორი სტრატეგიული მიმართულება, განათლებას უკავშირდება, რამდენადაც განათლება ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია პიროვნების ღირებულებების, ცოდნისა და სამყაროსა შესახებ წარმოდგენების ფორმირებისთვის, რაც ინკლუზიური და ინტეგრირებული საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სწორედ განათლებაა სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელ მოქალაქეთა შორის ეროვნული ფასეულობების გავრცელების, თანაბარუფლებიანობაზე დაფუძნებული ინტერაქციისა და სოციალიზაციის ხარისხის განმაპირობებელი ფაქტორი. რამდენადაც სწორედ განათლება, სახელმწიფო ენის ცოდნა, ქმნის მომდევნო სამი სტრატეგიული მიმართულების ფუნდამენტს და გვევლინება სხვა ბაზისური უფლებებით (ეკონომიკური, სოციალური, სამოქალაქო და კულტურული) სრულფასოვანი სარგებლობის გარანტად; ის სტრტეგიის გამჭოლი პრიორიტეტია. ზოგადი და დარგობრივი ცოდნა და უნარები, ღირებულებები და დამოკიდებულებები, პიროვნული და პროფესიული განვითარების, სახელმწიფო პროგრამებსა და სერვისებზე წვდომის, რელევანტური ინფორმაციის მიღების, დასაქმებისა თუ ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ თუ ეკონომიკურ ცხოვრებაში ეფექტიანი ჩართულობის საფუძველია.

სამოქალაქო თანასწორობის და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და განვითარების პროცესების, ასევე, შესაბამისი მრავალსექტორული სტრატეგიების განხორციელების კოორდინაციას, ერთიანი სამთავრობო მიდგომის ფარგლებში, დარგობრივ სახელმწიფო უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობით, **შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი** ახორციელებს.

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგია განათლების სფეროში ადგენს შემდეგ პრიორიტეტულ ამოცანებს, რომელთა განხორციელებაზეც

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროა პასუხისმგებელი. მათ შორის

- სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება და პოპულარიზაცია ფორმალურ (სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება) და არაფორმალურ განათლებაში;
- ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა განათლების ყველა საფეხურზე;
- ამ მიზნით მიმდინარეობს ორენოვანი განათლების ხელშეწყობა;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა;
- ინკლუზიური და მულტიკულტურული საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.
- განათლების მიღმა დარჩენილი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი პირების საგანმანათლებლო შესაძლებლობების რეალიზება;
- სამოქალაქო თანასწორობის ხელშეწყობა და კულტურული მრავალფეროვნების პოპულარიზაცია ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში.

დოკუმენტით განსაზღვრული მიზნები და ამოცანები შემუშავებულია ერთიანი ეროვნული ინტერესებისა და ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების გათვალისწინებით, შესაბამისობაშია მაღალ საერთაშორისო პრინციპებსა და სტანდარტებთან. ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის, იდენტობის შენარჩუნებისა და ეთნოკულტურის განვითარებისთვის გათვალისწინებულია ის საჭიროებები და ღირებულებები, რომლებსაც საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები იზიარებენ.

სტრატეგიის იმპლემენტაციისთვის ყოველ ორ წელიწადში, ინკლუზიური მიდგომით, ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით ხდება სამოქმედო გეგმების შემუშავება, რომლებიც მოიცავს კონკრეტულ ღონისძიებებს, ვადებს, პასუხისმგებელ დარგობრივ სახელმწიფო უწყებებს თუ სხვა ორგანიზაციებს, ასევე შეფასების ინდიკატორებს და ანგარიშგების ინსტრუმენტებს.

სტრატეგიის 2023-24 წლების სამოქმედო გეგმით 200-მდე აქტივობა იყო გათვალისწინებული, რომელთა უმრავლესობა სწორედ ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სხვადასხვა ასპექტს უკავშირდება, შესაბამისად, პასუხისმგებელ უწყებებად განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო და მისი სტრუქტურული ერთეულებია განსაზღვრული.

განათლების უფლების რეალიზება

ეთნიკური უმცირესობების განათლების უფლების რეალიზების კომპლექსური საკითხი მჭიდროდ უკავშირდება სახელმწიფოს საინტეგრაციო პოლიტიკის შემდგომ წარმატებას და პირიქით, განათლება არის ინტეგრაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი.

ინტეგრაციის პერსპექტივიდან გამომდინარე, სტრატეგია ეთნიკური უმცირესობებისთვის **სახელმწიფო ენის სწავლების** გაუმჯობესებას და ცოდნის დონის ამაღლებას განსაზღვრავს, როგორც პოლიტიკის უპირველესი მნიშვნელობის პრიორიტეტს, რომელიც ფორმულირებულია სახელწოდებით - **სახელმწიფო ენა ინტეგრაციისთვის**. მის ფარგლებში უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის ქართული ენის ცოდნის დონის ამაღლება, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა და პოპულარიზაცია, ამასთანავე სახელმწიფო ენა განიხილება როგორც ქვეყნის მრავალეთნიკური საზოგადოების წევრებს შორის კომუნიკაციისა და კულტურათა გაზიარების წინაპირობა და ურთიერთდამაკავშირებელი ხიდი.

პოლიტიკის ამ მიმართულებით ამბიციური გეგმებია დასახული. 2030 წლისთვის სახელმწიფო ენა ეცოდინება ფაქტობრივად სკოლის კურსდამთავრებულ ყველა ახალგაზრდას. ამ მიზნით რიგი მნიშვნელოვანი მექანიზმები დაინერგა, გაიზარდა ქართული ენის საათების კვირეული დატვირთვა. ამასთანავე, ქართული ენის სწავლება მიმდინარეობს განათლების ყველა საფეხურზე. შეიქმნა უწყვეტი საგანმანათლებლო ჯაჭვი - დაწყებული სკოლამდელი განათლებიდან, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ჩათვლით და დასრულებული ზრდასრულთა განათლებით. მრავალფეროვანი გახდა ამ მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები როგორც მეთოდოლოგიურად, ისე ბენეფიციართა სეგმენტის გაფართოებისა და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით: ქართული ენის შესწავლის ნებისმიერი მსურველი მოქალაქე სტრატეგიის სამიზნე რეგიონებიდან, განურჩევლად ასაკისა, სახელწიფოს მხრიდან უზრუნველყოფილია, შეისწავლოს ქართული ენა საცხოვრებელ ადგილზე სახელმწიფო დაფინანსებით.

სახელმწიფო ენის სწავლებისკენ მიმართული ძალისხმევის პარალელურად, სრულად რეალიზებული და დაცულია ეთნიკური უმცირესობების მშობლიურ ენაზე განათლების უფლება როგორც სკოლამდელ დაწესებულებებში, ასევე მოქმედ 296 არაქართულენოვან სკოლაში და სექტორზე (რაც

საჯარო სკოლების 14%-ზე მეტია), სადაც 7 000-მდე პედაგოგია დასაქმებული და 54 000-ზე მეტი მოსწავლე იღებს განათლებას. მხარდაჭერილია მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების ენების - ოსურის, ასურულის, ჩეჩნურის, უდიურის, ხუნძურის - სწავლება სკოლის მოთხოვნის საფუძველზე, რაც საერთო ეროვნულ ფასეულობებთან ერთად, ბავშვისათვის თავისი კულტურული თვითმყოფადობის, ენისა და ფასეულობების პატივისცემის ჩანერგვას ემსახურება. აღნიშნული, ჩვენს ქვეყანაში დანერგილ სხვა მრავალ მიდგომასთან ერთად, საერთაშორისო შეფასებებში აღიარებულია როგორც ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის ერთ-ერთი უნიკალური მექანიზმი. იმავდროულად, აღსანიშნავია, რომ უმცირესობათა ენები საქართველოს მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის ნაწილია, რომელთა დაცვა და სწავლება გულისხმობს ამ კულტურული სიმდიდრის გამოვლინების დაფასებას.

ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა მეორე სტრატეგიულ პრიორიტეტად არის განსაზღვრული და ემსახურება თითოეული ბავშვისთვის, ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად, მის მშობლიურ ქვეყანაში უკეთესი მომავლის პერსპექტივისა და სამშობლოსთან იდენტობის განვითარებას. ამ მიზნის მისაღწევად ბავშვებმა უნდა შეიძინონ შესაბამისი ცოდნა და განივითარონ ის უნარ-ჩვევები, რომლებიც საკუთარი პოტენციალის რეალიზებაში, ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევასა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში სრულფასოვან ჩართულობაში დაეხმარება. ამ კუთხით დასახული სტრატეგიული ამოცანები, განათლების ყველა საფეხურის - სკოლამდელის, ზოგადის, პროფესიულის, უმაღლესის, ზრდასრულთა და ასევე არაფორმალური განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის განგრძობად ამაღლებაზეა მიმართული. საგანმანათლებლო სისტემაში სრულფასოვანი ინტეგრირების შედეგები განაპირობებს ეთნიკური უმცირესობების კავშირს ქვეყნის საინფორმაციო სივრცესთან, ისევე როგორც, მათი მონაწილეობის გაუმჯობესებას სამოქალაქო და პოლიტიკურ პროცესებში, ცნობიერების ამაღლებას ადამიანის უფლებების, ევროინტეგრაციის პროცესებისა და სხვა აქტუალურ საკითხებზე, რითაც ხელი შეეწყობა სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელი ჩვენი თანამოქალაქეების სამოქალაქო აქტიურობას, მათ შორის, დაინტერესებული ზრდასრული მოსახლეობის პროფესიული გადამზადებისა და დასაქმების მიმართულებით.

საგულისხმოა, რომ ხარისხიანი განათლება მოიაზრებს ბავშვის საჭიროებების გაცნობიერებაზე დამყარებულ ინდივიდუალურ და დიფერენცირებულ მიდგომას, რომელიც გულისხმობს, რომ განათლების მიღებისას გათვალისწინებული უნდა იყოს კულტურული და ენობრივი თავისებურებებიც. აღნიშნული მოსწავლეს დაეხმარება ბარიერების დაძლევაში, ხელს შეუწყობს, სრულყოფილად ფლობდეს როგორც მშობლიურ, ისე სახელმწიფო ენას, ჰქონდეს მაღალი აკადემიური შედეგები, მონაწილეობა მიიღოს მოსწავლეებისთვის გამიზნულ ღონისძიებებში როგორც სასკოლო, ისე ადგილობრივ და საერთო ეროვნულ დონეზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სტრატეგიული ამოცანების ფარგლებში, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების გაძლიერების მიზნით ეფექტიანი მექანიზმების განვითარებასა და ხელშემწყობი მიზნობრივი პროგრამების განხორციელებაზე; ასევე მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის პროაქტიული მიდგომების დანერგვასა და თანასწორობაზე ფოკუსირებული ისეთი ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარებაზე, რომლებიც ხელს შეუწყობს ინდივიდუალიზმის შენარჩუნებას, პოტენციალის, უნარ-ჩვევების, ცოდნისა და შესაძლებლობების განვითარებას.

ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში, განსაკუთრებით ცენტრიდან დაშორებულ სოფლებში, მასწავლებლებისა და მოსწავლეების სახელმწიფო ენის არასათანადო ცოდნა ხშირად დაბრკოლება ხდება როგორც სხვა ლინგვისტურ ჯგუფებთან სახელმწიფო ენაზე კომუნიკაციის, ასევე მრავალფეროვან სასწავლო რესურსებთან და ინფორმაციასთან წვდომის თვალსაზრისით. აღნიშნული, თავის მხრივ, განაპირობებს უმაღლესი განათლების მიღებისთვის საშეღავათო პროგრამების საჭიროებას;მიუხედავად იმისა,რომ სკოლებში ქართული ენის ცოდნის

ხარისხის ასამაღლებლად სახელმწიფოს მიერ გადადგმულია რიგი მნიშვნელოვანი ნაბიჯები და დანერგილია მიზნობრივი პროგრამები, პრაქტიკაში ჯერ კიდევ არსებობს გამოწვევები, რომელთა გადაჭრა მხოლოდ სისტემური და კომპლექსური მიდგომით არის შესაძლებელი.
ხარისხიანი განათლების უფლების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო სტრატეგიის ფარგლებში დასახული თითოეული მრავალგანზომილებიანი ამოცანის პრაქტიკაში აღსრულება კომპლექსურ მიდგომას და ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს უკავშირდება, როგორებიცაა:

- საჭიროებებზე მორგებული სახელმწიფო ენის პროგრამების განვითარება;
- მულტილინგვური/ორენოვანი (ბილინგვური) განათლების ეფექტიანი მოდელი;
- სასკოლო სასწავლო გეგმების ეროვნულ სტანდარტებთან შესაბამისობა;
- მშობლიური ენის სწავლების მაღალი ხარისხი, მეთოდოოგია, სახელმძღვანელოები და შინაარსი;
- არაქართულენოვანი სკოლებისთვის მასწავლებლების საუნივერსიტეტო მომზადება;
- თანამედროვე საგანმანათლებლო რესურსებისა და სახელმძღვანელოების უმცირესობათა ენებზე თარგმნის ხარისხი;
- კვალიფიციური კადრების დეფიციტის შევსება რეგიონებში;
- ახალგაზრდა ორენოვანი კადრების მოზიდვა სისტემაში;
- პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების ხელმისაწვდომობა;
- საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურული და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა;
- სასკოლო ტრანსპორტირება;
- თანამედროვე ტექნოლოგიებზე წვდომა;
- ადრეული ქორწინების პრობლემა;
- ინტერკულტურული დიალოგის გაძლიერება;
- ბავშვზე ორიენტირებული, არადისკრიმინაციული და უსაფრთხო სასწავლო გარემო;

ამ პროცესში, სტრატეგიის განმახორციელებელი თითოეული უწყების ძალისხმევასთან ერთად, მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების როლი და ჩართულობის ხარისხი, ისევე როგორც ადგილობრივი თემის ინფორმირება. დასახული მიზნების მისაღწევად ხაზგასასმელია ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში საკმარისი რაოდენობის კომპეტენტური და კვალიფიციური მასწავლებლების არსებობა, რომლებიც სათანადოდ იცნობენ ადგილობრივ კულტურულ მახასიათებლებს, მოსწავლეთა და ოჯახების დამოკიდებულებებს და შეუძლიათ ორივე, როგორც სახელმწიფო, ასევე ეთნიკური უმცირესობების მშობლიურ ენაზე სწავლება. რამდენადაც განათლების უფლება გადაჯაჭვულია პიროვნებისა და მისი ღირსებების განვითარების, თავისუფალ საზოგადოებაში ქმედითი მონაწილეობის შესაძლებლობასთან, სასკოლო სახელმძღვანელოების ხარისხი, როგორც თარგმნილი, ისე მშობლიური ენისა და ლიტერატურის (შემოტანილი), არის უმნიშვნელოვანესი მასტიმულირებელი ფაქტორი ხარისხიანი განათლების უფლების რეალიზებისთვის.

ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია ორმხრივი პროცესია. საინტეგრაციო სტრატეგიის ფარგლებში ხაზგასმულია ინტერკულტურული განათლების ფუნქციაც, რომლის ფარგლებში ეთნიკური უმცირესობებისა თუ უმრავლესობის წარმომადგენლები ეზიარებიან როგორც საკუთარი, ისე უმრავლესობის/სხვა ეთნიკური უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობის, ენის, რელიგიისა და ტრადიციების პატივისცემას. ამ მხრივ, სახელმძღვანელოებში ეთნიკური უმცირესობების მიერ საქართველოს ისტორიის, კულტურის, საზოგადოების განვითარებაში შეტანილი წვლილის შესახებ ინფორმაცია და საკუთარი ეთნოსის წარმომადგენელთა როლის დანახვა მოსწავლეებს სწავლის დამატებით მოტივაციას გაუჩენთ.

ასევე მნიშვნელოვანია, ყველა შესაძლო მექანიზმით მოხდეს ეთნიკური უმცირესობებისთვის არსებული საგანმათლებლო შესაძლებლობების პოპულარიზაცია, ინტეგრაციის საკითხებში ცნობიერების ამაღლება.

მიღწეული შედეგები

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესაბამისად, ქართული ენის სწავლების, ასევე ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, განათლების, მეცნიერებისა და ახლაგაზრდობის სამინისტროს მიერ აღებული ვალდებულებების ფარგლებში გატარებული ღონისძიებების შედეგად, სახელმწიფო სტრატეგიის 2023 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიშის მიხედვით:

- მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სკოლამდელი და ზოგადი განათლების სისტემაში მულტილინგვური განათლების დანერგვის მიმართულებით. ბილინგვური სწავლების მოდელები ორიენტირებულია როგორც მშობლიური ენის შენარჩუნებაზე, ისე სახელმწიფო ენის ეფექტურ შესწავლაზე. ბილინგვური პროგრამა უკვე 36 არაქართულენოვან საბავშვო ბაღ-

სა და 186-მდე სკოლაში ხორციელდება.

- ქართული ენის სწავლებისა და ხარისხიანი განათლების შესაძლებლობების განვითარების უზრუნველსაყოფად, სხვადასხვა საგნის ადგილობრივი პედაგოგები ჩართულები არიან პროფესიული გადამზადებისა და ქართული ენის შემსწავლელ პროგრამებში. ამასთან, ადგილზე კვალიფიციური პედაგოგიური კადრების დეფიციტის დასაძლევად, რეგიონებში მივლინებულია 140-ზე მეტი ქართული ენის კონსულტანტ-მასწავლებელი.
- სახელმწიფო ენის სწავლების ძალისხმევასთან ერთად, ეთნიკური უმცირესობების მშობლიურ ენაზე განათლების უფლება რეალიზებულია როგორც სკოლამდელ დაწესებულებებში, ასევე ყველა არაქართულენოვან სკოლაში და სექტორზე. იმავდროულად, ადგილობრივი თემის მოთხოვნის საფუძველზე, მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების - ოსურის, ასურულის, ჩეჩნურის, უდიურის, ხუნძური ენების სწავლება მიმდინარეობს 12 საჯარო სკოლაში.
- აქტიურად გრძელდება სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე მიმართული მასშტაბური პროექტები, რომლებიც გარდამტეხ როლს შეასრულებს ეთნიკური უმცირესობების განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების კუთხით.
- ეთნიკური უმცირესობების შემდგომი დასაქმების თვალსაზრისით, ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა. არაქართულენოვანი ახალგაზრდების საჭიროებების საპასუხოდ, სახელმწიფო ენაში მოსამზადებლად სასწავლო მოდულის დანერგვამ, ამ მიმართულებით ცალსახად გაზარდა მოტივაცია და ქართული ენის კურსის გავლის შემდგომ პროფესიულ განათლებას უკვე 1000-ზე მეტი ახალგაზრდა ეზიარა. ბოლო წლებში გამოვლენილი მზარდი ინტერესისა და არსებული საჭიროებების გათვალისწინებით, მიმდინარეობს პროგრამის განვითარებაზე მუშაობა.
- ზრდასრული მოქალაქეების მხრიდან სახელმწიფო ენის შესწავლის მოთხოვნის საპასუხოდ მიმართული მხარდაჭერის ფარგლებში, სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის 12 სასწავლო ცენტრში, ასევე, დისტანციური და საცხოვრებელ ადგილზე სწავლების 200-ზე მეტი მობილური ჯგუფის საშუალებით, ქართული ენის ცოდნის დონეს ყოველწლიურად 5000-მდე ბენეფიციარი იუმჯობესებს.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში ზემოაღნიშნული მრავალმხრივი ძალისხმევის, მათ შორის, საშეღავათო პროგრამების განხორციელების შედეგებმა მნიშვნელოვნად გაზარდა ქართული ენის აქტუალობა არაქართულენოვან დასახლებაში. განსაკუთრებით თვალსაჩინოა მოსწავლეებსა და ახალგაზრდებში ქართული ენის შესწავლის მზარდი ინტერესი და მოტივაცია, რაც იმ ორენოვანი ახალგაზრდების წარმატებას უკავშირდება, რომლებსაც სახელმწიფო ენის შესწავლის შესაძლებლობებმა პიროვნული რეალიზების პერსპექტივები გაუფართოვა. „1+4 პროგრამის“ ფარგლებში უკვე ათასობით ახალგაზრდა ეზიარა უმაღლეს განათლებას.

მიღწევებთან ერთად, კვლავ არსებობს მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომელთა დასაძლევად სისტემის სხვადასხვა რგოლის კოორდინაცია, გაზიარებული პრობლემები, შესაძლებლობები და კონსოლიდირებული მობილიზებაა საჭირო, მათ შორის, იმ პირების აქტიური ჩართულობით, რომლებიც განათლების უფლების რეალიზების წინა ხაზზე არიან.

დასკვნა

საქართველოში ეთნიკური უმცირესობების განათლების უფლების ეფექტიანი რეალიზება განიხილება სახელმწიფოს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკის ფარგლებში, რომელიც მკფიოდ განსაზღვრავს სახელმწიფოს ხედვას და პრიორიტეტებს აღნიშნული მიმართულებით.

განათლების უფლების რეალიზება წარმოადგენს არა მხოლოდ აკადემიური წარმატების საწინდარს, არამედ თანასწორობისა და სოციალური აქტივობის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. სტრატეგიის წარმატებული იმპლემენტაციისთვის ძალისხმევის გაძლიერება უზრუნველყოფს განათლების ხარისხის გაუმჯობესებას და სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებას, შესაბამისად, ენობრივი ბარიერის დაძლევას და სოციალურ ინტეგრაციას.

აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სტრატეგიის წარმატება დამოკიდებულია როგორც სახელმწიფო უწყებების, მათ შორის, განათლების სისტემის სხვადასხვა რგოლის კოორდინირებულ მუშაობაზე, არამედ საზოგადოების მზაობაზეც. ფართო საზოგადოების წევრებმა უნდა მიიღონ, მხარი დაუჭირონ და ჩაერთონ ინტეგრაციისა და თანასწორობის ხელშემწყობ პროცესებში.

შესაბამისად, **ეთნიკური უმცირესობების განათლების უფლების სრულფასოვანი რეალიზება** სცდება საგანმანათლებლო სისტემის ფარგლებს და მოითხოვს ფართო საზოგადოების ჩართულობას, ცნობიერების ამაღლებას და ინტერკულტურული დიალოგის გაღრმავებას.
ჩვენს ქვეყანაში სოლიდარული, ურთიერთპატი-

ვისცემისა და თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული, კულტურულად მრავალფეროვანი და სამართლებრივი საზოგადოების მდგრადი განვითარება ყველა მოქალაქის ინტერესებს ეხმიანება. აღნიშნული შესაძლებელია საინტეგრაციო პოლიტიკის წარმატებული განხორციელებით, კომპლექსური და ურთიერთთავსებადი მიდგომების ერთობლიობით, რაც აერთიანებს განათლების, კულტურისა და სოციალური პოლიტიკის ელემენტებს.

რესურსები:

1. *საქართველოს კონსტიტუცია;*
2. *სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგია;*
3. *შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში;*
4. *სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში;*
5. *საერთაშორისო პაქტი - სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (1966, დეკემბერი 16);*
6. *ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია;*
7. *მოსახლეობის საყოველთაო აღწერა 2014 წ. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი.*

დავით სიმონია

იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი

არასრულწლოვანთა უფლებების დაცვა იურიდიული დახმარების სამსახურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. ქართული კანონმდებლობის თანახმად, პირი, რომელსაც არ მიუღწევია 18 წლის ასაკისთვის არის არასრულწლოვანი. არასრულწლოვნები მომავალში ჩვენი ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქეები ხდებიან. ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მათ ადრეულ ასაკშივე გავაცნოთ მათი უფლებები და მოვალეობები და, ამავე დროს ჩამოვუყალიბოთ ისეთი სამართლებრივი ცნობიერება, რომელიც, შეძლებისდაგვარად, აარიდებს მათ კონფლიქტებს კანონთან.

– რა მომსახურებებს სთავაზობს იურიდიული დახმარების სამსახური არასრულწლოვნებს?

არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის მიმართულებით იურიდიული დახმარების სამსახური ბენეფიციარებს სთავაზობს ინდივიდუალურ იურიდიულ კონსულტაციას, სამართლებრივი დოკუმენტის მომზადებას და ადვოკატირებას სამართლის ყველა დარგში საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე.

როგორც ცნობილია, 2014 წლიდან საქართველოში მოქმედებს „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“. კოდექსის შესაბამისად, საზოგადოებრივი ადვოკატები საქმეებში ერთვებიან, სავალდებულო დაცვის პირობებით და იცავენ ბავშვებს სამართალწარმოების ყველა ეტაპზე - მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა სტატუსით სარგებლობს არასრულწლოვანი - იქნება ის მოწმე, გამოსაკითხი პირი, ბრალდებული, მსხვერპლი, სამართალდამრღვევი, მოსარჩელე, მოპასუხე, მესამე პირი თუ დაინტერესებული პირი.

იურიდიული დახმარების სამსახურში ფუნქციონირებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებულ ადვოკატთა მუდმივმოქმედი ჯგუფი, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პირველი მოთხოვნისთანავე, უმოკლეს ვადაში უზრუნველყოფს არასრულწლოვანს იურიდიული დახმარებით.

გარდა ამისა, სამსახურმა 2023 წელს დააარსა თბილისის სპეციალიზებულ საქმეთა ბიურო, რომლის ძირითადი სამუშაო მიმართულება არის არასრულწლოვანთა უფლებების დაცვა როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით.

– როგორ და სად შეუძლიათ არასრულწლოვნებს აღნიშნული მომსახურების მიღება?

იურიდიული დახმარების სამსახურს საქართველოს მასშტაბით აქვს 18 ბიურო და 42 საკონსულტაციო ცენტრი, სადაც ბავშვთა უფლებების მიმართულებით დასაქმებულები არიან კონსულტანტები და ადვოკატები. ბავშვს შეუძლია პირადად მივიდეს ადგილზე, მისთვის მოსახერხებელ რეგიონში და ადგილზე მიიღოს სამართლებრივი მომსახურება, ასევე შესაძლებელია, სასურველი მომსახურება მიიღოს როგორც სატელეფონო კონსულტაციით, ისე მობილური აპლიკაციის გამოყენებით.

გარდა ამისა, 2023 წლიდან იურიდიული დახმარების სამსახური ახორციელებს საკონსულტაციო კამპანიას სამსახურის კუთვნილი “მობილური საკონსულტაციო ცენტრის“ დახმარებით. “მობილური საკონსულტაციო ცენტრი” - ეს არის შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი სპეციალური მიკროავტობუსი, რომელშიც შესაძლებელია ინ-

დივიდუალური სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა და, საჭირო შემთხვევაში, სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებაც. ცენტრი მოეწყო და აღიჭურვა გერმანიის მთავრობისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP Georgia) "კანონის უზენაესობისა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ყველასთვის" პროექტის ფარგლებში. პროექტი საშუალება იძლევა, ვესტუმროთ ადმინისტრაციული ცენტრებიდან მოშორებით მდებარე სოფლებს, მაღალმთიან რეგიონებს და ადგილობრივი მოსახლეობისათვის, მათ შორის, მოზარდებისათვის უფასოდ ხელმისაწვდომი გავხადოთ ინდივიადუალური სამართლებრივი კონსულტაციის მიღება, შესაბამისი კონფიდენციალურობის დაცვით. კამპანიის დაწყებიდან დღემდე უკვე გურიისა და სამეგრელოს 100-ზე მეტ სოფელს ვესტუმრეთ და 2000-ზე მეტ მოქალაქეს დავეხმარეთ. მობილური კამპანია უწყვეტ რეჟიმში გრძელდება და ჩვენი მიკროავტობუსი აუცილებლად ყველა სოფელში მივა.

- **თქვენ სუბრისას ახსენეთ მობილური აპლიკაცია; თუ შეგიძლიათ დაგვიკონკრეტოთ, როგორ შეიძლება აპლიკაციის გამოყენება?**

იურიდიული დახმარების სამსახურს აქვს აპლიკაცია (LAS GEORGIA) რომელიც შეიქმნა 2021 წელს იმ მიზნით, რომ არასრულწლოვან ბავშვებს და პირებს, რომლებსაც არ აქვთ საშუალება, გადაადგილდნენ ქვეყნის სხვადასხვა ტერიტორიაზე, დისტანციურად, სახლიდან გაუსვლელად მიიღონ მათთვის სასურველი ინფორმაცია სამართლებრივ საკითხებზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოქალაქეებს უმეტესად უხერხულობას უქმნის საკუთარი პიროვნების გამჟღავნება, ვინაობის გამხელა; განსაკუთრებით ხშირია ასეთი შემთხვევები ბავშვებსა და არასრულწლოვნებში. ამიტომ, ჩვენ შევქმენით ისეთი აპლიკაცია, რომელშიც კონფიდენციალურობა არის სრულიად დაცული. ეს ნიშნავს, რომ პირი, რომელიც ისარგებლებს აღნიშნული აპლიკაციით, არ იქნება იდენტიფიცირებული. მას რეგისტრაციაც არ დასჭირდება, უბრალოდ ჩამოტვირთავს აპლიკაციას. მოქალაქეს, რომელიც მოგვმართავს, შეუძლია რეგისტრაციის გარეშე, ანონიმურად მიიღოს სამართლებრივი კონსულტაცია.

2020 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოში ამოქმედდა ბავშვის უფლებათა დაცვის კოდექსი. შეიცვალა თუ არა სამსახურის მანდატი ამის შემდეგ, საჭირო გახდა თუ არა რაიმე სახის რეფორმების გატარება?

ბავშვის უფლებათა დაცვის კოდექსი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კანონია საქართველოში. ამ კანონით უზრუნველყოფილია თითოეული ბავშვის კეთილდღეობა და დაცვა; ამისთვის აღნიშნულ კოდექსში ყველა აუცილებელი პრინციპია გაწერილი. ბავშვის უფლებათა კოდექსი ხელს უწყობს ისეთი გარემოს უზრუნველყოფას, რომელშიც ბავშვები იზრდებიან ჯანსაღად, დაცულები არიან ძალადობისგან, დაუბრკოლებლად სარგებლობენ ინკლუზიური და ხარისხიანი განათლებით, ჯანდაცვით, სოციალური დაცვით და მართლმსაჯულებით. ამ უკანასკნელში მათ იურიდიული დახმარების სამსახურში დასაქმებული პროფესიონალები ეხმარებიან, რომლებიც ფლობენ შესაბამის სპეციალიზაციას. ბავშვის უფლებათა კოდექსის მოთხოვნის შესაბამისად, იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ყველა არასრულწლოვანისთვის თანაბარ ხელმისაწვდომობას. შესაბამისად, არცერთი ბავშვი, რომელსაც ესაჭიროება სამართლებრივი დახმარება, არ დარჩება კვალიფიციური იურიდიული დახმარების გარეშე.

- **როგორც ვიცით, ბოლო პერიოდში არასრულწლოვანთა სასამართლო პროცესებში იურიდიული დახმარების სამსახურის მხრიდან ჩართულები არიან ფსიქოლოგები. უფრო მეტი რომ გვიამბოთ ამ პროექტის შესახებ - რამ განაპირობა სამსახურის მხრიდან ფსიქოლოგთა ჩართულობა?**

საერთაშორისო პრაქტიკამ აჩვენა, რომ სხვადასხვა განვითარებულ ქვეყანაში, არასრულწლოვანთა სამართალწარმოების პროცესში მნიშვნელოვანი და პოზიტიური როლი აქვს ფსიქოლოგის ჩართულობას. იურიდიული დახმარების სამსახურში დასაქმებული ფსიქოლოგების მიერ გაწეული სამუშაო და ის დადებითი შედეგები, რაც მათ შრომას მოაქვს, ადასტურებს ზემოთ ხსენებულს. ფსიქოლოგის მთავარი ფუნქციაა, არასრულწლოვანთა ასაკობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე, განსაზღვროს ის ფსიქოლოგიური მახასიათებლები, რომლებიც ადვოკატმა აუცილებლად უნდა მიიღოს მხედველობაში საქმის წარმოების პროცესში; ასევე, მან უნდა გამოიკვლიოს არასრულწლოვანი ბენეფიციარის სოციალური გარემო და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოახდინოს არასრულწლოვნის ფსიქოლოგიური მდგომარეობის იდენტიფიცირება, ვინაიდან, სამწუხაროდ, სამართალწარმოებაში ხშირად ჩვენი არასრულწლოვანი ბენეფიციარები გარკვეული ტრავმით და უარყოფითი გამოცდილებით ხვდებიან. ფსიქოლოგების რეკომენდაციები ადვოკატებს ეხმარება, შეიმუშაონ ინდივიდუალური და განსაკუთრებული კომუნიკაციის ფორმები არასრულწლოვან ბენეფიციარებთან, რაც ეხმარება ადვოკატსა და ბავშვს შორის ნდობის ჩამოყალიბებას, პირველი კომუნიკაციის პოზიტიურად წარმართვას და განმეორებითი ტრავმირების საშიშროების მინიმუ-

მამდე შემცირებას. აღნიშნული დადებითად აისახება საქმის შედეგზეც.

გვიამბეთ ე.წ. „ბავშვზე ადაპტირებული გარემოს“ შესახებ, რომელსაც იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები იყენებენ ხოლმე არასრულწლოვან ბენეფიციარებთან ურთიერთობისას.

„ბავშვზე ადაპტირებული გარემოს“ კონცეფცია მიზნად ისახავს ბავშვის სპეციფიკურ საჭიროებებზე უკეთ მორგებული მართლმსაჯულების სისტემის შექმნას, რომელიც პროცესში ბავშვების მონაწილეობას გააადვილებს, უზრუნველყოფს მათ კონფიდენციალურობას და ხელახალი ტრავმირების პრევენციას. გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) დახმარებით, „ბავშვზე მორგებული“ პირველი ოთახი შეიქმნა იურიდიული დახმარების სამსახურის რუსთავის ბიუროში. ადვოკატებსა და კონსულტანტებს საშუალება აქვთ არასრულწლოვან ბენეფიციარებს შეხვდნენ და გაესაუბრონ ისეთ გარემოში, რომელშიც სრულად დაცულია მათი უსაფრთხოება, კომფორტი და კონფიდენციალურობა. აღნიშნული ოთახი აგრეთვე აღჭურვილია სპეციალური ტექნიკით, რაც საშუალებას იძლევა ბავშვისთვის მშვიდ გარემოში მოხდეს გამოკითხვის ჩაწერა; აღნიშნული ჩანაწერი შესაძლებელია წარდგენილი იქნეს შესაბამის ორგანოსა თუ სასამართლოში და აღარ დადგეს საჭიროება, რომ ბავშვმა მის მიერ გადატანილი სტრესი ხელახლა განიცადოს ფაქტების განმეორებით გახმოვანებით საქმის წარმოების ყველა ეტაპზე.

ბავშვზე მორგებული მეორე ოთახი კი განთავსებულია პანკისის ხეობაში, დუისის საკონსულტაციო ცენტრში. როგორც ცნობილია, აღნიშნული რეგიონი ეთნიკური უმცირესობებით, კერძოდ, ქისტებით დასახლებული მხარეა და ამიტომ იქ ბავშვებისთვის ხელსაყრელი გარემოს არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

იურიდიული დახმარების სამსახური სამომავლოდაც განაგრძობს რეგიონულ ბიუროებში „ბავშვზე მორგებული გარემოს“ კონცეფციისა განხორციელებას.

– როგორია საზოგადოებრივი ადვოკატების კვალიფიკაცია არასრულწლოვანთა საქმეების წარმოებასთან დაკავშირებით? დანერგილია თუ არა სამსახურში ადვოკატთა სპეციალიზაცია?

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე ადვოკატთა სპეციალიზაცია იურიდიული დახმარების სამსახურში პრიორიტეტად არის მიჩნეული. ამ მიზნით ყოველწლიურად ტარდება ტრენინგები და ხორციელდება სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები. დღეის მდგომარეობით იურიდიული დახმარების სამსახურში, საქართველოს მასშტაბით დასაქმებულია 162 ადვოკატი და 33 კონსულტანტი, აქედან სპეციალიზაცია გააჩნია 161 ადვოკატს და 10 კონსულტანტს. გარდა სპეციალიზაციისა, რომელსაც ანიჭებს ადვოკატებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, ჩვენს ოფისებში დასაქმებული ადვოკატები და კონსულტანტები მუდმივად გადიან გადამზადებასა და სასწავლო კურსებს კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ამას უზრუნველყოფს იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო ცენტრი. ჩვენი სასწავლო ცენტრის მიზანია იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომელთა პროფესიული განვითარება, საკანონმდებლო ცვლილებებისა და სამართლებრივი პრაქტიკის ცოდნის გამყარება როგორც ვიწრო, ასევე გაფართოებული სპეციალიზაციით. სასწავლო ცენტრი ახორციელებს ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა: პიროვნული/სოციალური უნარების ტრენინგების ორგანიზება როგორც ადვოკატებისთვის, ისე სამსახურის სხვა თანამშრომლებისთვის; სპეციალიზებული სასერტიფიკატო კურსების/ტრენინგების დანერგვა და ორგანიზება და თემატური კონფერენციების, პანელური დისკუსიების, სამუშაო სემინარების, მრგვალი მაგიდის შეხვედრებისა და სხვა ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება.

– რამდენად იყენებს იურიდიული დახმარების სამსახური თანამედროვე ინსტრუმენტებს სერვისების მიწოდებისას, მაგალითად, ონლაინ პლატფორმებს?

ზემოთ უკვე ვახსენე, რომ თანამედროვე ინსტრუმენტებიდან აქტიურად ვიყენებთ მობილურ აპლიკაციას LAS GEORGIA.

გარდა ამისა, ჩვენ სპეციალურად ბავშვებისათვის შევქმენით ვებგვერდი www.children.las.ge, რომელიც შვიდენოვანია (ქართული, ინგლისური, რუსული, სომხური, აზერბაიჯანული, აფხაზური და ოსური). ვებგვერდი მოიცავს ინფორმაციას სამსახურის ყველა იმ სერვისის შესახებ, რომელიც არასრულწლოვნებს ეხება. აქვე წარმოდგენილია ბავშვებისთვის სახალისო ინფორმაცია - საბავშვო მოთხრობები, ფილმები, ვიქტორინები, მოკლე ვიდეოები. ვებგვერდზე მოქმედებს ფორუმი, რომელზე დარეგისტრირებაც შეუძლიათ როგორც ბავშვებს, ასევე მათ მშობლებს და შესაძლებლობა ეძლევათ, იმსჯელონ სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე. ვებგვერდი ასევე ადაპტირებულია როგორც სუსტი და მხედველობის არმქონე პირებისათვის, ასევე სმენადაქვეითებულთათვის.

– რა მეთოდებს იყენებს იურიდიული დახმარების სამსახური მოზარდების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებისათვის?

იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლები პერიოდულად აორგანიზებენ და ახორციელებენ შეხვედრებს დედაქალაქსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებულ სკოლებში. ამ შეხვედრებზე მოსწავლეებს ვაცნობთ ჩვენი სამსახურის სერვისებს, ვესაუბრებით მათ ბავშვთა უფლებებზე და მათთვის საინტერესო აქტუალურ საკითხებზე სამართლებრივ ჭრილში. აღნიშნული შეხვედრები ყოველთვის მიმდინარეობს თავად მოსწავლეების აქტიურობის ფონზე; უმეტესად კითხვები აქვთ ისეთ მწვავე და მნიშვნელოვან თემებზე, როგორებიცაა ბულინგი, ტოლერანტობა და ძალადობა. სამსახურის იურისტები და ფსიქოლოგები მათთვის გასაგები ტერმინების გამოყენებით განუმარტავენ არასრულწლოვნებს ყველა იმ საკითხს, რომელიც მათი ინტერესის სფეროშია.

გარდა ამისა, 2022 წელს, იურიდიული დახმარების სამსახურის ინიციატივით, მოძრაობის „ვაქციოთ კანონი ყველასათვის ხელმისაწვდომად“ ფარგლებში, დაიწყო პროექტი „პარალეგალი“. პარალეგალი არის პირი, რომელსაც არ აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება - არ არის პროფესიით იურისტი, თუმცა, გავლილი აქვს სპეციალური ტრენინგი სამართლებრივ საკითხებში, აქვს საჭირო ცოდნა და უნარები, მოსახლეობას გაუწიოს პირველადი სამართლებრივი კონსულტაცია. პარალეგალი შესაძლოა იყოს ნებისმიერი პროფესიისა და საქმიანობის პირი ან პროფესიის არმქონე პირი, საჯარო თუ კერძო სექტორში დასაქმებული პირი, ან პირი, რომელიც არ არის დასაქმებული, თუ მას აქვს შესაბამისი ცოდნის შეძენისა და ამ ცოდნის საზოგადოების ფართო მასებისთვის გადაცემის სურვილი.

პარალეგალის დანიშნულებას წარმოადგენს ასევე სამსახურისთვის დახმარების გაწევა ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაციაში, ადგილობრივი ადათ-წესებისა და ჩვეულებების გათვალისწინებით. პროექტის ფარგლებში, სამსახურმა შექმნა პარალეგალების ქსელი (არაიურისტი პირების რეესტრი), რომლის საშუალებითაც ადგილობრივ მოსახლეობას მიეწოდება ინფორმაცია მათი უფლებებისა და ამ უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ, ასევე, გაეწევა პირველადი სამართლებრივი კონსულტაცია.

თეა გალახვარიძე

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი

ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე სახელმწიფოში არსებული სამართლებრივი მექანიზმები

ზოგადი აღწერა. ბავშვთა მიმართ ძალადობა შეიძლება მოხდეს ყველგან – როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში, სოფლებსა და ქალაქებში, დიდ და პატარა ოჯახებში. ძალადობა ციკლურ ხასიათს ატარებს. ბავშვის მიმართ ძალადობის ციკლის დარღვევას დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა თაობაში ამგვარი პრაქტიკის შესამცირებლად და ძალადობის მსხვერპლ მოზარდებში ქცევითი პრობლემების დასაძლევად. სწორედ ამ მიზნით დაიწყეს ქვეყნებმა წლების წინ, საუბარი და ქმედითი ნაბიჯების განხორციელება ბავშვთა უფლებების დასაცავად. არც საქართველოა ამ მხრივ გამონაკლისი.

ბავშვთა უფლებები დაცულია სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომლებიც რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია, 1989 წლის 20 ნოემბრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „ბავშვის უფლებათა კონვენცია“, რომელიც საქართველოში ძალაში შევიდა 1994 წლის 21 აპრილიდან. კონვენციის მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ და უზრუნველყოფენ მათი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი თითოეული ბავშვის ყველა უფლებას, რომელიც ამ კონვენციით არის გათვალისწინებული. ამასთან, იღებენ ყოველგვარ აუცილებელ ზომას დისკრიმინაციის ყველა იმ ფორმისა და სასჯელისაგან ბავშვის დაცვის უზრუნველსაყოფად, რომლებიც უკავშირდება ბავშვის, ბავშვის მშობლის, კანონიერი მეურვეების ან ოჯახის სხვა წევრთა სტატუსს, საქმიანობას, მათ მიერ გამოთქმულ შეხედულებებს და მათ მიერ გამჟღავნებულ მრწამსს. კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, ბავშვის მიმართ ნებისმიერი ღონისძიების გატარებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ ახორციელებს ამას, სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, ვალდებულნი არიან უპირველესი ყურადღება დაუთმონ ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას. სწორედ ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხებთან მიმართებაში, ზემოაღნიშნული და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა თუ კონვენციების გათვალისწინებით, საქართველოში გადაიდგა უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი 2020 წელს; კერძოდ, მიღებულ იქნა „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვალა ქვეყანაში მანამდე არსებული სამართლებრივი მიდგომები.

ძირითადი სამართლებრივი დოკუმენტები. აღსანიშნავია, **საქართველოს სამოქალაქო კოდექსის** 1198-ე მუხლი, რომლის თანახმად, მშობლები უფლებამოსილნი და ვალდებულნი არიან, აღზარდონ შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით. დაუშვებელია, არასრულწლოვნის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ აღზრდის ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც არასრულწლოვნის ფიზიკურ ან ფსიქიკურ ტანჯვას იწვევს.

როდესაც განვიხილავთ არასრულწლოვანთა ძალადობისაგან დასაცავად სახელმწიფოში არსებულ მექანიზმებს, შეუძლებელია არ შევეხოთ **არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსს,** რომელიც ძალაში შევიდა 2015 წელს. მან

საკმაოდ ბევრი საკითხის დარეგულირება მოახერხა არასრულწლოვნებთან მიმართებაში.

კოდექსი გამოიყენება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი გამოსაკითხი პირის/მოწმის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობისას.

კოდექსში გაჩნდა ტერმინი „არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები", რომელიც გულისხმობს არასრულწლოვნის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სხვა ინტერესებს, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით განისაზღვრება.

მნიშვნელოვანია ასევე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელი პირის/პროცესის მონაწილე პირის განსაზღვრის საკითხი. კოდექსის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა, რომ პროცესის მწარმოებელ მოსამართლეს, გამომძიებელს, პროკურორს, პოლიციელს, ადვოკატს, სოციალურ მუშაკს და სხვა მონაწილე პირებს, რომლებიც მონაწილეობენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, უნდა ჰქონდეთ გავლილი სპეციალური მომზადება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში.

აღსანიშნავია მოწმე/დაზარალებული/ბრალდებული ბავშის გამოკითხვის პროცესთან დაკავშირებული საკითხები. გამოკითხვას აწარმოებს მხოლოდ ის უფლებამოსილი პირი, რომელსაც სპეციალური კურსი აქვს გავლილი შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში და აქვს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელ სპეციალიზებულ პოლიციელთა და გამომძიებელთა მომზადების პროგრამის დამადასტურებელი სერთიფიკატი.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად, არასრულწლოვნის გამოკითხვას მისი კანონიერი ან საპროცესო წარმომადგენელი ესწრება.

კანონიერი წარმომადგენელი არის ბავშვის ახლო ნათესავი (არასრულწლოვნის მშობელი, მშვილებელი, შვილი, მინდობით აღსაზრდელი, პაპა, ბებია, და, ძმა, მეუღლე, მათ შორის, განქორწინებული), მხარდამჭერი, მეურვე, მზრუნველი.

საპროცესო წარმომადგენელი არის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ წარმოდგენილი კანდიდატი ან სხვა სანდო პირი.

პირველ რიგში, მოძიებულ უნდა იქნეს ბავშვის მშობელი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახეზეა ქვემოთ ჩამოთვლილი ერთი ან რამდენიმე გარემოება:

- პროცესში მშობლის მონაწილეობა არასრულწლოვნის სამართალდამცავ ორგანოში მიყვანიდან 1 საათის განმავლობაში შეუძლებელია;
- არასრულწლოვანი არ ცხოვრობს მშობელთან ან/და უარს აცხადებს მასთან დაკავშირებაზე ან პროცესში მონაწილეობაზე;
- მშობელი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებს;
- არასრულწლოვანის მშობლის მიერ ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლი ან თვითმხილველია;
- მშობელი იმავე დანაშაულის ჩადენაშია ბრალდებული;
- მშობელი ხელმიუწვდომელია;
- გამოძიება მიმდინარეობს ოჯახში ძალადობის ფაქტზე, სადაც მშობელი სავარაუდო მოძალადეა ან კანონიერი წარმომადგენლის მიკერძოებულობასა და ობიექტურობასთან დაკავშირებით არსებობს ეჭვი.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ბავშვის მიმართ ძალადობის მეტად გავრცელებული ფორმა ოჯახის წევრების მხრიდან ძალადობაა. ასეთ დროს კატეგორიულად არარეკომენდებულია ოჯახის წევრთა (თუნდაც სხვა, არა მოძალადე) დასწრება ბავშვის გამოკითხვისას.

თუ ბავშვის მშობლის მოძიება ვერ ხერხდება ან/და მისი პროცესში მონაწილეობა მიზანშეუწონელია, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მოძიებულ უნდა იქნეს ბავშვის სხვა კანონიერი წარმომადგენელი.

საქართველოში 2006 წლიდან მოქმედებს სპეციალური კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ", რომლის სახელწოდებაც შეიცვალა 2017 წელს, გაფართოვდა მისი მოქმედების სფერო და ჩამოყალიბდა, როგორც კანონი **„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ"**. სწორედ აღნიშნული კანონით რეგულირდება შემაკავებელი ორდერის გამოცემასთან დაკავშირებული საკითხები.

შემაკავებელი ორდერი არის პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ ძალადობის მსხვერპლის (დაზარალებულის) დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად, დროებითი ღონისძიების სახით გამოცემული დოკუმენტი, რომლის შესრულებაც სა-

ვალდებულია მოძალადისათვის, ხოლო დარღვევა იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას (პირის პასუხისგებაში მიცემას). მაგალითად, შემაკავებელი ორდერით შესაძლებელია, ძალადობის ჩამდენი პირი გარიდებულ იქნეს კონკრეტული საცხოვრებელი ბინიდან და აეკრძალოს აღნიშნულ ფართთან (ან პირთან) მიახლოება შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადით.

კანონმდებლობა შემაკავებელი ორდერის გამოცემას ითვალისწინებს მხოლოდ ორ შემთხვევაში: 1. როდესაც ძალადობის ფაქტი ხდება ოჯახის წევრებს შორის; 2. როდესაც ძალადობის ფაქტი ხდება ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით.

აღნიშნული კანონის შესაბამისად, ოჯახის წევრად ითვლება - დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, შვილი (გერი), მინდობით აღსაზრდელი, მინდობით აღმზრდელი (დედობილი, მამობილი), დედინაცვალი, მამინაცვალი, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობელი, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის მშობელი, შვილის მეუღლე (მათ შორის, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი), ყოფილი მეუღლე, წარსულში არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, მეურვე, მზრუნველი, მხარდამჭერი, მეურვეობისა და მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირი, მხარდაჭერის მიმღები, აგრეთვე პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას;

შემაკავებელ ორდერს ხშირად გადამწყვეტი როლი უკავია არასრულწლოვანი დაზარალებულის დაცვის საქმეში როგორც ოჯახის წევრის, ისე არაოჯახის წევრის მხრიდან განხორციელებული ძალადობისას. მაგალითად, ნაადრევ ასაკში (ბავშვთან) ქორწინების შემთხვევაში, შემაკავებელი ორდერის გამოცემით შესაძლებელი ხდება არაოჯახის წევრი პირისათვის (ისევე, როგორც ოჯახის წევრისათვის მაგალითად, მშობლისათვის) არასრულწლოვანთან მიახლოების (მაგალითად, ე.წ. „სასიძოსათვის“) აკრძალვა (რაც მოქმედების სფეროს გაფართოებამდე, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო), ვინაიდან კანონის მიზნებისთვის, ქალად მიიჩნევა აგრეთვე, 18 წელს მიუღწეველი მდედრობითი სქესის არასრულწლოვანი.

ძალადობის ფორმები. შემაკავებელ ორდერში აუცილებელ პირობას წარმოადგენს ძალადობის ფორმის იდენტიფიცირება, ვინაიდან სწორედ აღნიშნულის შემდეგ მიიღება გადაწყვეტილება, დაიწყოს თუ არა სისხლისსამართლებრივი გამოძიება და რა ტიპის აკრძალვები უნდა გამოიყენოს უფლებამოსილმა პოლიციის თანამშრომელმა ძალადობის ფორმის, ქმედების სიმძიმის და ძალადობის განმეორების რისკების შეფასების გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, მნიშვნელოვანია განიმარტოს თუ რა ძალადობის ფორმებს აღიარებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, სამართლებრივად არსებობს ძალადობის ექვსი ფორმა:



<u>ფსიქოლოგიური ძალადობა</u> - კანონმდებლობის მიხედვით, ფსიქოლოგიური ძალადობა არის ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება, რამაც გამოიწვია ტანჯვა. (სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 1261 ითვალისწინებს სისტემატურ ფსიქოლოგიურ ძალადობას, როგორც დანაშაულს. სისტემატური ფსიქოლოგიური ძალადობა მხოლოდ იმ შემთხვევაშია სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული, როდესაც იგი ხორციელდება ოჯახის წევრებს შორის). სისხლისსამართლებრივად ფსიქოლოგიური ძალადობის ჩამდენი პირის მიერ ძალადობის ფაქტის დასადასტურებლად გამოიყენება ფსიქოლოგიური ექსპერტიზა, ვინაიდან აღნიშნულით შესაძლებელია იმის დადასტურება, განიცადა თუ არა ტანჯვა მაგალითად, არასრულწლოვანმა იმ ფსიქოლოგიური ძალადობისაგან,

რომელსაც მის მიმართ სისტემატურად ახორციელებს ოჯახის რომელიმე წევრი.

ზოგადად კი, ფსიქოლოგიური ძალადობა განიმარტება, როგორც სიტყვიერი/ვერბალური (შეხების გარეშე) შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას. მაგალითად, შეურაცხმყოფელი ლანძღვა, დამამცირებელი მეტსახელებით მიმართვა, ისეთი საქციელის დაბრალება, რომელიც არ ჩაუდენია, კრიტიკა, ზღვარგადასული კონტროლი და სხვა.

ფსიქოლოგიური ძალადობის განსაზღვრისას, სამართლებრივად მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ რას ფიქრობს და გრძნობს უშუალოდ ადამიანი, ვისი მისამართითაც განხორციელდა ქმედება. გამოიწვია თუ არა ქმედებამ კონკრეტული პირისაგან ფსიქოლოგიური ზიანი, ემოციური ტკივილი, ტანჯვა, შიში, დათრგუნულობა, რეპრესია და ა.შ.. მაგალითად, შესაძლებელია ბავშვი შეურაცხყოფილი და დამცირებულია დედისგან, ვინაიდან ის უწოდებს შეურაცხმყოფელ სიტყვას, თუმცა მეგობრისგან ამას ხუმრობად იღებს. ფსიქოლოგიური ძალადობა ყველაზე გავრცელებული ძალადობის ფორმაა, თუმცა ხშირად ადამიანები ვერ ხვდებიან, რომ არიან ძალადობის მსხვერპლნი, რაც ართულებს ფსიქოლოგიური ძალადობის დადასტურების შესაძლებლობას. აღნიშნული ძალადობის სახის სიმრავლის ერთ-ერთი მიზეზი ასევე არის ის, რომ, როგორც წესი, ფსიქოლოგიური ძალადობა სხვა ძალადობის სახეებთან კომბინაციაშიც გვხვდება (მაგალითად, არასრულწლოვანზე იძალადეს ფიზიკურად და მან აღნიშნულით დამცირებულადაც იგრძნო თავი). შესაძლებელია, ფსიქოლოგიური ძალადობა უშუალოდ არასრულწლოვანზე არ ხორციელდებოდეს, მაგრამ იგი ხშირად იყოს ოჯახის სხვა წევრებს შორის არსებული ძალადობრივი ურთიერთობების შემსწრე და შესაბამისად, მასზე დამთრგუნველად მოქმედებდეს ამგვარი გარემო, რის გამოც, ირიბად აღმოჩნდეს, მშობლების მხრიდან ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი.

შემაკავებელი ორდერის გამოცემისას, ფსიქოლოგიური ძალადობის დასადასტურებლად შესაძლოა არსებობდეს რაიმე ტიპის ექსპერტიზა, აუდიო/ვიდეო ჩანაწერი ან სხვა ტიპის ნივთიერი მტკიცებულება. თუმცა, ზოგჯერ ზემოაღნიშნული მტკიცებულებების არარსებობის დროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი უფლებამოსილია შეაფასოს ის ზოგადი სიტუაცია, რომელშიც დახვდა არასრულწლოვანი და მიიღოს გადაწყვეტილება შემაკავებელი ორდერის გამოცემის შესახებ (მაგალითად, არასრულწლოვანი შემძვრალია საწოლის ქვეშ და ტირის, არის პანიკაში და ითხოვს, რომ მარტო არ დატოვონ და სხვა). ასეთ დროს, მოძალადისაგან არასრულწლოვნის განრიდებაზე გადაწყვეტილება მიიღება ინდივიდუალურად, სოციალურ სამსახურებთან კონსულტაციით ან მათი უშუალო მონაწილეობით.

<u>ფიზიკური ძალადობა</u> - კანონმდებლობის მიხედვით, ეს არის ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე (ჯანმრთელობის დაზიანება) მუხლებით გათვალისწინებული შედეგი. განსხვავებით ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, ფიზიკური ძალადობა შესაძლოა იყოს ერთჯერადი ქმედებაც, რომელიც ფიზიკურ ტკივილს იწვევს. მიუხედევად იმისა, თუ ფიზიკური ძალადობის რომელი ფორმა გამოიყენა მოძალადემ, აუცილებელია, რომ ყველა შემთხვევაში, მსხვერპლმა განიცადოს ფიზიკური ტკივილი.

ზოგადად კი, ფიზიკური ძალადობა არის ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვაგვარი ძალადობა, როდესაც ცემა ნიშნავს პირის სხეულზე რამდენჯერმე დარტყმას უშუალოდ ქმედების განხორციელების მომენტში (მაგალითად, რამდენჯერმე ფეხის ჩარტყმა, სახეში რამდენჯერმე გარტყმა და სხვა), ხოლო სხვაგვარი ძალადობა გულისხმობს ერთჯერად ძალმომრეობით ქმედებას (მაგალითად, ხელის კვრა, თმის მოქაჩვა, ფეხის ან ხელის ერთხელ ჩარტყმა და სხვა). ასეთ შემთხვევაშიც, შესაძლოა არ არსებობდეს პირდაპირი მტკიცებულება ან ადამიანმა არ განიცადოს ტკივილი, თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი უფლებამოსილია შეაფასოს ის ზოგადი სიტუაცია, რომელშიც დახვდა არასრულწლოვანი და მიიღოს გადაწყვეტილება შემაკავებელი ორდერის გამოცემის შესახებ.

<u>იძულება</u> - ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულებაა, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა ან/და საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება.

არასრულწლოვნებთან მიმართებით საქართველოში აღნიშნული ძალადობის ფორმა ხორციელდებ-ა, მაგალითად, არასრულწლოვნობის ასაკში ქორწინებისას. ვინაიდან არის შემთხვევები, როდესაც არასრულწლოვან პირს ადრეულ ქორწინებას თავად მშობლები აიძულებენ. როგორც წესი, ამ ფაქტს სხვადასხვა მიზეზები აქვს. ზოგჯერ, ეს „დასაოჯახებელი" არასრულწლოვნის ოჯახისთვის ფინანსური სარგებლის ან კეთილდღეობის სხვა ფორმის მიღებას შეიძლებოდა უკავშირდებოდეს. ზოგჯერ, მშობლები გულწრფელად ფიქრობენ, რომ ეს ქორწინება მათი შვილისთვის ბედნიერების მომტანი იქნება.

სწორედ ამიტომ, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, დაუშვებელია ქორწინება სრულწლოვანების, ანუ 18 წლის ასაკამდე. ამ კანონის დარღვევა, რა თქმა უნდა, მიჩნეულია არასრულწლოვნის უფლებების დარღვევად და მოჰყვება სამართლებრივი რეაგირება საქართველოს სამოქალაქო და/ან სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლების მიხედვით, რაც განისაზღვრება შემთხვევის თავისებურებიდან გამომდინარე.

<u>სექსუალური ძალადობა</u> - სექსობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით, აგრეთვე, სექესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ.

ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა ქმედებათა ფართო სპექტრს მოიცავს. სექსუალური ძალადობის შემთხვევაში, ბავშვები ყველაზე მოწყვლადი კატეგორიაა, შესაბამისად, მათი დარწმუნება, დაშინება და დაყოლიება რაიმე ქმედებაზე ზრდასრული ადამიანისათვის გაცილებით მარტივია, ვინაიდან მოზრდილს, ჯერ ერთი, იოლად შეუძლია ბავშვზე ზეგავლენის მოხდენა, და მეორე, ბავშვს არ შეუძლია ამ ქმედებათა მნიშვნელობის გაგება, მათი შეფასება, რასაც მისგან მოითხოვენ. გარდა ამისა, მოძალადე თავისი მიზნის მისაღწევად ხშირად მიმართავს მუქარას ან შანტაჟს, რაც ბავშვისთვის ყველაზე მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმაა. სექსუალური ძალადობა შეიძლება მოხდეს ოჯახს გარეთ ან ოჯახში. ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ასაკის ბავშვი, როგორც გოგონა, ასევე ბიჭი. როგორც წესი, ოჯახში სექსუალური ძალადობა ყველაზე რთულად გამოსავლენია, ვინაიდან ბავშვები ენდობიან, ეყრდნობიან ოჯახის წევრებს და თვლიან, რომ ის, რაც მათ თავს ხდება, ჩვეულებრივი ამბავია. ასეთი ტიპის ძალადობისას, ურთულესია სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვთან კომუნიკაცია და მისგან ინფორმაციის მიღება, რისთვისაც აქტიურად გამოიყენება სპეციალურად საამისოდ გამოყოფილი და მოწყობილი სივრცე („ბარნაჰუსი").

<u>ეკონომიკური ძალადობა</u> - ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებუ-

ლი ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას. აღნიშნულით დაზარალებული შესაძლოა გახდეს, მათ შორის, არასრულწლოვანიც თუ ამგვარი ქმედებებით უარესდება მისი ეკონომიკური მდგომარეობა.

მაგალითად, შვილის დაუმორჩილებლობის გამო დასასჯელად, მამამ, რომელიც მარტო ზრდიდა მას, რამდენიმე დღის განმავლობაში განზრახ არ იყიდა საკვები, არ გადაიხადა ელექტროენერგიის გადასახადი, რის გამოც არასრულწლოვანი იძულებული გახდა საკვები მიეღო სხვადასხვა ნაცნობ პირთან.

<u>უგულებელყოფა</u> - მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის ან სხვა პასუხისმგებელი პირის მიერ არასრულწლოვნის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, საფრთხისაგან დაუცველობა, საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვა, დაბადების რეგისტრაციის, სამედიცინო ან სხვა მომსახურებებით სარგებლობისათვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობა, თუკი მშობელს, სხვა კანონიერ წარმომადგენელსა თუ პასუხისმგებელ პირს აქვს სათანადო ინფორმაცია და შესაძლებლობა და ხელი მიუწვდება შესაბამის მომსახურებაზე.

როგორც წესი, უგულებელყოფა ერთჯერადი ქმედებებით არ გამოიხატება და მეორდება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, თუმცა გვხვდება ეპიზოდური შემთხვევებიც. არასრულწლოვნის კანონიერი ინტერესების უგულებელყოფა შესაძლოა გამოიხატებოდეს ბავშვის მოუვლელობაში, საკვების მიუცემლობაში, სკოლაში არტარებაში, პირადობის/დაბადების მოწმობის აუღებლობაში და სხვა.

მაგალითად, ექიმის გადაწყვეტილებით, არასრულწლოვანს ესაჭიროება განთავსება სამედიცინო დაწესებულებაში გადაუდებელი სტაციონარული მომსახურებების მიღების მიზნით, რაზეც მშობელი კატეგორიულ უარს აცხადებს და რაც საფრთხის შემცველია არასრულწლოვნის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

სახელმწიფოში არსებული ბერკეტები ძალადობის ნებისმიერი ფორმის გამოვლენისას. ძალადობაზე შეტყობინების მიღების შემდეგ, პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი აფასებს ძალადობის განმეორების რისკებს შემაკავებელი ორდერის ოქმის შევსებისას. ასევე, გამოკვეთს თუ რომელი ძალადობის ფორმები გამოიყენა მოძალადემ მსხვერპლის მიმართ. მხოლოდ აღნიშნულის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას, გამოიცეს თუ არა შემაკავებელი ორდერი, ხოლო უფრო მძიმე შემთხვევების გამოვლენისას, იღებს გადაწყვეტილებას სისხლის სამართლის გამოძიების დაწყების შესახებ, ვინაიდან მსხვერპლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია შესაძლოა შეიცავდეს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს. ასევე შესაძლოა, მსხვერპლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია არ შეიცავდეს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს და პოლიციის თანამშრომელი შემოიფარგლოს შემაკავებელი ორდერის გამოცემით.

მიმართვიანობის პროცედურები. 2016 წლის 12 სექტემბერს მიღებული იქნა მთავრობის დადგენილება N437 „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“. აღნიშნული დადგენილება სხვა საკითხებთან ერთად, ასევე ითვალისწინებს ოჯახში ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნების დაცვის, დახმარებისა და იდენტიფიცირების წესსა და პირობებს, რაშიც ჩართულები არიან სხვადასხვა სახელმწიფო უწყებები, რომლებიც სწორედ აღნიშნული დადგენილების საფუძველზე, კომპეტენციის ფარგლებში, ცვლიან ერთმანეთთან ინფორმაციებს ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნების შესახებ.

მაგალითად, პოლიცია რეფერირების პროცედურების ფარგლებში: რეაგირებს ბავშვზე ძალადობის ფაქტების გამოვლენაზე; აღკვეთს ბავშვზე ძალადობის ფაქტებს; სოციალურ მუშაკთან ერთად აღასრულებს ბავშვ(ებ)ის განცალკევების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას; გადაუდებელ შემთხვევაში, უზრუნველყოფს ბავშვ(ებ)ის გადაყვანას სამედიცინო დაწესებულებაში და სხვა. აღნიშნულ დადგენილებაში, ასევეა გაწერილი სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები, ბავშვის მიმართ ძალადობის ეჭვის არსებობის შემთხვევაშიც კი.

სტატისტიკური მონაცემები. ზემოაღნიშნულ სტატიაში მიმოხილულია ის ძირითადი ნორმატიული აქტები და საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც ქვეყნის მასშტაბით ქმნის ბავშვის ძალადობისაგან თავისუფალ გარემოში არსებობის

გარანტიას, უზრუნველყოფს ბავშვის მშვიდ და უსაფრთო აღზრდასა და მისი საუკეთესო ინტერესების დაცვას, რათა შესაძლებელი გახდეს ბავშვის მიმართ ძალადობის ციკლის დარღვევა, საფრთხის დაძლევა მისი წარმოშობის წყაროსთანავე და შემცირდეს საფრთხის რეალიზების ალბათობა.

და ბოლოს, საერთო სურათის თვალსაჩინოებისათვის, წარმოგიდგენთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს, რომელთა შესაბამისად, შემაკავებელი ორდერები არასრულწლოვან მსხვერპლთა ასაკის გათვალისწინებით შემდეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი N1

	2022 წ.		2023წ.		2024 წლის 9 თვე	
	<13 წელი	14-17 წელი	<13 წელი	14-17 წელი	<13 წელი	14-17 წელი
ქალთა მიმართ ძალადობა	-	-	4	30	2	36
ოჯახში ძალადობა	264	278	213	285	167	231

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სრული ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების გაცნობა შესაძლებელია ლინკზე (https://info.police.ge/page?id=1020).

დეკანოზი ლევან მათეშვილი

ისტორიის დოქტორი

ქრისტიანობა და ბავშვთა უფლებები

ქრისტიანობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბავშვის უფლებების გარშემო დისკურსის ჩამოყალიბებაში.

ბიბლია, რამდენიმე ძირითადი სწავლების წარმოდგენით, ხაზს უსვამს ბავშვების მნიშვნელოვნებას და ბავშვების მიმართ ღრმა პატივისცემას გამოხატავს; აღიარებს მათ საზოგადოების სრულფასოვან წევრებად, რომლებიც სიყვარულისა და დაცვის ღირსნი არიან. ასევე, წმინდა წერილი ხაზს უსვამს სამართლიანობის, თანაგრძნობისა და ვალდებულების თემებს, რომლებიც პირდაპირ შეიძლება იყოს გამოყენებული ბავშვების მიმართ მოპყრობაში, მაგალითად, მუხლები, რომლებიც ობლებისა და ქვრივების დაცვის სარგებლობის მახასიათებლებს შეიცავს. ქრისტიანებისთვის მორალური მოვალეობაა იმ ადამიანების ადვოკატირება, რომლებიც ვერ ახერხებენ თავისი უფლებების დაცვას.

ისტორიულად, ქრისტიანები პირველნი იყვნენ ბავშვების მოვლისა და დაცვის სფეროში. ადრექრისტიანულ პერიოდში მორწმუნეებმა დააარსეს ინსტიტუტები ობლებისა და მიტოვებული ბავშვების მოვლისთვის. ეს ვალდებულება გაგრძელდა შუა საუკუნეებშიც. სხვადასხვა მონასტერი საკუთარი ტიპიკონების განჩინებით უზრუნველყოფდა განათლებასა და მხარდაჭერას დაუცველი ბავშვების მიმართ. შემდგომში ქრისტიანული მსოფლმხედველობა განსაკუთრებით კონცენტრირდა განათლების საჭიროებაზე, როგორც საშუალებაზე ბავშვების სულიერი და მორალური განვითარებისთვის, რაც ბავშვთა უფლებების თანამედროვე შეხედულებების საფუძველთა საფუძველი გახდა.

თანამედროვე საზოგადოებაში ბავშვთა უფლებების პრინციპები ღრმად უკავშირდება ქრისტიანულ ფასეულობებს. გაეროს კონვენცია (1989) წარმოგვიდგენს ბავშვების საბაზისო უფლებებს; ხაზს უსვამს მათ უფლებას უსაფრთხოების, განათლებისა და გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის თაობაზე, რაც მათ ცხოვრებაზე აისახება. ბევრი ქრისტიანული ორგანიზაცია აქტიურად უჭერს მხარს ამ პრინციპებს, ხედავს მათ, როგორც ბუნებრივ გაგრძელებას მათი სარწმუნოებისთვის.

ორგანიზაციები, როგორიცაა World Vision და Compassion International, დაუღალავად მუშაობენ ბავშვთა კეთილდღეობის ხელშეწყობისთვის, უზრუნველყოფენ განათლებას, ჯანდაცვას და ექსპლუატაციისგან დაცვის საშუალებებს. ისინი

სერიოზულად აღიქვამენ სულიერ განვითარებას, აღიარებენ, რომ ბავშვების ფიზიკური, ემოციური და სულიერი კეთილდღეობა ერთმანეთთან არის დაკავშირებული.

ქრისტიანობასა და ბავშვთა უფლებებს შორის ძლიერი შესაბამისობის მიუხედავად, არსებობს გამოწვევები მორწმუნე საზოგადოებაში. წმინდა წერილის სხვადასხვა კულტურული ინტერპრეტაცია შეიძლება იწვევდეს განსხვავებულ ხედვებს ბავშვის დისციპლინის, განათლებისა და უფლებების საკითხებზე. ზოგიერთი პრაქტიკა, როგორიცაა ბავშვის შრომა ან ადრეული ქორწინება, შეიძლება იყოს გამართლებული კულტურული ტრადიციებით, მაშინაც კი, როცა ისინი ეწინააღმდეგება ბავშვთა უფლებების პრინციპებს.

ბიბლია ბავშვთა ღირებულებებზე ფუნდამენტურ შეხედულებას წარმოადგენს. ერთ-ერთი მთავარი სწავლება, რომელიც იესო ქრისტესგან მომდინარეობს, ხაზს უსვამს ბავშვების მნიშვნელობას ზეციური სამეფოსთვის. მათეს სახარებაში (19:14) იესო ამბობს: „მოუშვით ბავშვები ჩემთან მოსასვლელად და ნუ შეუშლით მათ ხელს, რადგან ასეთთა არის ცათა სამეფო.“ ეს მონაკვეთი, სხვა მსგავს სწავლებებთან ერთად, ასახავს ფართო ბიბლიურ თემას, რომელიც ბავშვის თანდაყოლილ ღირებულებას და პატივისცემის მოპოვების უფლებას ეხება. მათი უმანკოება და თავმდაბლობა ხშირად გამოიყენება ქრისტიანულ სწავლებებში, როგორც რწმენისა და სიწმინდის სიმბოლო. ბიბლიური საფუძველი აყალიბებს ბავშვების მნიშვნელობასა და ზრუნვას ქრისტიანულ საზოგადოებაში.

ადრეულ ქრისტიანულ ეპოქაში, ქრისტიანები მნიშვნელოვან სოციალურ პასუხისმგებლობას იღებდნენ ბავშვების მიმართ, განსაკუთრებით მოწყვლადი ბავშვების მიმართ. ობოლი და გარიყული ბავშვები ხშირად ექცეოდნენ ქრისტიანული თემების მზრუნველობის ქვეშ, რადგან ეს აღიქმებოდა ქრისტეს სიყვარულისა და თანაგრძნობის გამოხატულებად. ადრეული ქრისტიანული ავტორები და მათი წერილები აჩვენებს, რომ ეს ქმედებები ქრისტიანული ქველმოქმედებისა და სოციალური პასუხისმგებლობის ნაწილი იყო. ობოლთა სახლები და ბავშვების დახმარების სხვა ფორმები ქრისტიანული სოციალური სტრუქტურების განუყოფელი ნაწილი გახდა, რაც გავლენას ახდენდა ქრისტიანული მოძრაობების განვითარებაზე.

შუა საუკუნეებში შეიცვალა ბავშვების აღქმა როგორც რელიგიურ, ისე სოციალურ კონტექსტში. ამ პერიოდში ქრისტიანულმა აზროვნებამ დიდი გავლენა მოახდინა ბავშვობის შესახებ შეხედულებებზე და განსაკუთრებით უსვამდა ხაზს ბავშვთა უმანკოებას და მათ სულიერ-ზნეობრივ განვითარებას. ბავშვების თანდაყოლილი უმანკოების, მაგრამ ზნეობრივად და სულიერად განვითარებადი ინდივიდების წარმოდგენა უფრო ნათელი გახდა. შუა საუკუნეების ქრისტიანული სწავლება ასევე აღიარებდა ბავშვების ინდივიდუალურ სულიერ მოგზაურობას და მათში განსხვავებულ არსებებს ხედავდა, ვიდრე უბრალოდ პატარა მოზარდებს.

ბავშვთა უფლებები და მათი თეოლოგიური მნიშვნელობა ქრისტიანობის ფუნდამენტია საერთოდ ადამიანის გააზრებაში, რადგან ყველა ადამიანი, მათ შორის ბავშვები, შექმნილია ღვთის ხატად. ეს პრინციპი ვრცელდება ყველა ადამიანზე და საფუძველს ქმნის მათი თანდაყოლილი ღირსებისა და ღირებულების აღიარებისთვის. დაბადების 1:27-ში ნათქვამია: „შექმნა ღმერთმა კაცი თავისი ხატებით, ღვთის ხატებით შექმნა იგი; მამრი და დედაკაცი შექმნა ისინი.“ ეს ღვთიური დანიშნულება თითოეულ ინდივიდს, განურჩევლად ასაკისა, ანიჭებს ღირებულებასა და უფლებებს, რომლებიც პატივისცემით უნდა იქნეს დაცული. ამ გაგებით, ბავშვები არ არიან მხოლოდ დამოკიდებული ან მომავალი ზრდასრული პირები, არამედ არიან სრულფასოვანი წევრები ადამიანთა ოჯახისა, რომლებიც იმსახურებენ ისეთივე პატივისცემას, ზრუნვასა და დაცვას, როგორც ნებისმიერი სხვა პიროვნება. ღვთის ხატობის თეოლოგიური გაგება ხელს უწყობს ბავშვთა უფლებების განხილვას, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბავშვები ღვთის შექმნილნი არიან და იმსახურებენ სამართლიანობას, პატივისცემას და განვითარებისთვის საჭირო შესაძლებლობებს.

ქრისტიანული სწავლება დიდ ყურადღებას აქცევს სიყვარულისა და თანაგრძნობის მნიშვნელობას, განსაკუთრებით მოწყვლადი პირების მიმართ. ბავშვები, როგორც საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ნაწილი, ხშირად ამ ზრუნვისა და დაცვის მოწოდების წინა პლანზე დგანან. იესოს ურთიერთობა ბავშვებთან, როგორიცაა მათეს 18:5-ში, სადაც ის ამბობს: „ვინც ასეთ ბავშვს მიიღებს ჩემი სახელით, მე მღებულობს,“ ასახავს ქრისტიანულ ვალდებულებას, ბავშვების სიყვარულით, პატივისცემითა და დაცვით მოპყრობას. ეს სიყვარული და თანაგრძნობა ზრუნვის მიღმა გადის; ის მოითხოვს, რომ ქრისტიანებმა აქტიურად დაიცვან ბავშვთა კეთილდღეობა და უფლებები, იბრძოლონ მათი ფიზიკური, ემოციური და სულიერი ზრდისთვის.

ბიბლიაში ხშირად არის მოწოდებები სამართლიანობისკენ, მრავალი მონაკვეთი ხაზს უსვამს დაჩაგრულთა დაცვისა და უპირატესობის მინიჭების საჭიროებას. ესაიას 1:17-ში ვკითხულობთ: „ისწავლეთ სიკეთის ქმნა; ეძიეთ სამართალი; შეეწიეთ დაჩაგრულებს; იბრძოლეთ ობლებისთვის, დაიცავით ქვრივების საქმე.“ ეს ბიბლიური მითითებები პირდაპირ უკავშირდება თანამედროვე ბავშვთა

ადვოკატირებისა და უფლებებისთვის მოძრაობებს. სამართლიანობის თეოლოგიური მოთხოვნა ქრისტიანებს უბიძგებს აქტიური როლი შეასრულონ ბავშვების უფლებების დაცვაში, დაიცვან ისინი ბოროტად გამოყენების, ექსპლუატაციისა და უგულებელყოფისგან. ბავშვების სამართლიანობის უზრუნველყოფის პასუხისმგებლობა ბუნებრივად გამომდინარეობს ბიბლიური სამართლიანობის მოწოდებიდან და თანხვდება თანამედროვე ძალისხმევას, ხელი შეუწყოს ბავშვთა უფლებებს ადგილობრივ, ეროვნულ და გლობალურ დონეებზე.

ქრისტიანულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს გაეროს ბავშვთა უფლებების (CRC), კონვენციის პრინციპების მხარდაჭერასა და ხელშეწყობაში. მრავალი ქრისტიანული ჯგუფი მიიჩნევს, რომ CRC შეესაბამება ბიბლიურ სწავლებებს ბავშვების თანდაყოლილი ღირსებისა და ღირებულების შესახებ. ეს ორგანიზაციები ხშირად იცავენ ბავშვთა უფლებებს, როგორც მათი სოციალური სამართლიანობისა და თანაგრძნობის ფართო მისიის ნაწილს. მრავალი ეკლესია და ქრისტიანული საქველმოქმედო ორგანიზაცია იყენებს CRC-ს, როგორც ჩარჩოს, რათა შეიმუშაოს პროგრამები, რომლებიც იცავს მოწყვლად ბავშვებს ძალადობის, ექსპლუატაციისა და უგულებელყოფისგან. ქრისტიანულ საზოგადოებებში CRC-ს მხარდაჭერა ასახავს საერთო რწმენას, რომ ბავშვები უნდა იზრდებოდნენ ზრუნვისა და დაცვის პირობებში, რაც ქრისტიანული პასუხისმგებლობისა და ზრუნვის პათოსს შეესაბამება.

მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ქრისტიანული ორგანიზაცია მხარს უჭერს ბავშვთა უფლებებს, ქრისტიანობაში კვლავ არსებობს დაძაბულობები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნეს ეს უფლებები გააზრებული და განხორციელებული. ერთ-ერთი დაძაბულობა წარმოიშობა წმინდა წერილების განსხვავებული ინტერპრეტაციების შედეგად. ზოგიერთი კონსერვატიული ქრისტიანული ჯგუფი ამტკიცებს, რომ ბავშვთა უფლებების თანამედროვე კონცეფციები ეწინააღმდეგება ტრადიციულ ოჯახურ სტრუქტურებსა და ბიბლიურ სწავლებებს მშობლების ავტორიტეტის შესახებ. მაგალითად, დისკუსიები ფიზიკურ დასჯაზე, ბავშვების როლზე ოჯახურ გადაწყვეტილებებში და საკითხები, რომლებიც სქესსა და სექსუალობას ეხება, ხშირად იწვევს დაპირისპირებას ქრისტიანულ საზოგადოებებში. გარდა ამისა, ზოგიერთ კულტურულ კონტექსტში ქრისტიანული სწავლება ღრმად არის გადაჯაჭვული ადგილობრივ წეს-ჩვეულებებთან, რომლებიც შეიძლება არ შეესაბამებოდეს ბავშვთა უფლებების საერთაშორისო სტანდარტებს. ეს კულტურული პრაქტიკები ართულებს ბავშვთა უფლებების განხორციელებას და იწვევს უთანხმოებას იმის შესახებ, თუ რა წარმოადგენს ბავშვების სათანადო ზრუნვასა და დაცვას. მრავალი ქრისტიანული საზოგადოებისთვის გამოწვევაა, იპოვონ ბალანსი ბიბლიურ პრინციპებსა და ბავშვთა უფლებების გლობალურ ნორმებს შორის.

ეკლესიებისა და ქრისტიანული თემებისთვის ბავშვთა უფლებების საკუთარ საქმიანობაში ინტეგრირება ხელს შეუწყობს მათ მისიების განხორციელებას. ერთ-ერთი პრაქტიკული ნაბიჯი შეიძლება იყოს ბავშვთა უფლებების პრინციპების ჩართვა ქადაგებებში, ბიბლიის შესწავლასა და საზოგადოებრივი დახმარების პროგრამებში. ეს შეიძლება გულისხმობდეს სემინარების ან დისკუსიების ორგანიზებას, რომლებიც მიაწვდის ეკლესიის წევრებს ინფორმაციას ბავშვების უფლებებისა და საჭიროებების შესახებ და დააკავშირებს ბიბლიურ სწავლებებს თანამედროვე ბავშვთა დაცვის ძალისხმევებთან. გარდა ამისა, ეკლესიებს შეუძლიათ შეიმუშაონ პროგრამები, რომლებიც კონკრეტულ მიზნად ისახავს ადგილობრივი ბავშვების კეთილდღეობის მხარდაჭერას. ეს შეიძლება მოიცავდეს ბავშვებისთვის უსაფრთხო სივრცეების უზრუნველყოფას, კლასგარეშე პროგრამების შეთავაზებას ან ბავშვების განათლების, ჯანდაცვისა და ძალადობისგან დაცვის გაუმჯობესებისკენ მიმართული ადვოკატირების პროცესებში ჩართვას. ბავშვთა უფლებების ინტეგრირებით სამსახურებრივ საქმიანობაში, ეკლესიები მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ ბავშვების ღირებულების, პატივისცემისა და განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფაში.

საზოგადოებაში ბავშვთა უფლებების ცნობიერების ამაღლების მიზნით, ეკლესიას შეუძლია ლიდერობა ითავოს საგანმანათლებლო ისეთი რესურსების მიწოდებისა და სემინარების ან კონფერენციების ორგანიზების მიმართულებით, რომ-

ლებიც ბავშვთა უფლებებს ქრისტიანული პერსპექტივიდან განიხილავს. ეს განათლება არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ბავშვთა უფლებების სამართლებრივი ასპექტებით, არამედ უნდა მოიცავდეს იმასაც, თუ როგორ ესადაგება ეს უფლებები ქრისტიანულ სწავლებებს სიყვარულის, სამართლიანობისა და თანაგრძნობის შესახებ. საკვირაო სკოლებმა და ახალგაზრდულმა ჯგუფებმაც შეიძლება შეიტანონ გაკვეთილები ბავშვთა უფლებებზე, ასწავლონ ახალგაზრდებს თავიანთი უფლებები და წაახალისონ ისინი, გახდნენ ადვოკატები სხვა ბავშვების უფლებებისთვის. განათლება ძლიერი ინსტრუმენტია ქრისტიანების მობილიზაციისთვის ბავშვთა უფლებების ადვოკატირების მხარდასაჭერად, რაც საბოლოოდ ძლიერი საზოგადოებებისა და ჯანმრთელი მომავლის უზრუნველყოფას შეუწყობს ხელს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქრისტიანობა მრავალ სხვადასხვა კულტურაშია გავრცელებული; თითოეული მიმართულება გამოირჩევა უნიკალური შეხედულებებითა და მიდგომებით ბავშვთა უფლებების მიმართ. ზოგიერთმა ქრისტიანულმა საზოგადოებამ, განსაკუთრებით დასავლეთის ქვეყნებში, შეძლო ბავშვთა უფლებების ინტეგრირება სამსახურებრივ საქმიანობასა და სოციალურ პროგრამებში. ისინი ხშირად თანამშრომლობენ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ბავშვთა კეთილდღეობის ხელშეწყობისთვის. თუმცა, სხვადასხვა ქრისტიანულ თემში, მსოფლიო მასშტაბით, შეიძლება არსებობდეს კულტურული სირთულეები ან განსხვავებული ინტერპრეტაციები ბავშვთა უფლებების შესახებ; მაგალითად, ზოგიერთ კულტურაში ბავშვის აღზრდის ან ოჯახური სტრუქტურების ტრადიციული პრაქტიკა შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ბავშვთა უფლებების საერთაშორისო სტანდარტებს. ეს მუდმივი გამოწვევები ხაზს უსვამს გლობალურ ქრისტიანულ კონტექსტში ბავშვთა უფლებების საკითხისადმი სენსიტიური მიდგომისა და ადაპტირების საჭიროებას. მიუხედავად ამ გამოწვევებისა, ბევრი პოზიტიური ისტორია არსებობს, რომლებშიც ქრისტიანულმა ორგანიზაციებმა წარმატებით განახორციელეს ბავშვთა უფლებების პროგრამები, რამაც დადებითი ცვლილებები გამოიწვია მოწყვლადი ბავშვების ცხოვრებაში. ამ წარმატებების ფონზე, სწავლასა და სხვა გამოწვევებთან დაკავშირებული სირთულეების გადაჭრის პროცესის განგრძობადობით, ქრისტიანულმა თემებმა შეიძლება მნიშვნელოვანი პროგრესი განავითარონ ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის მიმართულებიით.

ლიტერატურა:

1. *ახალი აღთქმა, სტოქჰოლმის გამოცემა, 1989;*
2. *Bunge, M. J. (2001). The Child in Christian Thought. Wm. B. Eerdmans Publishing Co.*
3. *O'Neill, P. (2016). Children and Childhood in the Bible: A Comparative Study. Oxford University Press.*
4. *Horn, C. B., & Martens, J. W. (2009). "Let the Little Children Come to Me": Childhood and Children in Early Christianity. Catholic University of America Press.*
5. *Cahill, L. S., & Farley, M. A. (2007). Theological Bioethics: Participation, Justice, and Change. Georgetown University Press.*
6. *Miles, M. (2003). The Word Made Flesh: A History of Christian Thought on Disability. Wiley-Blackwell.*
7. *Bunge, M. J. (2012). Children, Adults, and Shared Responsibilities: Jewish, Christian, and Muslim Perspectives. Cambridge University Press.*
8. *Collins-Mayo, S., & Dandelion, P. (2010). Religion and Youth. Ashgate Publishing.*
9. *Smolin, D. M. (2006). Overcoming Religious Objections to the Convention on the Rights of the Child. Emory International Law Review, 20(1), 81-109.*
10. *Marshall, K. (2019). Compassion and Conviction: Christian Advocacy in a Secular World. World Vision International.*
11. *Groody, D. G. (2007). Globalization, Spirituality, and Justice: Navigating the Path to Peace. Orbis Books.*
12. *Boyd, R. L. (2011). Child Rights and Christian Mission: A Theological Foundation. The International Journal of Children's Rights, 19(2), 273-289.*
13. *Davis, J. (2000). Children in Global Christianity: Past, Present and Future. Studies in World Christianity, 6(2), 191-206.*

მარიამ ალანია

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის ფსიქოლოგი / პროფესიული ზედამხედველი (მეთოდოლოგიური მიმართულების მენტორი)

მედიის მოხმარება, აგრესია და ძალადობა ბავშვებსა და მოზარდებში

ბოლო წლებში აგრესიულმა და ძალადობრივმა ქცევამ ბავშვებსა და მოზარდებში განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია და საჯარო დისკუსიების აქტუალურ თემად იქცა. ამ საკითხის აქტუალიზაციაში დიდი როლი მიუძღვის მედიას. მედიასაშუალებების გააქტიურება, ერთი მხრივ, ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ხშირად ინფორმაციის გავრცელება იწვევს მყისიერ რეაგირებას, იგეგმება კვლევები და პრევენციის მექანიზმები. თუმცა, მეორე მხრივ, შეიძლება პრობლემის გადაჭარბებული შეფასებაც განაპირობოს.

ცნება „აგრესიული ქცევა“ ხშირად გამოიყენება როგორც ყოფით საუბარში, ისე სამეცნიერო ენაში და ხშირად გაიგივებულია „ძალადობასთან“. ბავშვებსა და მოზარდებში აღქმული „ძალადობა“ კი, ზოგიერთ შემთხვევაში, გაიგივებულია „ბულინგთან“.

Nolting (2000)-ის თანახმად, ძალადობა აღნიშნავს აგრესიის მძიმე ფორმებს და ეს განსაკუთრებით ეხება ფიზიკურ აგრესიას. ყოველდღიურ მეტყველებაში ტერმინი „აგრესიული ქცევა“ ხშირად იმისთვის გამოიყენება, რომ ეტიკეტირებულ იქნეს ქცევის ის სახეობები, რომლებიც ნორმის შესახებ ჩვენი საკუთარი წარმოდგენებისგან გადახრილია. სხვების აგრესიული ქცევის შეფასებისას, ჩვენ მიდრეკილნი ვართ, ახსნა პიროვნულ მახასიათებლებში ვეძიოთ, ხოლო ჩვენი აგრესიული ქცევის შეფასებისას - აქცენტი არახელსაყრელ სიტუაციურ პირობებზე გადავიტანოთ.

ყოველდღიურ მეტყველებაში გამოყენებული აგრესიის ცნების ძირეული პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ის, ძირითადად, ნეგატიური კონოტაციით გამოიყენება (Borg-Laufs, 1997), თუნდაც ეს მხოლოდ სხვების ქცევის შეფასებას ეხებოდეს. ცნების ყოფითი მნიშვნელობა ასევე განისაზღვრება საზოგადოების მიერ მისი აღქმით და მედიაში მისი თემატიზაციით. არსებული საზოგადოებრივი ნორმები გავლენას ახდენს - როგორ გვესმის

ცნება და როგორ ვიყენებთ მას. რადგან აგრესიული ქცევა წესების/მოლოდინების საწინააღმდეგოა, შესაბამისად, ხშირად იწვევს საწინააღმდეგო რეაქციებს გარემოში.

თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აგრესიულ ქცევას აღიარებაც მოჰყვება ხოლმე, საზოგადოების მხრიდან და ნაწილობრივ სოციალურად მისაღები და სასურველიც კი ხდება. ეს ფენომენი თავს იჩენს ინდივიდების მდუმარე აღფრთოვანებაში, როდესაც აკვირდებიან თუ როგორ აღწევს სხვა ინდივიდი თავის მიზნებს სხვების გამოყენებითა და სტრატეგიული მანიპულაციით. ბავშვები სოციალიზაციის პროცესში სწავლობენ სხვების მოლოდინებზე ზეგავლენას და მათ გამოყენებას საკუთარი მიზნებისთვის (Gruen, 2001). სავარაუდოა, რომ „გულგრილობის აგრესია“ (დახმარების არგაწევა, მიუხედავად მისი საჭიროებისა), ასევე, სოციალურად მისაღებად ითვლება.

აგრესიის პოზიტიური მხარე ყოფითი მეტყველების თითქმის არცერთ დეფინიციაში არ გვხვდება. თუმცა, თავად ცნების ეტიმოლოგია ორმნიშვნელოვანია (ლათ. Ad gredi; ან aggredi: მიახლოება, ვიღაცისკენ მიმართვა, ვიღაცის მოპოვება, წვდომა, თავდასხმა). აგრესიის პოზიტიური ასპექტებია: თვითდამკვიდრების უნარი და საკუთარი მიზნების აქტიური დასახვა. შეჯამების სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აგრესიის ძირითად სამეცნიერო დეფინიციებში, ზიანის მომტანი ქცევის პარალელურად, გათვალისწინებულია ქცევის ინტენციაც.

აგრესიული ქცევის სტრუქტურირების მცდელობისას, აგრესიული ქცევა იყოფა ფუნქციისა და გამოხატვის ფორმების მიხედვით.

ბავშვობისა და მოზარდობის ასაკში აგრესიული ქცევა იმავე ნიშნებით ხასიათდება, რითაც ზრდასრულებში. ეს, პირველ რიგში, გულისხმობს დამაზიანებელი ქცევისა და განზრახვის გათვალისწინებას.

მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის შედეგად, ღია დისკუსიებში ხშირად თავს იჩენს ტენდენცია, რომ ძალადობამ ბავშვებსა და მოზარდებში მოიმატა. განსაკუთრებით, თუ ეს ეხება ბულინგს, სუიციდს და მძიმე ფიზიკურ ტრავმას. რეალურად, ძალადობა ბავშვებსა და მოზარდებში, ასევე - აგრესიული ქცევა, მართლაც აქტუალური პრობლემაა, თუმცა მისი ზრდის მაჩვენებელი არც ისე დრამატულია.

Steinhausen-ის მიხედვით, ევროპის რეგიონში, ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრში მიმართვის ყველაზე ხშირი მიზეზი სოციალური ქცევის დარღვევაა. არსებობს მონაცემები, რომ აგრესიული ქცევა და ძალადობა, რაოდენობრივად არსებითად არ შეცვლილა. ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ ამ შემთხვევაში, რთული იქნება თქმა, მართლაც მოიმატა აგრესიამ და ძალადობრივმა ქცევამ, თუ ეს ტენდენცია დაკავშირებულია აღქმის სენსიბილიზაციასთან და ინფორმაციის გასაჯაროებისა და ხელმისაწვდომობის მატებასთან. ზრდის შემთხვევაშიც კი, ის ნაკლებად დრამატულია, ვიდრე მიიჩნევა.

(Oswald, 2019). პოტენციური გამომწვევი მიზეზების დეტალური ანალიზი და რეალისტური აღქმა მშობლებისა და მასწავლებლების მხრიდან, ხელის შემწყობი იქნება შემდგომი პრევენციისა და ინტერვენციის დასაგეგმად.

მასწავლებელთა, სკოლის მმართველთა, მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგები გვაძლევს ინფორმაციას ბავშვებსა და მოზარდებში აგრესიისა და ძალადობის ინტენსივობის შესახებ. კვლევების შედეგები, რომლებიც კითხვარების საშუალებით ჩატარდა და აგრესიის პოტენციალის შეფასებას ემსახურება, ზოგადად ადასტურებს აგრესიული და ძალადობრივი ქცევის მატების ტენდენციას. (Freitag&Hurrelman, 2015)

ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს ბულინგის კვლევებში, სადაც შესწავლილია აგრესია და ძალადობა ბავშვებს შორის. ბულინგთან დაკავშირებული კვლევის ჩატარება პირველად დაიწყო Olweus-მა (1993), სკანდინავიაში, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, რომლის მიზანიც იყო აგრესიისა და ძალადობის შემცირება სკოლებში. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ სკოლებში ბულინგი ფართოდაა გავრცელებული: ინგლისში, დაწყებითი სკოლის მოსწავლეების 12% ამბობს, რომ ბულინ-

გი განუხორციელებია თანაკლასელთა მიმართ ,,ხშირად“ ან „ზოგჯერ“ და 27% - ასევე დაწყებითი სკოლის მოსწავლეების, ადასტურებს, რომ „ზოგჯერ“ მაინც ყოფილა ბულინგის მსხვერპლი (Whitney&Smith, 2013). „ოლვეუსის“ (1999) მიხედვით, ნორვეგიის დაწყებითი და საშუალო სკოლის მოსწავლეთა 15% „ზოგჯერ“ ან „ხშირად“ ყოფილა ძალადობის ინტერაქციაში ჩართული, როგორც მოძალადე ან მსხვერპლი. ემპირიული კვლევები გერმანიაში აჩვენებს, რომ ძალადობრივი ქმედებების რაოდენობა, სკოლის ტიპისგან დამოუკიდებლად, ბოლო წლების განმავლობაში, მომატებულია (Weiss, 2023).

ძალადობის დომინანტური ფორმა, ძირითადად, არის ვერბალური და არავერბალური აგრესია. ზრდა განსაკუთრებით შესამჩნევია წესების დაუმორჩილებლობისა და ვერბალური ძალადობის შემთხვევაში. გაზრდილია არა მხოლოდ ძალადობისა და აგრესიის გამოვლინება, არამედ მათი მიმღებლობაც. ვაისის კვლევაში ყოველი მეოთხე მოსწავლე ძალადობას მისაღებად მიიჩნევს თუ სამართლიანად თვლის მას. „ჰოტაპელსის“ კვლევაში მოსწავლეებს სთხოვდნენ, აგრესიული ქცევა შეეფასებინათ ქცევითი კატეგორიების, მაგალითად, ასეთი დებულებების მიხედვით: „თანაკლასელის გაღიზიანება, მისთვის საგნების სროლა“, რასაც მოსწავლეთა 62% დაეთანხმა. თუმცა, აქ ღია რჩება კითხვა, რამდენად შეიძლება მსგავსი კატეგორიების გაანალიზებით ვიმსჯელოთ აგრესიის პოტენციალის შესახებ, მით უმეტეს, რომ აღნიშნული ქცევის სიხშირე არ არის გათვალისწინებული. აგრესიისა და ძალადობის აღქმის შესახებ მოსწავლეთა გამოკითხვამ ბერლინში, მე-7-დან მე-10 კლასების ჩათვლით, აჩვენა, რომ მოსწავლეთა 56%-ის აზრით, ძალადობის გამოყენება მომატებულია, ხოლო 56% თვლის, რომ გაზრდილია მტრული განწყობა/დამოკიდებულება (Dettenborn&Lautsch, 2023).

სკოლაში აგრესიის გაზომვის შედეგები, ზოგადად, შეგვიძლია დავახასიათოთ როგორც წინააღმდეგობრივი. განსაკუთრებით პრობლემატურია ის, რომ აგრესიული ქცევა ძალიან განსხვავებულადაა ოპერაციონალიზებული, რის გამოც, სხვადასხვა კვლევის შედარება რთულია. შემდგომი სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ მასწავლებელთა და მოსწავლეთა ანგარიშები, ძირითადად, ძალიან მაღალ თანხვედრაშია. მაგალითად, Knopf-ის კვლევა, სადაც მონაწილეობდნენ როგორც მოსწავლეები, ისე მასწავლებლები, აჩვენებს, რომ კვლევაში ჩართული ყველა ფორმის სკოლაში „იშვიათად“ ან „ზოგჯერ“ ვლინდება ძალადობა მოსწავლეთა შორის. მოსწავლეებმა ძალადობა უფრო მაღალი მაჩვენებლით შეაფასეს, ვიდრე მასწავლებლებმა. კვლევებმა აჩვენა, რომ მოსწავლეები, ზოგადად, აგრესიისა და ძალადობის შეფასების თვალსაზრისით, საკმაოდ ადეკვატურები არიან.

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში აგრესიისა და ძალადობის საკითხი, ბოლო წლებია, რაც თემატიზებულ პრობლემად იქცა. შესაბამისად, მონაცემები აუცილებელი დიფერენცირებით ჯერჯერობით ნაკლებია და განვითარების ტენდენციის შესახებ კითხვები არასაკმარისადაა პასუხგაცემული. თუ შევადარებთ 90-იანი წლების მონაცემებს 70-იანი წლების მონაცემებთან, ვნახავთ, რომ მატება შეინიშნება სკოლაში წესების დარღვევის სფეროში, (დაახლოებით, 5%). ამასთან, მატება არც ისეთი დრამატულია, როგორც ეს ხშირად კრიმინალურ სტატისტიკაში ჩანს. განსაკუთრებით საგანგაშო და საყურადღებოა, რომ მომატებულია პროცენტულად დაბალი წილის მქონე, განსაკუთრებით ძლიერი აგრესიისა და ძალადობრივი ქმედებების რიცხვი (Hurrelmann, 2015). ეს იმას ნიშნავს, რომ აგრესიისა და ძალადობის ცვლილება ხშირად ხარისხობრივია და არა რაოდენობრივი (Olweus, 1993). თუ ძალადობას აქვს ადგილი, მაშინ ის უფრო მასობრივი, ინტენსიური და სასტიკია (Hurrelmann, 2015). ამასთან, ის უფრო „დიფუზურიცაა“, რაც იმას ნიშნავს, რომ ნაკლებადაა რეგულირებული მკაფიო „თამაშის წესებით“. აღნიშნულთან კავშირში, მნიშვნელოვანია იმის გააზრებაც, რომ თუმცა აგრესიული ქცევა საჯაროდ გარიყვას და მიუღებლობას იწვევს, ის ხშირად ფარულად აღიარებულად და სოციალურად მისაღებად განიცდება (Gruen, 2019).

ბავშვებსა და მოზარდებში აგრესიისა და ძალადობის მატების ანალიზისას, კითხვა მედიის ზეგავლენის შესახებ (ტელევიზორი, სოციალური ქსელები, კომპიუტერული თამაშები) მრავალჯერ გამხდარა კამათის საგანი, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში, ისე საჯარო დისკუსიებში. ძალადობის შემცველი თემების მოხმარება სოციალურ ქსელებში, ვიდეოსა და კომპიუტერულ თამაშებში, ერთ-ერთი ცენტრალური ფაქტორია აგრესიის ხელშეწყობისათვის.

ბოლო წლებში, სოციალური ქსელების მოხმარებამ მოიმატა და ასაკობრივმა ზღურბლმაც მკვეთრად ჩამოიწია.

გროსმანის თანახმად, საშუალო სტატისტიკური ბავშვი სოციალური ქსელებისა და კომპიუტერის მეშვეობით მეტ უშუალო კომუნიკაციას იღებს, ვიდრე მშობლებისა და მასწავლებლებისგან ერთად.

დასწავლის თეორიის პრინციპის მიხედვით, ძალადობის ექსცესიურ მოხმარებას მივყავართ სტიმულაციამდე და ჰაბიტუაციამდე (შეჩვევიდან ვიდრე სრულ გულგრილობამდე). თუ ეს დიდი ხნის განმავლობაში გრძელდება, ირღვევა ბუნებრივი შეკავების მექანიზმი ძალადობის წინააღმდეგ (Grossmann, 1999).

კვლევებით დამტკიცდა, რომ ძალადობის შემცველი შინაარსების ხანგრძლივი მოხმარება იწვევს როგორც ქცევის, ისე კოგნიტურ და აფექტურ ცვლილებებსაც და მივყავართ სპონტანური აგრესიულობის, ასევე, ძალადობისადმი მზაობის მატებასთან და „მე“-ს აგრესიული ფორმით დამკვიდრებასთან (Weiss, 2019).

შემდგომ კვლევებში ასევე დამტკიცდა, რომ ძალადობის ექსცესიურ მოხმარებას მივყავართ ანტისოციალურ განწყობამდე, ემპათიის უნარის დაქვეითებამდე (Weiss,2019), მორალური განვითარების დაბალ საფეხურზე რეგრესიამდე, პოლიტიკურ რადიკალიზაციამდე, განსაკუთრებით - მემარჯვენე რადიკალიზაციამდე (Weiss, 2019).

უფრო მკვეთრად ამას ააშკარავებს შედეგები, რომლებიც ეხება ძალადობის ექსცესიური მოხმარების შედეგად განვითარებულ ხალისის გრძნობას სისასტიკის დროს და ტენდენციას - კონფლიქტები გადაწყდეს არარეფლექსიურად და ძალადობრივად (Weiss, 2019). აგრესიისა და ძალადობისადმი მზაობის რაოდენობრივი ზრდა, ძალადობრივი თემების მუდმივი მოხმარების შედეგად, დასტურდება ცალკეული შემთხვევების ანალიზით (Weiss, 2019). ცალკეული შემთხვევების ანალიზი ასევე ცხადყოფს, რომ ადგილი აქვს აგრესიის პოტენციალის ხარისხობრივ ცვლილებასაც. ვაისის (2000) თანახმად, მოზარდებს, რომლებსაც არ აღენიშნებოდათ ფსიქოპათოლოგიური დარღვევა, მკვლელობის დანაშაულის შემთხვევაში, მედიით დივერსულად ინდუცირებული და ფსიქოსოციალური გავლენებით განპირობებული მიზეზები ჰქონდათ.

შეჯამების სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კვლევების შედეგების თანახმად, მედიასაშუალებებით აგრესიისა და ძალადობის შემცველი შინაარსების ხანგრძლივი გამოყენება იწვევს როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ ცვლილებებს.

სოციალურ-კოგნიტური დასწავლის თეორია გვთავაზობს ახსნის მოდელს, რომელზე დაყრდნობითაც, შესაძლებლობა გვეძლევა, ავხსნათ კავშირი მედიის მოხმარებასა და აგრესიის პოტენციალს შორის. ფილმები და კომპიუტერული თამაშები, რომლებშიც გაბატონებულია აგრესია, იწვევს აგრესიული ქცევის გაძლიერებას და შენარჩუნებას იმიტაციის საშუალებით (Bandura, 1973). ძალადობრივ ფილმებსა და თამაშებში ხშირად გმირები ძალადობრივი ფორმით იცავენ თავიანთ უფლებებს, არ აქცევენ ყურადღებას სხვების საჭიროებებს, არ თანაუგრძნობენ მათ და თავად განსაზღვრავენ იმ წესებს, რომელთა მიხედვითაც ხდება „კარგის“ და „ცუდის“ ეტიკეტირება. ასეთ „გმირებზე“ დაკვირვება და მათი წარმატებით შთაგონება (ისინი აღწევენ თავიანთ მიზნებს) იწვევს აგრესიისა და ძალადობის განმტკიცებას მაყურებელში. ძალადობის ექსცესიური მოხმარება მედიის საშუალებით, შედეგად იწვევს აგრესიის მზაობის მატებას, ასევე, აგრესიის მიმართ შეცვლილ დამოკიდებულებას და თანაგანცდის შემცირებას.

აგრესიისა და ძალადობის ფენომენის კომპლექსურობიდან გამომდინარე, ერთი ფაქტორის განსაზღვრა, როგორც პრედიქტორის, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ გათვალისწინებული იყოს სოციალური მედიისა თუ სხვა მედიასაშუალებების მიერ მიწოდებულ შინაარსებში არსებული საფრთხე, რადგან ზეგავლენის პოტენციალი, რომელიც ბავშვების/მოზარდების ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და სოციალურ ადაპტირებას უქმნის საფრთხეს, საკმაოდ მაღალია.



ხატია ხატიაშვილი

განათლების ადმინისტრატორი, სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრანტი

COVID-19-ის გავლენა ბავშვთა უფლებებზე, განათლებასა და ჯანმრთელობაზე

პანდემია უდიდესი გამოწვევა აღმოჩნდა მთელი მსოფლიოსთვის. ქვეყნებმა ვირუსის შეჩერებისთვის სხვადასხვა ნაბიჯი გადადგეს, რაც გულისხმობდა მოქალაქეების იზოლაციას, მასშტაბური შეკრებების აკრძალვას, სისტემურ ტესტირებამკურნალობასა თუ სასწავლო პროცესის შეჩერებას. თუმცა პანდემიის დასრულების შემდეგ განხორციელებულმა არაერთმა კვლევამ ცხადყო, რომ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სეგმენტი აღმოჩნდა განათლება, კონრეტულად კი მოსწავლეები, მათი ჯანმრთელობა და სწავლების პროცესი, რომელზეც პანდემიამ სერიოზული გავლენა იქონია.

აღნიშნულ სტატიაში განხილული იქნება მოსწავლეთა უფლებების დაცვის საკითხი პანდემიის დროს, საქართველოს მაგალითზე. საქართველო ბავშვთა უფლებების კონვენციას 1994 წლიდან შეუერთდა, რაც ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, არსებული კანონმდებლობა მოეყვანა თანხვედრაში აღნიშნულ დოკუმენტთან და დაენერგა პრაქტიკაში. კონვენციაში წარმოდგენილი უფლებები იყოფა ოთხ მთავარ მიმართულებად:



პანდემიის პირობებში განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვდა თითოეული მათგანის დაცვა და წამოჭრილი პრობლემების მოგვარება ისე, რომ გათვალისწინებული ყოფილიყო შემდეგი საკითხები: მოსწავლეთა ჯანმრთელობისა და განათლების უფლება, კიბერუსაფრთხოება, პერსონალური ინფორმაციის დაცვა. COVID-19 პანდემიის პირობებში მიმოვიხილოთ თითოეული:

სიცოცხლის უფლება - მოსწავლეს უნდა ჰქონოდა შესაბამისი სამედიცინო მომსახურება, წყალი და ჰიგიენის დაცვის საშუალებები. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაცია ვალდებული იყო მოსწავლეთა უსაფრთხოება დაეცვა, კონკრეტულად, სკოლის ადმინისტრაცია პასუხისმგებელი გახლდათ სკოლის წყალმომარაგე-

ბაზე, სანიტარიასა და ჰიგიენაზე; სკოლის სველ წერტილებში (საპირფარეშო, წყლის ნიჟარა, სამზარეულო) მუდმივად უნდა ყოფილიყო ხელის საშრობი, თხევადი საპნისა და ტუალეტის ქაღალდის მარაგი; უნდა გაეკონტროლებინათ ნებისმიერი პირის შენობაში შესვლა პირბადით, დეზობარიერის გავლით, თერმოსკრინინგისა და ხელის ჰიგიენის ჩატარების შემდეგ; გარდა ამისა, მოსწავლეებს მათთვის გასაგებ ენაზე პერიოდულად მიეწოდებოდათ ინფორმაცია მიმდინარე მოვლენებზე; დაიბეჭდა სხვადასხვა საინფორმაციო ბროშურა თუ გზამკვლევი მოსწავლეებისთვის, განთავსდა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, თვალსაჩინო ადგილას.

განვითარების უფლება - მოიცავს ყველა დანარჩენ უფლებას. სახელმწიფო ვალდებულია მოსწავლეს შეუქმნას შესაბამისი პირობები, რათა მან შეძლოს სრულყოფილი განათლების მიღება და საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა. საგანმანათლებლო დაწესებულებებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კრიზისის პირობებში მოუხდათ მოსწავლეებისთვის უსაფრთხო ფიზიკური და სოციალური გარემოს შექმნა. მოსწავლეთა განვითარება თავისთავად გულისხმობს ხარისხიანი განათლების მიღებას. დღის წესრიგში დადგა დისტანციური სწავლება.

დაცვის უფლება - ბავშვებს აქვთ უფლება იყვნენ დაცულები ყველანაირ სიტუაციაში, COVID-19 პანდემიის დროს დისტანციური სწავლების დანერგვა მოიცავდა ისეთი სასწავლო გარემოს შექმნას, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა მოსწავლეთა საჭიროებებზე, შესაძლებლობებსა და უსაფრთხოებაზე. სახლის პირობებში მათ უნდა ჰქონოდათ წინასწარ განსაზღვრული და სტაბილური გარემო. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №95/ნ ბრძანებით განისაზღვრა დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზების საკითხები, როგორიცაა რეკომენდებული საათები (ასტრონომიული) დღეში, დისტანციური გაკვეთილების რეკომენდებული ხანგრძლივობა, ჩასატარებელი გაკვეთილების რაოდენობა და სხვ.

მონაწილეობის უფლება - წინასწარ ორგანიზებული და სტაბილური გარემო დიდწილად განსაზღვრავს მოსწავლეთა მონაწილეობასა და ჩართულობას სწავლების პროცესში. იგულისხმება როგორც დისტანციური, ისე პირისპირი სწავლება. COVID-19 პანდემიის დროს ეს საკითხი განსაკუთრებით საყურადღებო გახდა. მოსწავლეებისთვის უნდა შექმნილიყო მუდმივი კომუნიკაციის, მოსახერხებელი და ინკლუზიური გარემო, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა სტრესის მაქსიმალურად შემცირებაზე.

დისტანციური სწავლების ნებისმიერი მოდელის განხორციელების შემთხვევაში, სკოლა ვალდებული იყო, უზრუნველეყო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის მის შესაძლებლობებზე მორგებული საგანმანათლებლო პროცესი, დამრიგებლის, საგნის მასწავლებლების, სპეციალური მასწავლებლისა და საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ინკლუზიური განათლების დამატებითი სპეციალისტების ჩართულობით. ყოველივე ამის მიზანი იყო, რომ სკოლას დისტანციური სწავლებისას დაეცვა თითოეული მოსწავლის საუკეთესო ინტერესები, პერსონალური მონაცემები და მოქმედი კანონმდებლობის სხვა მოთხოვნები.

გარდა ამისა, განისაზღვრა დისტანციური სწავლების მეთოდოლოგია და სასწავლო რესურსები. ეს გულისხმობდა, რომ სკოლაში დისტანციური სწავლების ნებისმიერი მოდელის გამოყენების დროს მასწავლებლებს თემების/თემატური ერთეულების და კომპლექსური დავალებების მეშვეობით უნდა დაეგეგმათ სასწავლო პროცესი. ხოლო დისტანციური სწავლებისას სასწავლო რესურსად შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო: გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოები, სამინისტროსთან შეთანხმებული სახელმძღვანელოები, სხვადასხვა სახის დამხმარე ელექტრონული რესურსები, მასწავლებლის, მოსწავლეების, შესაბამისი სპეციალისტების მიერ მომზადებული ელექტრონული რესურსები და სხვა;

COVID – 19 პანდემიის მართვა და მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების დაცვა

COVID-19 პანდემიის დროს მოსწავლის ჯანმრთელობის უფლება იყო უმთავრესი საკითხი. ჯანმრთელობაში მოიაზრება როგორც ფიზიკური, ისე

მენტალური მდგომარეობა. ამიტომ განათლების მიღების საკითხი უნდა ყოფილიყო მორგებული მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების დაცვაზე.

ციფრულმა ტექნოლოგიებმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა აღნიშნულ პროცესში. გადაადგილების შეზღუდვის გამო, სასწავლო პროცესი ნაწილობრივ ან მთლიანად გადავიდა დისტანციურ სწავლებაზე. Microsoft Teams-ის პლატფორმა, სხადასხვა საკომუნიკაციო საშუალება (Zoom, messenger), ტელესკოლა, გახდა სწავლის წამყვანი საშუალებები. ყოველივეს გათვალისწინებით, არ გამოცხადდა აკადემიური სასწავლო წელი; საგანმანათლებლო დაწესებულებებმა შეძლეს სასწავლო პროცესის მართვა ახალი გამოწვევის ფონზე. ძირითად გამოწვევას წარმოადგენდა კომპიუტერის ეკრანთან ხანგრძლივი დროის გატარება და რეალური სამყაროსგან იზოლაცია, რამაც ემოციური განვითარების, ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემები წამოჭრა.

ცოცხალი კომუნიკაციის სიმწირე - კომუნიკაცია რომ შედგეს, საჭიროა ინფორმაციის გამცემი, მიმღები და გზავნილი. ონლაინ სივრცე, დისტანციური სწავლების დროს, კომუნიკაციის ცოცხალ და ბუნებრივ პროცესს არ უწყობს ხელს. მოსწავლეები მასწავლებლისგან ვერ იღებენ სწრაფ და საკმარის უკუკავშირს, გაკვეთილების პროცესში შედარებით ნაკლებია მოსწავლეთა ჩართულობა, ისეთი აქტივობები, რომელიც მოითხოვს წყვილურ ან ჯგუფურ მუშაობას, იკლებს. ყოველივე ეს კი განაპირობებს მოსწავლეებში სოციალური მიკუთვნებულობის განცდის სიმცირეს, რაც მათ პასუხისმგებლობაზე, სოციალურ უნარებსა და მოტივაციაზე უარყოფითად აისახება.

მოტივაცია - მოსწავლეებისთვის სწავლის პროცესში ერთ-ერთ წარმმართველ ძალად მიიჩნევა მოტივაცია. სოციალური იზოლაციის განცდა, დროის მენეჯმენტის სირთულეები, სწავლების ახალი სტრატეგიების დაუფლება, ტექნიკური კომპეტენციის ზრდადი მოთხოვნა, ერთიანობაში მოსწავლეს უქმნის მოლოდინს, რომ მან შეიძლება ვერ დაძლიოს შესასწავლი მასალა და ვერ ჩაერთოს შესაბამისი ხარისხით სასწავლო პროცესში.

ფიზიკური ჯანმრთელობა - დისტანციური სწავლების დაგეგმვისას, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 9 სექტემბრის 95/ნ ბრძანებით განისაზღვრა დისტანციური გაკვეთილების რეკომენდებული ხანგრძლივობა: ა) I-IV კლასებში – 15-20 წუთი; ბ) V-IX კლასებში – 25-30 წუთი; გ) X-XII კლასებში – 35-40 წუთი. დღეში არაუმეტეს 3 გაკვეთილის ჩატარება. ასევე რეკომენდაცია გაიცა, რომ დაგეგმილ გაკვეთილს მოეცვა სხვადასხვა ინტერაქტიური ტექნიკა, მათ შორის, 10-15-წუთიან შესვენება ფიზიკური აქტივობით. პერიოდულად ჩატარებულიყო თვალის ვარჯიში, მაგ.: ეკრანიდან მზერის გადატანა შორს მდებარე საგანზე, თვალის 5-6-ჯერ დახამხამება. თუმცა კონკრეტულმა შემთხვევებმა აჩვენა, რომ მოსწავლეების მიერ ინტერნეტის გამოყენება არ იყო სრულად გაკონტროლებული, რის გამოც შეექმნათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები: მხედველობის დაძაბვა, უძილობა, ქცევითი დარღვევები და სხვ. გარდა ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობისა, კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი დადგა დღის წესრიგში - მოსწავლეთა პერსონალური მონაცემის დაცვა და უსაფრთხოება.

მოსწავლის პერსონალური მონაცემი - ზოგადი ინფორმაცია მოსწავლის შესახებ, სასწავლო დაწესებულება, კლასი, ოჯახის შესახებ ინფორმაცია, მისი ყოფაქცევა, სასკოლო განრიგი, აკადემიური მოსწრება, ინფორმაცია ინტერესებისა და აქტივობების თაობაზე, ფოტო და ვიდეო მასალა მოსწავლის გამოსახულებით პირად საქმეში არსებული ფოტო, ინფორმაცია მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, გადატანილი დაავადებები, ფსიქოლოგიური დახასიათება, ანუ ყველა ის ინფორმაცია, რომლითაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება. Covid-19 პანდემიამ მოსწავლის პერსონალური მონაცემის დაცვის უფლება კიდევ უფრო საყურადღებო გახადა. აღნიშნული გულისხმობდა როგორც ფიზიკურ, ისე ვირტუალურ სივრცეს. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა მუდმივად აწარმოებდა მოსწავლეთა ჯანმრთელობის მონიტორინგს, პარალელურად უნდა დაეცვა პერსონალური მონაცემის შესახებ კანონი, მაგალითად, კლასში Covid-19-ით ინფიცირებული მოსწავლის ვინაობის გამჟღავნებაა. ვირტუალურ სივრცეში სასწავლო გარემოს გადანაცვლებამ

ასევე გააქტიურა ზემოთ ხსენებული უფლების დაცვის საჭიროება. იყო შემთხვევები, როდესაც სოციალურ ქსელებში ვრცელდებოდა სასწავლო პროცესის ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა, რომელიც წარმოადგენდა მოსწავლის პერსონალურ მონაცემს და მის გასაჯაროებას შესაძლოა შეექმნა საფრთხე, მოსწავლე გამხდარიყო ბულინგის ან სხვა არასასურველი მოპყრობის ობიექტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებებს პანდემიის პერიოდში კიდევ ერთხელ მიეწოდათ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ შედგენილი დოკუმენტი „რეკომენდაციები სკოლაში მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ", რათა სასწავლო პროცესში ჩართულ ყველა პირს დაეცვა მოსწავლეთა პერსონალური მონაცემები. კანონით გათვალისწინებული სავალდებულო მოთხოვნების გარდა, სკოლას ასევე ხელი უნდა შეეწყო ამ მიმართულებით ცნობიერების გაზრდისთვის, მაგალითად, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. რათა მას ჩამოუყალიბდეს საკუთარი პირადი ცხოვრების დაცვისა და სხვათა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პატივისცემის კულტურა.

გარდა პერსონალური ინფორმაციის დაცვისა, დღის წესრიგში ასევე დადგა **კიბერბულინგი**. კიბერბულინგი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით განხორციელებული ბულინგია, რომელიც სოციალური მედიის, შეტყობინებებისა თუ თამაშის პლატფორმებისა და მობილური ტელეფონის საშუალებით ხდება. იგი განმეორებადი ქცევაა, რომელიც სამიზნე ადამიანის დაშინებას, შერცხვენას თუ გაბრაზებას ისახავს მიზნად. COVID-19 პანდემიის დროს მოსწავლეები დიდ დროს ატარებდნენ ონლაინსივრცეში, რის გამოც გაიზარდა კიბერბულინგის რისკები. გარდა ამისა, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კრიზისის ფონზე იზრდება მოსწავლის მიმართ **ძალადობის რისკები** (World Vision საქართველო - სკოლები პანდემიის დროს პრაქტიკული გზამკვლევი ზოგადსაგანმანათლებლო და წესებულებებისათვის (საპილოტე ვერსია)). იმ ემოციურმა, სოციალურმა თუ ეკონომიკურმა გამოწვევებმა, რომლებიც პირდაპირ კავშირშია პანდემიასთან, შექმნა მოსწავლეზე ძალადობის რისკები. საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებული იყო/არის ბავშვთა მიმართ ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის ნიადაგზე მიმართოს შესაბამის სახელმწიფო ინსტიტუციებს, რათა დროულად მოხდეს მოსწავლეთა უფლებების დაცვა. დისტანციურ სწავლებაზე გადასვლამ, რა თქმა უნდა, შეამცირა ფიზიკური კონტაქტი მასწავლებელსა და მოსწავლეს, მასწავლებელსა და მშობელს შორის, ან მოსწავლეებს შორის, ამიტომ გართულდა საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან აღნიშნული საკითხის შესახებ ინფორმირებულობა. თუ პირისპირ სწავლების დროს საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს ჰქონდა საშუალება, ამოეცნო ძალადობის ნიშნები (ბავშვის სხეულზე არსებული დაზიანებები, მშობლის არაადეკვატური ქცევა მოსწავლის მიმართ, ბავშვის საეჭვო ქცევა და სხვ.) ან თავად შესწრებოდა ძალადობის ფაქტს, დისტანციურმა სწავლებამ ყოველივე ეს გაართულა. თუმცა ძალადობის ნიშნებზე დაკვირვება და ამოცნობა უმნიშვნელოვანეს საკითხად დარჩა დისტანციური სწავლების დროსაც. მასწავლებელს უწევდა თუნდაც დისტანციურად, არაპირდაპირი კონტაქტისას, ამოეცნო აღნიშნული პრობლემა და ჰქონოდა შესაბამისი რეაქცია.

COVID-19 პანდემია და განათლების ხელმისაწვდომობა

მთელი მსოფლიოს მასშტაბით, Unicef-ის კვლევის თანახმად, ბავშვების რაოდენობა ვინც ვერ შეძლო COVID-19 პანდემიით გამოწვეულ ელექტრონულ სწავლებაში ჩართვა, საკმაოდ მაღალი იყო. სკოლების დახურვა 1.5 მილიარდ ბავშვს შეეხო და საერთაშორისო დონეზე მინიმუმ 463-მა მილიონმა ბავშვმა ვერ მოახერხა დისტანციურ სწავლებაში ჩართვა. საქართველოს მოსახლეობისთვის დისტანციური სწავლების პროცესში ჩართვა ასევე რთული იყო. საქართველოს კონსტიტუციის 27 მუხლით განსაზღვრულია, რომ ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება. პანდემიის გამო არსებულმა შეზღუდვებმა ქვეყანაში ინტერნეტის მოხმარება 2.2-ჯერ გაზარდა. თუმცა არსებული კვლევების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს არ ჰქონდა სასწავლო პროცესისთვის საჭირო ტექნიკასთან წვდომა. ასევე, სხვადასხვა რეგიონში დადგა ხარისხიან ინტერნეტზე წვდომის საკითხი. 2020 წელს სოფლად მცხოვრები ოჯახების 68%-ს არ ჰქონდა ინტერნეტი, ქალაქში მცხოვრებლებში ეს რიცხვი შეადგენდა 24%-ს. (წყარო-საქსტატი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი). განსაკუთრებით გართულდა სიტუაცია მრავალშვილიანი და სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის. საწყის ეტაპზე სახელმწიფოს მხრიდან დაიწყო სასწავლო პროცესში ჩართვისთვის საჭირო ტექნიკისა და ინტერნეტის ფლობასთან დაკავშირებული მდგომარეობის მოკვლევა; განხორციელდა: ერთჯერადი 200-ლარიანი სოციალური დახმარება ბავშვებისთვის; მოსწავლეების სასწავლო მასალებით უზრუნველყოფა; საშეღავათო ინტერნეტ პაკეტების მიწოდება. თუმცა, ფიქსირდებოდა შემთხვევები, როდესაც განათლების ხელმისაწვდომობის უფლება ირღვეოდა მოსწავლეებთან, შესაბამისი სასწავლო ტექნიკისა და ინტერნეტის არქონის გამო.

გარდა ტექნიკურისა, აუცილებელია შემდეგი საკითხების მიმოხილვაც: რამდენად უპასუხა სასწავლო კურიკულუმებმა პანდემიის შედეგად გაჩენილ გამოწვევებს და რამდენად გამოიკვეთა მოსწავლეთა მიღწევებში ჩამორჩენის საკითხი. საგანმანათლებლო დაწესებულებებში დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზება, სწავლების მეთოდოლოგია და სასწავლო რესურსები, მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვა და მოსწავლეთა შედეგების შეფასება ხორციელდებოდა ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 9 სექტემბრის N95/ნ ბრძანების შესაბამისად, რაც გულისხმობდა:

- მასწავლებლების მიერ თემების/თემატური ერთეულებისა და კომპლექსური დავალებების მეშვეობით სასწავლო პროცესის დაგეგმვას;
- ეროვნულ სასწავლო გეგმაში სხვადასხვა საგნისთვის მოცემული სავალდებულო თემების მიხედვით კურიკულუმის აგებას;
- დისტანციური სწავლებისას სასწავლო რესურსების შექმნა-გამოყენებას (დისტანციური სწავლების პარალელურად შეიქმნა არაერთი სასწავლო პლატფორმა თუ დამხმარე ბანკი, რომლებიც მასწავლებელს საშუალებას აძლევდა, მზა კომპლექსური დავალებები მოერგო სასწავლო პროცესისთვის);
- კომპლექსური დავალებების შედგენას და მათი მეშვეობით სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და შეფასებას, რომელიც ხორციელდებოდა სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ სკოლისთვის მიწოდებული მეთოდიკური რეკომენდაციებისა და საგნობრივი გზამკვლევების შესაბამისად.
- დისტანციურ გაკვეთილებზე დასწრების აღრიცხვას სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.
- დამრიგებლისგან მოსწავლის მიერ დისტანციური გაკვეთილის გაცდენის მიზეზების დადგენას. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის მხრიდან გაკვეთილზე არყოფნა გამოწვეული იყო ტექნიკური მხარდაჭერის (მოწყობილობისა და ინტერნეტთან წვდომის) არქონით, ინფორმაცია მიეწოდებოდა სკოლის დირექტორს და პრობლემის მოგვარებამდე, მასწავლებელთა ჯგუფთან ერთად, ინდივიდუალურად განიხილებოდა არსებული შესაძლებლობები და იგეგმებოდა ალტერნატიული ღონისძიებები მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩასართავად.

2021 წლის 28 სექტემბერს ჩატარებულ უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, მთელი საქართველოს მასშტაბით არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში 2021 წლის 4 ოქტომბრიდან სასწავლო პროცესის დასწრებით ფორმატში, არადისტანციურ რეჟიმში გაგრძელების თაობაზე. იმავდროულად, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების I-XII კლასების მოსწავლეების მშობლებს, სურვილის შემთხვევაში, მიეცათ მოსწავლეების დისტანციურ სწავლებაზე გადაყვანის შესაძლებლობა.

მოსწავლეთა დიდმა ნაწილმა განაგრძო პირისპირ რეჟიმში განათლების მიღება და საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებები ეტაპობრივად დაუბრუნდნენ ფიზიკურ გარემოს. თუმცა კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ დღესაც იძლევა საშუალებას საგანმანათლებლო დაწესებულებებმა დისტანციური სწავლება გამოიყენონ საჭიროებისამებრ, სამინისტროსთან შეთანხმებით.

პანდემიის პროცესში და ახლაც, მისი დასრულების შემდეგ, არ წყდება მსჯელობა სასწავლო დანაკარგების შესახებ. როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო კვლევების ობიექტია საგანმანათლებლო დაწესებულება და მოსწავლე, როგორც სასწავლო პროცესის ცენტრი.

დღესაც, 2024-2025 სასწავლო წელს, ჯერ კიდევ დგას პანდემიის შედეგად გამოწვეული სირთულეები. სკოლები, კონკრეტული ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, გეგმავენ რემედიაციის პროგრამებს, რათა მოსწავლეებს დაეხმარონ პანდემიის პერიოდში წარმოქმნილი დაბრკოლებების დაძლევაში, საგანმანათლებლო მიმართულებით. რემედიაცია გულისხმობს სწავლაში ხარვეზების აღმოფხვრაზე ორიენტირებულ სწავლებას; კონკრეტულად კი მოსწავლის ცოდნაში, გაგებასა თუ უნარებში არსებული ხარვეზის გამოსწორების პროცესს. მასწავლებელი მოსწავლეს დამატებითი ინსტრუქციებით, ტექნოლოგიებითა და რესურსებით ეხმარება.

მოსწავლეების როგორც ფიზიკურ, ისე სოციო-ემოციურ ჯანმრთელობაზე COVID-19 პანდემიამ საგრძნობლად იმოქმედა, ამიტომ მისი დასრულების მიუხედავად, განათლების სისტემას დღესაც უწევს გამოწვეულ შედეგებთან ბრძოლა და სასწავლო დანაკარგების აღმოფხვრა. ზემოთ განხილული საკითხების მოგვარება უზრუნველყოფს მოსწავლეთა ფუნდამენტური უფლებების დაცვას, როგორიცაა ჯანმრთელობისა და განათლების მიღების უფლება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. *კანონი ზოგადი განათლების შესახებ;*
2. *ბავშვის უფლებათა კონვენცია;*
3. *2020წ. COVID-19 პანდემიით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების კვლევის ანგარიში, World Vision საქართველო,*
4. *2020 „გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები 2030“-ის მმართველი კომიტეტის რეკომენდაციები განათლების სფეროში COVID-19-ზე რეაგირებისთვის https://sdg4education2030.org/SDG-Education.pdf;*
5. *„დისტანციური სწავლება და არსებული გამოწვევები“, ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი, სექტემბერი, 2020 https://www.apk.ge/distantsiuri-stsavleba-da-arsebuli-gamotsvevebi.*
6. *საქართველოს მთავრობის დადგენილება №205, საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ;*
7. *საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №95/ნ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ;*
8. *პრაქტიკული სახელმძღვანელო სკოლის ადმინისტრატორებისთვის - „დისტანციური სწავლების მართვა“, თბილისი, 2021*
9. *Unicef - რა არის კიბერბულინგი და როგორ უნდა გავარჩიოთ იგი. რეკომენდაციები სკოლაში მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ.*

ლალი ეუაშვილი

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის სპეციალიზებულ საქმეთა ბიუროს სამოქალაქო-ადმინისტრაციული სამართლის მიმართულების ადვოკატი

ბავშვი, როგორც სამართალსუბიექტი - რა უნდა ვიცოდეთ?

ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რა უფლებებს ფლობენ ისინი, მაგრამ მათ აგრეთვე უნდა ისწავლონ, როგორ დააფასონ ეს უფლებები და როგორ ისარგებლონ ამ უფლებებით. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა, რომ ყველა უწყებამ, რომელსაც ელემენტარული შეხება აქვს ბავშვებთან, უზრუნველყოს ინფორმაციის მიწოდება მათთვის გასაგებ ენაზე. თავდაპირველად, სკოლამ უნდა შექმნას ბავშვთა უფლებების შესახებ სწავლებისათვის შესაფერისი გარემო და შესაძლებლობები. პარალელურად კი ყველა სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციამ უნდა ჩართოს არასრულწლოვანი ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას, როცა ეს საკითხი პირდაპირ ან ირიბად ეხება მის ინტერესებს. ბავშვები საკუთარ უფლებებს აცნობიერებენ და აფასებენ იმ შემთხვევაში, თუ ისინი სარგებლობენ ამ უფლებებით როგორც სკოლაში, ასევე სკოლის ფარგლებს გარეთ, ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ბავშვის უფლებები დაცული უნდა იყოს ყველგან: ოჯახში, სახელმწიფო ზრუნვის სააღმზრდელო დაწესებულებაში, საჯარო თუ კერძო სივრცეში, ადმინისტრაციულ ორგანოში, საგამოძიებო ორგანოში, სასამართლოსა და პენიტენციურ დაწესებულებაში და სხვა ნებისმიერ სივრცესა და გარემოში.

საქართველო არის წევრი სახელმწიფო გაეროს და ევროპის საბჭოს თითქმის ყველა საერთაშორისო კონვენციისა და მათი დამატებითი ოქმებისა, რომლებიც პირდაპირ და არაპირდაპირ ეხება ბავშვთა უფლებებს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტები და ინსტრუმენტები ასახავს მართლმსაჯულებასთან კონტაქტში მყოფი ბავშვის უფლებების დაცვის გარანტიებს. საქართველო ბავშვის უფლებათა კონვენციას 1994 წელს შეუერთდა; შესაბამისად, სახელმწიფოს ამ დროიდან აკისრია კონვენციის პრინციპებისა და დებულებების დაცვის ვალდებულება.

ეროვნულ დონეზე 2019 წელს მიღებულ იქნა ბავშვის უფლებათა კოდექსი. ეს არის დოკუმენტი, რომელშიც თავმოყრილია ბავშვის უფლებების აღიარების, რეალიზებისა და დაცვის საერთო სტანდარტები, რომლებიც მოქმედებს ყველგან, სადაც ბავშვია ან ბავშვთან დაკავშირებული საკითხი განიხილება.

კოდექსით მკაფიოდ განისაზღვრა, რომ მართლმსაჯულება უნდა წარიმართოს კანონის უზენაესობის დაცვით, ყველა ბავშვისთვის უფლების ეფექტური რეალიზების უზრუნველყოფით. მსგავსად სისხლის სამართალწარმოებისა, ბავშვთა სამოქალაქო მართლმსაჯულება ითვალისწინებს პროცესში მონაწილე პროფესიონალთა სავალდებულო მომზადებასა და მულტიდისციპლინურ მიდგომას. პროცესში მონაწილეობენ სპეციალურად მომზადებული ადვოკატები, მოსამართლეები, გადაწყვეტილების მიმღები სხვა პირები. პროცესში ასევე შეიძლება მონაწილეობდნენ სხვადასხვა დარგის სპეციალისტები – ფსიქოლოგი, ექიმი, პედაგოგი და სხვა, თუკი ეს საჭიროა ბავშვის საუკეთესო ინტერესის გამორკვევის, მისი აზრის მოსმენის, ზოგადად, ბავშვის უფლებების უკეთ რეალიზებისთვის.

კონვენცია აგებულია ოთხ ძირითად პრინციპზე: თანასწორობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა; ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესობა; ბავშვის ჩართულობა-მონაწილეობა; ბავშვის სიცოცხლისა და განვითარების უფლება.

ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულად გათვალისიწინების ვალდებულება!

ბავშვის საუკეთესო ინტერესების ცნება ჯერ კიდევ კონვენციის მიღებამდე, 1959 წლის დეკლარაციაში იქნა გათვალისწინებული.

ბავშვის საუკეთესო ინტერესები განუსაზღვრელი სამართლებრივი კონცეფციაა. მათი შეფასება და განსაზღვრა უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ კრიტერიუმებს. კონცეფცია მიზნად ისახავს, უზრუნველყოს როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კონვენციით გათვალისწინებული ყველა უფლების სრული და ეფექტური რეალიზება, ისე ბავშვის სრული განვითარება. შესაბამისად, ბავშვის საუკეთესო ინტერესები არ არის ის, რაც მშობელს, ადვოკატს ან ნებისმიერ დაინტერესებულ მესამე პირს მიაჩნია ბავშვისთვის საუკეთესოდ, არამედ არის ის, რაც ობიექტურად უზრუნველყოფს ბავშვის როგორც კონვენციით განსაზღვრული ყველა უფლების სრულ და ეფექტურ რეალიზებას, ასევე მის სრულყოფილ განვითარებას. ყველა გადაწყვეტილებისა და მოქმედების დროს, უწინარეს ყოვლისა, დაცული უნდა იყოს ბავშვთა ჭეშმარიტი ინტერესები.

ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრისას გასათვალისწინებელია ყველა შემდეგი კრიტერიუმი: ბავშვის ასაკი, სქესი, სოციალური მდგომარეობა, ნებისმიერი საჭიროება, ბავშვის აზრი და მისი ინტერესები, ოჯახური ურთიერთობის შენარჩუნება, ჯანსაღი განვითარება, მასზე ზრუნვა, დაცვა და უსაფრთხოება, განათლების მიღების უფლება. ბავშვის, როგორც საკუთარი, და არა სხვისგან ნაწარმოები, უფლების მქონე სუბიექტის გააზრება წარმოადგენს მისი ინტერესების გამორკვევის აუცილებელ საშუალებას.

ბავშვის საუკეთესო ინტერესის ცნების მიზანია, უზრუნველყოს როგორც ბავშვის ყველა უფლებით სრული და ეფექტური სარგებლობა, ისე ბავშვის ყოვლისმომცველი განვითარება. ნორმატიულად დაუდგენელია, რა არის ბავშვის საუკეთესო ინტერესი; იგი განისაზღვრება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თითოეული ბავშვის ან ბავშვთა ჯგუფისთვის.

ასევე საგულისხმოა, რომ ბავშვის მონაწილეობის/მოსმენის და მისი საუკეთესო ინტერესების გამორკვევის პრინციპი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში განიხილება. ერთი მხრივ, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ბავშვის მონაწილეობა/მოსმენა მისი საუკეთესო ინტერესის დაცვაა, ხოლო, მეორე მხრივ, ბავშვის მონაწილეობით/მოსმენით ირკვევა, რა არის მისი საუკეთესო ინტერესი.

ბავშვს უნდა მოუსმინონ ყველგან, მათ შორის მასთან დაკავშირებულ სასამართლო და ადმინისტრაციულ პროცესზე, არბიტრაჟისა და მედიაციის პროცესებზე, პირდაპირ ან წარმომადგენლის მეშვეობით, ეროვნული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მოსამართლეებმა უნდა დაიცვან ბავშვის უფლება მოსმენაზე ყველა საკითხთან დაკავშირებით, რომლებიც მას ეხება. ბავშვს უნდა ჰკითხონ, რა ფორმით ურჩევნია ამ უფლების განხორციელება. ბავშვის მოსაზრებებსა და შეხედულებას სათანადო მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მისი ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად;

ბავშვს მხოლოდ ასაკის გამო არ უნდა წაერთვას შესაძლებლობა, რომ მოუსმინონ. როდესაც ბავშვი გამოიჩენს ინიციატივას, მოუსმინონ მასთან დაკავშირებულ საქმეზე, მოსამართლემ არ უნდა უარყოს, უნდა მოუსმინოს მის მოსაზრებებს თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.

ბავშვის მონაწილეობა-მოსმენის უფლება რამდენიმე ეტაპს მოიცავს: <u>ბავშვის ინფორმირება</u> – ამ დროს აუცილებელია გასაგებ ენაზე ახსნა, რა უფლებები აქვს მას, რა პროცესში უწევს მონაწილეობა, რა საფეხურები აქვს გასავლელი, რა შედეგების წინაშე შეიძლება დადგეს. მისი აზრის მოსმენა უნდა მოხდეს ყველაზე ხელსაყრელი მეთოდით – წერილობით, ნახატით, სიტყვიერი გადმოცემით, ონლაინ თუ ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვმა აზრი გამოთქვას თავისი სურვილით, მასზე გავლენას არ ახდენდნენ

სხვა ადამიანები და გარე ფაქტორები, ინფრასტრუქტურა იყოს ბავშვზე მორგებული, არ იყოს დამთრგუნველი, გრძნობდეს მხარდაჭერას, ჰქონდეს ნდობა. ბავშვის მოსმენის უფლების რეალიზებას წარმოადგენს მისი უარიც მონაწილეობაზე, აგრეთვე – აზრის გადმოცემაზე ან აზრის გადმოცემაზე არა უშუალოდ, არამედ წარმომადგენლის მეშვეობით. ბავშვის მოსმენის უფლების დაცვას ემსახურება გადაწყვეტილების დროს მისი მოსაზრების სათანადო გათვალისწინება-გაზიარება ან დასაბუთებული უარყოფა. დაბოლოს, გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმების გამოყენება.

ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება!

ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება ნიშნავს მართლმსაჯულებას, რომელიც არის მისაწვდომი, ასაკთან შესაბამისი, სწრაფი, თანმიმდევრული, ბავშვის უფლებებსა და საჭიროებებზე მორგებული. ესაა სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის უფლებების დაცვას. იგი ასევე გულისხმობს ბავშვზე მორგებული მიდგომების უზრუნველყოფას როგორც სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, ასევე ადმინისტრაციულ წარმოებასა და სხვა კვაზი სასამართლო განხილვებისას.

ყველა ბავშვს აქვს უფლება, თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი, ასევე, მიიღოს და გასცეს ინფორმაცია ნებისმიერი საშუალებით, მათ შორის ზეპირი ან ბეჭდური ფორმით, ან ხელოვნების ნიმუშის სახით. მისი პასუხისმგებლობაა, საკუთარი აზრი გამოთქვას ისე, რომ პატივი სცეს სხვა ადამიანების უფლებებსა და რეპუტაციას.

ბავშვს უფლება აქვს, ასაკის მიუხედავად, მიმართოს სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოს დამოუკიდებლად, წარმომადგენლის საშუალებით ან უშუალოდ. ბავშვის უფლებათა კოდექსის ამოქმედებამდე სასამართლოსთვის მიმართვა ბავშვს მხოლოდ 14 წლის მიღწევის შემდეგ შეეძლო.

ბავშვთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ბავშვთან დაკავშირებული საქმეები პრიორიტეტულად განიხილება. ბავშვის ზრდა-განვითარების ეტაპების მიხედვით იცვლება მისი საჭიროებები. შესაბამისად, კონკრეტული საკითხის დაგვიანებული გადაწყვეტით შესაძლოა ვერ მოხდეს ბავშვის უფლების სათანადოდ რეალიზება ან დაცვა.

ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება ადაპტირებული უნდა იყოს ბავშვის საჭიროებებთან. მნიშვნელოვანია, რომ გამოკითხვისთვის განკუთვნილი ოთახები, მოსაცდელი სივრცე, მონაწილე პირების ჩაცმულობა, ტექნიკური საშუალებების მისაწვდომობა, სასამართლოსთვის მიმართვის ფორმები, ვებგვერდები იყოს ბავშვისთვის ყოველმხრივ მოსახერხებელი, მისთვის იოლად აღსაქმელი და ხელმისაწვდომი. ყურადღება უნდა დაეთმოს შშმ და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების საჭიროებებს. თუკი უნივერსალური დიზაინით შექმნილი გარემო ბავშვებისთვის მოხერხებული არ არის, მათ საჭიროებებს გონივრულად უნდა მიუსადაგონ.

ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების დადგენილი სტანდარტების უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებულია გარკვეული ღონისძიებები. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ და იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ დაიწყო ადვოკატთა და მოსამართლეთა სპეციალური მომზადება. მომზადდა საპროცესო დოკუმენტების სპეციალური ფორმები. ბავშვთა ფონდის დახმარებით იურიდიული დახმარების სამსახურის რამდენიმე რეგიონულ ოფისში მოეწყო სპეციალური ინფრასტრუქტურა ბავშვთა და ადვოკატთა შეხვედრებისთვის. არაერთ სასამართლოს შენობაში არსებობს ბავშვთა ოთახი, სადაც ხდება პროცესში მონაწილე ბავშვების გამოკითხა შესაბამის საბავშვო გარემოში.

ბავშვი, როგორც „კლიენტი“ - ხატვა და საუბარი

ბავშვს აქვს უფლება ჰყავდეს ადვოკატი, რომელიც მის ინტერესებს წარმოადგენს. ადვოკატი მოქმედებს ყველა იმ სტანდარტით, რომელიც საადვოკატო საქმიანობისთვის არის გათვალისწინებული და იცავს ყველა იმ წესს, რომელსაც მას ადვოკატთა ეთიკის კოდექსი ავალდებულებს. ბავშვის სამართლებრივი დახმარების ვალდებულება აქვს სახელმწიფოსაც. სახელმწიფო, სსიპ

იურიდიული დახმარების სამსახურის მეშვეობით, იცავს ბავშვის უფლებებს მართლმსაჯულებაში. ეს სამსახური ვალდებულია, ბავშვს გაუწიოს უფასო სამართლებრივი კონსულტაცია და წარმომადგენლობა ნებისმიერ უწყებაში, ყველა სტანდარტის დაცვით. ბავშვთან პირველი დაკავშირებისთანავე წარმომადგენელს აკისრია მისი სრული ინფორმირების ვალდებულება. ბავშვს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია მის უფლებებსა და როლზე სასამართლო ან ადმინისტრაციულ პროცესში, პროცესში მონაწილეობისთვის მხარდაჭერის მექანიზმებზე, შესაძლო შედეგებზე, პროცესის მიმდინარეობის დეტალებზე, გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმზე, დამხმარე სერვისების გამოყენების შესაძლებლობაზე.

არასრულწლოვნის დაცვისას ადვოკატს ძალიან დიდი პასუხისმგებლობა აკისრია. იგი ამ დროს უნდა იყოს ორიენტირებული პირველ რიგში ბავშვის ემოციურ მდგომარეობაზე, რომ არ მოხდეს უნებლიედ მისი რაიმე საკითხით მეტად დასტრესვა და უნდა ეცადოს, რომ ბავშვს სამართლებრივი პროცესის მიმდინარეობა აუხსნას მისთვის შეძლებისდაგვარად გასაგებ ენაზე; მოიპოვოს მისი ნდობა და გამონახოს გზა, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის მონაწილეობას ნაკლები ემოციური დატვირთვით. შეიძლება დამაბნეველი და შემაშფოთებელი იყოს ბავშვებისათვის სასამართლო პროცესში ჩართვა. ადვოკატებმა უნდა მიიღონ ზუსტი ინფორმაცია მათი არასრულწლოვანი კლიენტებისგან, ბავშვებს შეიძლება ასევე დასჭირდეთ დამატებითი მხარდაჭერა სასამართლო პროცესის შინაარსის გასაგებად. მათთვის დამთრგუნველი შეიძლება იყოს უცხო გარემო და ამან ხელი შეუშალოს მათი აზრის გამოხატვას. პროცესში ჩართული ყველა პირი უნდა დაეხმაროს ბავშვს, რომ მან, პირველ რიგში, თავი იგრძნოს უსაფრთხოდ. არასრულწლოვნისთვის უსაფრთხო ფორმით კითხვების დასმით, ადვოკატებს შეუძლიათ განავითარონ ურთიერთგაგება და მიიღონ უფრო ზუსტი ინფორმაცია მათგან.

ბავშვის თვალსაზრისის დეტალური გაგების ერთ-ერთი გზა, პირდაპირი კითხვების გამოყენების თავიდან აცილებისას, არის ისეთი აქტივობის გამოყენება, როგორიცაა ხატვა, როგორც კომუნიკაციის საშუალება. ასეთ შემთხვევებში, თავად ნახატები არ არის ინტერპრეტირებული ან შეფასებული ადვოკატის მიერ და მოქმედებს მხოლოდ როგორც კომუნიკაციისა და ურთიერთგაგების საშუალება. ამ მეთოდით შესაძლებელია მოხდეს ბავშვის ნდობის მოპოვება და ერთგვარი გზამკვლევის შექმნა იმისთვის, რომ ადვოკატმა შეძლოს საქმის წარმოების სწორი სტრატეგიის აგება ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და მისი სრული ჩართულობით.

ბავშვთან ინტერვიუირების შემთხვევაში, კითხვების გამეორებამ, წამყვანი კითხვების დასმამ და პირდაპირი (დახურული) კითხვების გამოყენებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ბავშვზე იმ კუთხით, რომ მან შეცვალოს თავისი პასუხები, რათა ,,თავი მოაწონოს“ ინტერვიუერს. არსებობს გარკვეული მტკიცებულება იმისა, რომ ეს ეფექტი შეიძლება იყოს უფრო მნიშვნელოვანი, როდესაც ბავშვი დაკავებულია წარმოსახვითი ამოცანებით, როგორიცაა ხატვა. ზოგიერთი კვლევა ვარაუდობს, რომ მცირეწლოვან ბავშვებს (5 და 6 წლის) შეუძლიათ გაიხსენონ ინფორმაცია წარსული მოვლენების შესახებ შემცირებული სიზუსტით, როდესაც ხატვა გამოიყენება მეხსიერების აღსადგენ ინსტრუმენტად. თუმცა, სხვა მსგავსმა კვლევებმა აჩვენა, რომ ხატვა/ნახატი ზოგიერთ ბავშვს ეხმარება ინფორმაციის უფრო დეტალურად მოთხრობაში, მისი სიზუსტის შემცირების გარეშე. ნებისმიერ შემთხვევაში კი, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ კითხვები იყოს ნეიტრალური და არ განმეორდეს.

ბიბილიოგრაფია;

1. *ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმი „შეტყობინების პროცედურების შესახებ“.*
2. *გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია N5 https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/treatybodyexternal/Download.aspx*
3. *ბავშვის უფლებათა კოდექსი https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2*
4. *მართლმსაჯულება - კანონმდებლობის კვლევა, გაეროს ბავშვთა ფონდი 2017, https://www.unicef.org/georgia/media/1481/file/Legislative%20Anlysis%20GEO.pdf*
5. *ბავშვთა მართლმსაჯულება - რა უნდა ვიცოდეთ*
6. *https://gba.ge/ka/%E1%83%9F%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98*
7. *Butler, S., Gross, J., & Hayne, H. (1995). ხატვის ეფექტი მცირეწლოვან ბავშვებში მეხსიერების*
8. *ფუნქციონირებაზე. განვითარების ფსიქოლოგია, 31(4), 597.*
9. *Reitman, K. A. (2011). ბავშვების ადვოკატების სახელმძღვანელო კლიენტებთან*
10. *გასაუბრებისთვის: ტრავმაზე ინფორმირებული ზრუნვისა და პრობლემის გადაჭრაზე*
11. *ორიენტირებული სტრატეგიების ინტეგრირება.*

ლანა მინდიაშვილი

სსიპ - იურდიული დახმარების სამსახურის სპეციალიზებულ საქმეთა ბიუროს ადვოკატი

ბავშვის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვის თავისებურებანი

1994 წელს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1989 წლის „ბავშვთა უფლებების შესახებ“ კონვენციის რატიფიცირებით, საქართველომ აიღო ბავშვთა დაცვის მიმართულებით მაღალი სტანდარტების დადგენის პოლიტიკურ-სამართლებრივი ვალდებულება.

ბავშვის უფლებათა კოდექსის მიღებით საქართველო კიდევ უფრო დაუახლოვდა ამ სფეროში არსებულ საერთაშორისო მიდგომებს. აღნიშნული კოდექსის მე-19 მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, განისაზღვრა ბავშვის ქონების განკარგვისას მის საუკეთესო ინტერესებთან გარიგების შესაბამისობის კვლევის აუცილებლობა. აღნიშნული სიახლე საფუძვლად დაედო 2020 წლის 1 სექტემბრის ცვლილებებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, რომლითაც სახელმწიფოს განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ მოექცა არასრულწლოვნის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის საკითხი.

კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის მეორე ნაწილით ბავშვის უძრავი ქონების განკარგვაზე დაწესდა სავალდებულო სასამართლო კონტროლი.

აღნიშნული ცვლილებებით გათვალისწინებული სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპი მიმართულია არასრულწლოვნის ქონებრივი ინტერესების უზრუნველყოფისკენ და წარმოადგენს გამონაკლისს სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლით განსაზღვრული მშობლის შეუზღუდავი წარმომადგენლობითი უფლებებიდან; ვინაიდან, მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ ბავშვის კუთვნილ უძრავ ნივთთან დაკავშირებით გამოვლენილ ნებას, რომელიც ამ ნივთის განკარგვის თაობაზე გარიგების დადებისკენაა მიმართული, სასამართლოს კონტროლს უქვემდებარებს.

ცვლილებების თანახმად, უძრავ ქონებაზე ტრანზაქციული ოპერაციის განხორციელებისას, სასამართლოს თანხმობის აუცილებლობა დგება მატერიალურ-სამართლებრივად დაკავშირებული შემდეგი პირობების არსებობისას:

1. იმისთვის, რომ უძრავ ქონებაზე ტრანზაქციული ოპერაცია განხორციელდეს, საჭიროა უძრავი ქონება საკუთრების უფლებით ეკუთვნოდეს არასრულწლოვან პირს.
2. იგი ასეთად უნდა იყოს რეგისტრირებული საჯარო რეესტრში და უძრავი ქონების განკარგვა უნდა განხორციელდეს ამ პირის კანონისმიერი წარმომადგენლის - მშობლის ან კანონმდებლობით დადგენილი და განსაზღვრული სხვა წარმომადგენლის მიერ.

ამასთან, განკარგვა შესაბამისობაში უნდა იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესებთან .

ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართა შეუძლია ბავშვის მშობელს ან სხვა კანონიერ წარმომადგენელს.

ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვა შეუძლია მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს. ასევე საინტერესოა საკითხი იმის შესახებ, წარმოადგენს თუ არა საქმის აღძვრისთვის საკმარის საფუძველს ერთ-ერთი მშობლის მიერ განცხადებით მიმართვა სასამართლოსთვის.

მშობლებს შვილების მიმართ თანაბარი უფლებამოვალეობები აქვთ. ბავშვის ქონების განკარგვაზე ორივე მშობლის აზრის მოსმენა მნიშვნელოვანია ბავშვისთვის ყველაზე კეთილსაიმედო გადაწყვეტილების მისაღებად. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლოსთვის მიმართვისას აუცილებელია განცხადებას თან დაერთოს მეორე მშობლის ხელმოწერა ან მეორე მშობლის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა.

იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მშობელი გარდაცვლილია, განცხადებას უნდა დაერთოს გარდაცვალების მოწმობა.

ბავშვის საკუთრებაში არსებული რომელი ქონების განკარგვისას მოითხოვება სასამართლოს თანხმობა?

ბავშვის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის, ასევე 1000 ლარზე მეტი ღირებულების მოძრავი ნივთის განკარგვა მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ დასაშვებია ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, სასამართლოს თანხმობის საფუძველზე.

რომელი სასამართლო განიხილავს ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის თაობაზე განცხადებას?

საქმის აღძვრა პირველი ინსტანციის სასამართლოში დასაშვებია სარჩელით, ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევაში - განცხადებით.

განცხადება წარდგენილ უნდა იქნეს სასამართლოში განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, რომელშიც მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლის ინსტიტუტი, მაგისტრატი მოსამართლის სამოქმედო ტერიტორიის მიხედვით.

განცხადება არასრულწლოვნის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის უფლების მოპოვების თაობაზე უნდა იყოს სრულყოფილი, მოთხოვნა ნათლად ჩამოყალიბებული, ბავშვის ინტერესი კონკრეტულად მითითებული. განმცხადებელმა უნდა დაასაბუთოს ქონების განკარგვის შედეგად მიღებული თანხის დახარჯვის მიზნობრიობა და თანხის განკარგვის ბავშვის ინტერესთან თავსებადობის საკითხი.

არასრულწლოვნის ქონების განკარგვის თანხმობის გაცემის საკითხს, სასამართლო განიხილავს მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე. ხოლო მოთხოვნა მიმართულია კონკრეტულ გარიგებაზე, რა დროსაც სასამართლოს მხრიდან ხდება კონკრეტული გარიგების პირობების შეფასება არასრულწლოვნის ინტერესებთან მიმართებით.

ბავშვის ქონების განკარგვაზე თანხმობის მოთხოვნისას არ არსებობენ ურთიერთდაპირისპირებული მხარეები, რაც ნიშნავს იმას, რომ განმცხადებელი არ მოითხოვს მეორე მხარისგან რაიმეს. მხარეთა შორის დავის არარსებობა იძლევა ბავშვის ქონების განკარგვის თაობაზე თანხმობის მოთხოვნის შესახებ წარმოების უდავოდ მიჩნევის საფუძვლებს.

უძრავი ქონების განკარგვაზე ნებართვის გაცემა ცალსახად უნდა ეფუძნებოდეს საქმეში არსებულ უტყუარ მტკიცებულებებს.

სასამართლოს მიერ ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, საქმის გადაწყვეტისათვის საჭიროა ქონების გასხვისების მიზეზების, მიზნებისა და სავარაუდო შედეგის შესწავლა და ბავშვის მდგომარეობაზე გავლენის შეფასება.

ამასთან, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დადგენას ემსახურება კანონმდებლობით მსგავსი ტიპის დავებში არასრულწლოვნის, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსა და სსიპ - იურდიული დახმარების სამსახურის ჩაბმა, ვინაიდან, საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის დასახელებულ

პირთა მოსაზრებები სასამართლოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

როდესაც საუბარია ბავშვის კუთვნილი უძრავი ნივთის გაყიდვაზე, სასამართლოს შესაფასებელია, რა არის ხელშეკრულების მიზანი, რა ეკონომიკური ღირებულება აქვს გარიგებას, ოჯახის ან უშუალოდ ბავშვთან დაკავშირებული რა საჭიროების დაძლევისათვის ხდება ნივთის გაყიდვა, როგორ იქნება დაცული ბავშვის საუკეთესო ინტერესები, მათ შორის, რას მოხმარდება ნასყიდობის საფასური თუ გასაყოფი ნივთი საცხოვრებელი ბინაა; სასამრთლომ უნდა შეაფასოს, მისი გაყიდვის შემთხვევაში, როგორ იქნება დაცული ბავშვის უფლება, ცხოვრობდეს ოჯახურ გარემოში, სადაც შექმნილი იქნება ყველა აუცილებელი პირობა ჰარმონიული აღზრდა-განვითარებისათვის და სხვა. ამდენად, საქმეში ჩართული ადვოკატი ისევე, როგორც სასამართლო, სიღრმისეულად განიხილავს საქმესთან დაკავშირებულ ყველა დეტალს.

ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება საკუთრების უფლების დაცვისას

ბავშვის საუკეთესო ინტერესი არის მთავარი საზრუნავი ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, რომელიც ბავშვებს უკავშირდება. ადამიანის ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში განმარტა, რომ იმ დავებში, რომლებშიც ბავშვები არიან ჩართულნი, გარემოებათა სადავოობის შემთხვევაში, სწორედ ბავშვის ინტერესებს ენიჭება უდავო მტკიცებულებათა ძალა. ამ მიმართებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აპელირებს „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ დებულებაზე და განმარტავს, რომ ბავშვს უფლება აქვს, მისი საუკეთესო ინტერესი შეფასდეს და მხედველობაში იქნეს მიღებული როგორც უპირატესი ღირებულება ყველა მოქმედებასა და გადაწყვეტილებაში, რომლებიც უკავშირდება მას, ორივე - საჯარო და კერძო სფეროში. სასამართლო პრეცედენტები აჩვენებს, რომ ეს მოსაზრებები მნიშვნელოვანია ასევე ბავშვის ქონებრივი უფლებების დაცვის ნაწილში, რაც პირველი ოქმის პირველი მუხლის რეგულირების სფეროში ექცევა.

ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებებში, იქ, სადაც საკითხი ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ მშობლისა და ბავშვის უფლებებს, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ბავშვის უფლებებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საჭიროა ინტერესთა დაბალანსება, პრიორიტეტულია ბავშვის საუკეთესო ინტერესების კვლევა და მისი შესატყვისი გადაწყვეტილების მიღება.

„ბავშვის უფლებათა კოდექსის“ შესაბამისად, ბავშვის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის შემთხვევაში, სასამართლოს განჩინებით ბავშვს ენიშნება სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატი, რომელიც ასევე იკვლევს თუ რამდენად შეესაბამება არასრულწლოვნის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების რეალიზაციის მოთხოვნა ამ უკანასკნელის ინტერესებს და აფიქსირებს პოზიციას ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ წარმომადგენლობის უფლების განხორციელება დაკავშირებულია არაერთ უმნიშვნელოვანეს საკითხთან, როგორებიცაა: ბავშვის მოსმენა, ბავშვისთვის ინფორმაციის მიწოდება მისთვის შესაბამისი კომუნიკაციის ფორმით, ბავშვის ფსიქო-ემოციური მხარდაჭერა, ბავშვის მოსაზრებების გაგება, გათვალისწინება და სასამართლოსთვის მისი გადაცემა; ამავე დროს, მნიშვნელოვანია, წარმომადგენელი დაეხმაროს მოსამართლეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებასა და დადგენაში. წარმომადგენლობის სათანადოდ განხორციელება მოითხოვს ბავშვის განვითარების, მისი უფლებების, მასთან კომუნიკაციის თავისებურებების შესახებ სპეციალურ ცოდნას და შესაბამისი ეთიკური ასპექტების დაცვას.

თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით, საინტერესოა შემთხვევები, როდესაც არასრულწლოვანი ფლობს თანაზიარი საკუთრების უფლებას, კერძოდ, როცა არასრულწლოვნის სახელზე გაფორმებულია გარკვეული მოცულობის ქონების წილი.

სასამართლოს განმარტებით, ის უძრავი ქონება, რომლის გასხვისებაც სურთ არასრულწლოვნების მშობლებს, ამ უკანაკნელთა საკუთრებასაც წარმოადგენს, რაც თავისთავად ნიშნავს იმას, რომ მშობლებს ეზღუდებათ უფლება, გაასხვისონ მათი კუთვნილი წილი. ამდენად, არასრულწლოვნის თანასაკუთრებაში არსებული ქონების გასხვისების მოთხოვნის განხილვისას, ასევე გათვალისწინებელი უნდა იქნეს სხვა მესაკუთრეთა უფლებები და დაცული უნდა იქნეს ბალანსი შეზღუდვის გარეშე საკუთრების უფლების რეალიზებასა და ბავშვის კუთვნილი ქონების განკარგვისას, სასამართლოს კონტროლის ქვეშ.

უარი ნებართვის გაცემაზე

სასამართლო აღნიშნავს, რომ არასრულწლოვანი პირის ინტერესის გაზომვაში სასამართლო მშობლის მხრიდან დასადები გარიგებისადმი კეთილსინდისიერების ფაქტს ამოწმებს. მშობლის ან მეურვის ნების უპირატესობა მთელ პროცესს თან სდევს და იგი მოსამართლისათვის, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია.

იმ შემთხვევაში, როდესაც მშობელი მოქმედებს მოვალეობათა დარღვევით და სასამართლო შემოწმების შედეგად ეს გამოიკვეთება, სასამართლო კონტროლი ავალდებულებს კიდეც მოსამართლეს უარის თქმას თანხმობის გაცემაზე.

ბავშვის ქონებაზე სასამართლო თანხმობას გასცემს იმ პირობით, თუ განკარგვის შედეგად ამონაღები თანხა მოხმარდება ბავშვის იმ საჭიროებების დაკმაყოფილებას, რომლებიც თავად სასამართლო გადაწყვეტილებაშია მითითებული. გადაწყვეტილებაში მითითებული პირობების შესრულების კონტროლისა და ეფექტიანი მონიტორინგის მექანიზმის არსებობა მნიშვნელოვანია ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით.

სასამართლო არ გასაზღვრავს მსგავსი კატეგორიის საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაზე მონიტორინგის განხორციელების წესს, მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანოს და ამ ორგანოს უფლებამოსილებათა ფარგლებს. ამდენად, მსგავსი კატეგორიის საქმეებზე გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებული პირობების ზედმიწევნით დაცვა თავად განმცხადებლის კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული.

მსგავსი კატეგორიის საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაზე მონიტორინგი შეიძლება დაევალოს სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს იმ შემთხვევაში, თუ სააგენტოს მიენიჭება საკმარისი საკანონმდებლო ინსტრუმენტები მონიტორინგის ეფექტურად განხორციელებისათვის.

მარიამ გოგინაშვილი

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე.

ადრეული და სკოლამდელი განათლების მნიშვნელობა ჯანმრთელობის გრძელვადიანი შედეგებისთვის

ჯანმრთელი ადამიანი თუ განათლებული ადამიანი?

თქვენ რომელს აირჩევდით, ერთ-ერთი მათგანის არჩევა რომ გიწევდეთ?

რთულია არჩევანის გაკეთება...

და მაინც, რა არის ჯანმრთელობა? ან რა გავლენა აქვს ადრეული ბავშვობის განათლებას ადამიანის ჯანმრთელობაზე გრძელვადიან პერსპექტივაში?

წინამდებარე სტატიაში გამოგზაურებთ ჯანმრთელობისა და განათლების სფეროებში; გამოვყოფთ ძირითად ელემენტებს; ვისაუბრებთ, რა გავლენა აქვს ადრეულ განათლებას ჯანმრთელობაზე და, რაც მთავარია, თითოეულ ჩვენგანზე - ადამიანებზე.

რა არის ჯანმრთელობა?

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია ჯანმრთელობას განმარტავს, როგორც მენტალური, ფიზიკური და სოციალური კეთილდღეობის მდგომარეობას და არამხოლოდ დაავადების ან უძლურების არარსებობას[1].

2018 წელს, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO), გაეროს ბავშვთა ფონდისა (UNICEF) და მსოფლიო ბანკის ერთობლივი ძალისხმევით, შემუშავდა სააღმზრდელო მოვლის ჩარჩო[2], რომელიც გამოყოფს 5 ძირითად ელემენტს, ესენია:

- ფიზიკური ჯანმრთელობა
- ჯანსაღი კვება
- უსაფრთხოება და დაცულობა
- მზრუნველი გარემო
- ადრეული განვითარების შესაძლებლობა

ხუთივე ელემენტის ერთობლიობა ქმნის მენტალური, ფიზიკური და სოციალური კეთილდღეობისთვის აუცილებელ გარემოს, რაც ჯანმრთელობის წინაპირობაა. მიმოვიხილოთ, თუ რა საკითხებს მოიცავს თითოეული ელემენტი და რა კავშირი აქვს ადრეული განათლების სერვისებს მათ შექმნასა და განვითარებაში.

1 ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის კონსტიტუცია https://www.who.int/about/governance/constitution

2 სააღმზრდელო მოვლის ჩარჩო https://nurturing-care.org/

ძლიერი იმუნური სისტემა - ალბათ გსმენიათ, რომ საბავშვო ბაღებში ბავშვები ხშირად ავადობენ. ხშირია სეზონური გრიპები, სურდო, ხველა, გაციება და მათი იმუნიტეტი ძალზე მოწყვლადია. ნამდვილად ეხმარება ადრეულ ასაკში ვირუსებთან ბრძოლა იმუნურ სისტემას გაძლიერებაში?

ახალშობილებს აქვთ თანდაყოლილი იმუნური სისტემა, რომელიც გარკვეულწილად იცავს მათ გარემოში არსებული ბაქტერიებისა და ვირუსებისგან. ძუძუთი კვების ასაკში მყოფი ჩვილები დედის რძით იღებენ ანტიბაქტერიებს, რომლებიც ეხმარება მათ იმუნიტეტს გარემოსთან ადაპტაციაში. თუმცა, სკოლამდელი ასაკის ბავშვების იმუნიტეტი მართლაც რომ ყველაზე მოწყვლადია. ეს იწვევს იმას, რომ გარემოში არსებულ პათოგენებთან შეხვედრისას ბავშვის ორგანიზმი ავადობს და სისუსტეს ამჟღავნებს, თუმცა, იმავდროულად, ორგანიზმში გამომუშავდება ანტისხეულები, რომლებიც აძლიერებს იმუნურ სისტემას და მომავალ წლებში, მსგავს პათოგენებთან კონტაქტისას, ბავშვის სხეულს უკვე ექნება ვირუსებთან ბრძოლის უნარი. აღნიშნულ ფაქტს არაერთი კვლევა ამყარებს და ეს არ არის მხოლოდ ზეპირსიტყვიერი მსჯელობა[3].

შესაბამისად, ადრეული განათლების სისტემაში ჩართულობა ეხმარება ბავშვის სხეულს, გამოიმუშაოს ვირუსებთან ბრძოლის იმუნიტეტი, რაც სამომავლოდ ავადობის ბუნებრივ პრევენციას წარმოადგენს.

პრევენციული ზრუნვა ჯანმრთელობაზე - ადრეულ ასაკში ბავშვის ფიზიკური ჯანმრთელობის განვითარების ბენეფიტებიდან არ შეიძლება, რომ არ გამოვყოთ პრევენციული ზრუნვის კომპონენტი. პრევენციული მიდგომებიდან საბავშვო ბაღების როლი ცალსახაა იმუნიზაციის, მშობლებისა და ბავშვების განათლების საკითხებში. საბავშვო ბაღებში უმეტესად აღირიცხება ბავშვის გეგმიური ვაქცინაციის შესახებ ჩანაწერები, ან/და ხდება პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის შესახებ ინფორმაციის გაცვლა მშობლებსა და ჯანდაცვის სფეროს პირველადი რგოლის წარმომადგენლების შორის. საქართველოში ვაქცინაცია არ არის სავალდებულო ხასიათის, თუმცა ერთმნიშვნელოვნად რეკომენდებულია. „იმუნიზაცია ყოველწლიურად მილიონობით ბავშვს იცავს სიკვდილის და ჯანმრთელობის მდგომარეობის მძიმე დარღვევებისაგან. იმუნიზაცია სრულყოფილად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ:

- 1 წლამდე ასაკში ბავშვს ჩატარებული აქვს 10 აცრა: ბცჟ, ჰეპ ბ(0), 3 (დყტ+ჰეპ ბ+ჰიბ), 3 ოპვ და 2 როტავირუსული ინფექციის საწინააღმდეგო აცრა;
- 1 წლიდან 2 წლამდე ასაკში 3 აცრა: წწყ, დყტ და ოპვ ;
- 5 წლის ასაკში 3 აცრა: დტ, ოპვ და წწყ;
- 14 წლის ასაკში 1 აცრა – ტდ.ა“[4]

საბავშვო ბაღების როლი დიდია ჯანსაღი გარემოს შექმნაში, რაც გამოიხატება დაავადების გამოვლენამდე პრევენციული ღონისძიებების გატარებით. ჯანსაღი გარემოს, შესაბამისი ინფორმაციული წვდომის, ჰიგიენის, ნუტრიციისა და ფიზიკური აქტივობის პროპაგანდით, ბაღი ხელს უწყობს მშობლებისა და ბავშვების ცნობიერების გაზრდას და სამომავლოდ შესაძლებლობას აძლევს მათ, გაცნობიერებული არჩევანი გააკეთონ ჯანმრთელი მომავლისთვის. ამასთან, აღნიშნული ცნობიერება ქმნის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის განვითარების ბაზისს.

ადრეული ჩარევის ხელმისაწვდომობა - ადრეულ ასაკში ბავშვების სოციალური წრე შეზღუდულია და შემოიფარგლება მხოლოდ ოჯახის წევრებით. საბავშვო ბაღში სოციალურ გარემოსთან ბავშვის შემხებლობა ზრდის სხვადასხვა გამღიზიანებელზე რეაქციის გამოვლენის ალბათობას, რაც შესაძლებლობას აჩენს ადრეული ინტერვენციების დაგეგმვისა და განხორციელებისთვის. გარემოს გამღიზიანებლებში შეიძლება მოვიაზროთ მოტორული განვითარების დაბრკოლებებისა და გამოწვევების გადალახვა, ემოციური და სოციალური უნარების გამოვლენის შესაძლებლობები, როგორიც არის გაზიარების, ემპათიის, თვითკონტროლის, მოთმინების უნარების გამომუშავების საჭიროება, მენტალური უნარების გამოყენების შესაძლებლობები, მრავალფეროვან საკვებ პროდუქტებთან შემხებლობის ფონზე აუტანლობის/ალერგიის გამოვლენის საშუალება და სხვა მრავალი.

ადრეული განათლების სისტემა ხსნის მრავალფეროვანი გამოცდილებების მიღების ფანჯარას ბავშვებისთვის და, შესაბამისი საჭიროების შემთხვევაში, ზრდის ადრეული ინტერვენციის შესაძლებლობებს, რაც უმნიშვნელოვანესია ადრეული აღმოფხვრისა თუ მართვისთვის. ამასთან, საბავშვო ბაღები მშობლებისთვის წარმოადგენენ ბავშვის საჭიროებებზე მორგებული სერვისების შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროს. ეხმარებიან მშობლებს ამ სერვისის მიმწოდებლებთან დაკავშირებაში, კვალიფიციური კონსულტაციისა თუ მომსახურების მიღებაში.

3 Nabta health – Article: Can Daycare Build Your Child's Immune System

4 დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

დაბალანსებული საკვები და აქტიური დღის განრიგი - ადრეულ ასაკში ბავშვის ორგანიზმი როგორც ემოციური, ასევე ფიზიოლოგიური მიმართულებით ყალიბდება და გამოიმუშავებს იმ ძირითად უნარებსა და ჩვევებს, რომლებიც სამომავლოდ ჯანსაღი ფუნქციონირებისთვის არის აუცილებელი. დღის განრიგი, რუტინული აქტივობები და დაბალანსებული აქტიური დღე ამ ჩვევების ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია. აქტიური დღის განრიგი უზრუნველყოფს, რომ ბავშვს თანაბრად მიეცეს შესაძლებლობა, საკუთარი ძალები მოსინჯოს გონებრივი, ფიზიკური თუ სოციალური განვითარების სფეროებში. სხვადასხვა ფიზიკური აქტივობა ეხმარება ბავშვს ორგანიზმის საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის - ძვლებისა და კუნთების განვითარებაში, კოორდინაციისა და მოტორული უნარების ჩამოყალიბებაში; მეხსიერების, მეტყველებისა და ანალიტიკის უნარებს კი იგი კვლევა-აღმოჩენებში, დრამატულ თამაშებსა და სხვა აქტივობებში ჩართულობით ივითარებს. თამაშებისა და აქტივობების მრავალფეროვანი აქტიური გეგმის შესრულებისთვის საჭიროა დაბალანსებული კვებით მიღებული ენერგია. კვებებს შორის დაცული ინტერვალი, ერთსა და იმავე დროს შეთავაზებული საუზმე, სადილი და ვახშამი, ხელს უწყობს ორგანიზმის ბიოლოგიური საათის ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას; მეტაბოლური პროცესების სწორად მიმდინარეობას, რაც უზრუნველყოფს საკვების სათანადო რაოდენობით მიღებას და მიღებული საკვების გარდაქმნას ორგანიზმისთვის საჭირო ენერგიად.

ნაბიჯი მეორე - ჯანსაღი კვება

ჯანსაღი კვების მნიშვნელობა ადრეულ ასაკში - ჯანსაღი და დაბალანსებული კვება ამარაგებს ბავშვის ორგანიზმს იმ საჭირო ნუტრიენტებით, რომლებიც აუცილებელია ზრდის, სწავლის, თამაშისა და სოციალიზაციისთვის. ის ამარაგებს სხეულს საჭირო ენერგიით, ტვინს - ფუნქციონირებისთვის საჭირო მინერალებითა და ვიტამინებით და აბალანსებს ჰორმონალურ ფონს ემოციური რეგულირებისთვის. მარტივად, როდესაც ბავშვი კარგად გრძნობს თავს ფიზიკურად, ის კარგად გრძნობს თავს ემოციურადაც. ადრეულ ასაკში ჩამოყალიბებული სწორი კვებითი ჩვევები ზრდასრულობაში სხვადასხვა დაავადების რისკს ამცირებს. რისკები შესაძლოა წარმოიქმნას როგორც საკვები პროდუქტების დეფიციტური მიწოდების, ასევე მათი ჭარბი მოხმარების შემთხვევაში. შესაბამისად, დაბალანსებული კვება ერთადერთი სწორი გადაწყვეტილებაა. ქვემოთ გაეცნობით მხოლოდ მცირე ჩამონათვალს იმ რისკებისა, რომლებიც შესაძლებელია დაუბალანსებელი კვების შედეგად განვითარდეს და სამომავლო ავადობის რისკები გაზარდოს.

- არასწორი კვებითი ჩვევებით იზრდება ორგანიზმის სიმსუქნისკენ მიდრეკილების რისკი;
- ხორც-პროდუქტების შეზღუდვა ზრდის რკინის ნაკლებობის რისკს. რკინა ანაწილებს ორგანიზმში ჟანგბადს, რომელიც მნიშვნელოვანია ფიზიკური და გონებრივი განვითარებისთვის და რომლის ნაკლებობაც იწვევს უენერგიობას;
- რძის პროდუქტების შეზღუდვა დაკავშირებულია კალციუმის ნაკლებობის რისკთან; კალციუმი საჭიროა ძვლების სისტემის განვითარებისთვის განსაკუთრებით ზრდის პერიოდში; კალციუმის ნაკლებობამ სამომავლოდ შესაძლოა გამოიწვიოს ოსტეოპოროზი ან ძვლების სისუსტე;
- თევზისა და ზღვის პროდუქტები შეიცავს ომეგა-3 ცხიმოვან მჟავებს, რომლებიც აუცილებელია გულ-სისხლძარღვთა სისტემის ჯანმრთელობისთვის, თვალებისა და თავის ტვინის განვითარებისთვის.
- ნახშირწყლებით გაჯერებული საკვები მნიშვნელოვანია ტვინის უჯრედებისთვის და მეტაბოლური სისტემის ფუნქციონირებისთვის;
- არასაკმარისი ბოსტნეულისა და ხილის მიღება იწვევს აუცილებელი ვიტამინებისა და მინერალების დეფიციტს. ასევე, უჯრედისი საჭიროა ნაწლავების გამართული ფუნქციონირებისთვის, დაბალანსებული მიწოდება აყალიბებს ნაწლავური სისტემის მუშაობის ჩვევას ორგანიზმში;
- ცხიმი ადამიანის ორგანიზმში არსებული მრავალი ჰორმონის საბაზისო ნივთიერებაა და უჯრედის მემბრანის შემადგენელი ნაწილია ცილასთან ერთად; ცხიმის შეზღუდვა ან ნაკლებობა იწვევს უჯრედულ რღვევას და ჰორმონალურ დისბალანსს;
- ვიტამინების საკმარისი რაოდენობის გარეშე

შეუძლებელია სრულყოფილი ფუნქციონირება - იმუნური სისტემის, რეპროდუქციის, სხვადასხვა ორგანოს ზრდა-განვითარების (მხედველობა, ძვლოვანი სისტემა, კბილები, ფარისებრი ფუნქცია), სწავლის უნარის, ნივთიერებათა ცვლის, ორგანიზმის თავდაცვის უნარიანობისა და სხვა მრავალი[5].

ჯანსაღი კვების ჩვევების ჩამოყალიბებაში თანაბარმნიშვნელოვნად მონაწილეობენ ადრეული განათლების მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციები და ოჯახები. საბავშვო ბაღების როლი დაბალანსებული კვების მიწოდებაში განსაკუთრებით იზრდება განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, სადაც ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობა და შესაძლებლობები არ არის საკმარისი ბავშვების სრულფასოვანი და დაბალანსებული კვებით უზრუნველყოფისათვის. ეკონომიკური ფაქტორი რომ გამოვრიცხოთ, ყველა ადამიანს არ აქვს შესაბამისი ცოდნა და დრო იმისათვის, რომ ოჯახში ბავშვებს მოუმზადოს და შესთავაზოს დაბალანსებული კვება. შესაბამისად, ადრეული განათლების სერვისები მნიშვნელოვან როლს ასრულებს, როგორც ბავშვებისთვის სრულფასოვანი ნუტრიენტული ღირებულების საკვებით უზრუნველყოფის (უფასო/ფასიანი), ასევე ჯანსაღი კვებითი ჩვევების გამომუშავების საკითხში:

- დაბალანსებული მენიუს შეთავაზებით
- მრავალფეროვანი პროდუქტის გამოყენებით
- საკვები პროდუქტების საჭირო და საკმარისი გადანაწილებით
- უსაფრთხო კვების უზრუნველყოფით
- კვების განრიგის დაცვით
- ჭამის პროცესში როლური და სოციალური მოდელების გამოყენებით

ნაბიჯი მესამე - უსაფრთხოება და დაცულობა

უსაფრთხოებისა და დაცულობის მნიშვნელოვნებასა და აბრაჰამ მასლოუს მოთხოვნილებათა პირამიდის საბაზისო ელემენტებზე საუბრით თავს არ შეგაწყენთ. რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ ადამიანი ადრეული ბავშვობიდან იზრდებოდეს ისეთ გარემოში, სადაც მიიღებს დაცულობის შეგრძნებას? რას აძლევს ეს მას? რაში ეხმარება ან ზღუდავს?

იმ შემთხვევაში, თუ ადრეულ ასაკში ბავშვი არ გრძნობს თავს უსაფრთხოდ, ის თავს იკავებს სიახლეების ძიების, გამოკვლევისა და სხვადასხვა ტიპის აქტივობებში ჩართულობისგან. აქტიური დღის განრიგი და მრავალფეროვან აქტივობებში ჩართულობის მნიშვნელობაზე ზედა ნაწილში ვისაუბრეთ და ცალსახაა მისი ყოფითი მნიშვნელობა ადამიანის განვითარებისა და ჩამოყალიბების გზაზე. უსაფრთხოება ორ ნაწილად გავყოთ: ემოციური და ფიზიკური უსაფრთხოება. ემოციური უსაფრთხოება მოიცავს პროგნოზირებად გარემოს, მაღალ მიმღებლობას და განსჯა-შეფასებისგან დაცლილ გარემოს, რესპონსულ მზრუნველს (აღმზრდელი, მშობელი...). და სხვა. ფიზიკური უსაფრთხოება მოიცავს ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით ადაპტირებულ ფიზიკურ რესურსებს (ოთახი, ეზო, ავეჯი, სათამაშოები, ტუალეტი...) ფიზიკური დაზიანებისა და ტრავმებისადმი ტოლერანტულ სივრცეებს, ფიზიკური ძალადობის არარსებობას და სხვა.

სტატიის ამ ნაწილში აუცილებლად უნდა შევეხოთ ბავშვთა მიმართ ძალადობის ფორმებსა და იმ საგანგაშო ნიშნებს, რომელთა შემჩნევა და მათზე რეაგირება, ერთი მხრივ, გადაუდებელია და, მეორე მხრივ, ადამიანის ბაზისური მოთხოვნილების - უსაფრთხოებისა და დაცულობის შეგრძნების დაკმაყოფილებისთვის აუცილებელი.



ბავშვზე ძალადობის ფორმებია:

- **ფიზიკური ძალადობა** - ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას.
- **სექსუალური ძალადობა** - ბავშვთან სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით. სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება ბავშვის მიმართ. მაგ.: ბავშვისთვის სექსუალური შინაარსის ინფორ-

5 კვების გაიდლაინი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებისათვის - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. 2016.

მაციის მიწოდება, პორნოგრაფიული მასალის ჩვენება.

- **ფსიქოლოგიური ძალადობა** - შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ბავშვის პატივისა და ღირსების შელახვას ან დაშინებას. მაგ.: ბავშვის მოხსენიება დამამცირებელი სახელებით, უფროსების ჩხუბი ბავშვის თანდასწრებით.
- **ეკონომიკური ძალადობა** - ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლებების შეზღუდვას. მაგ.: მშობელი არ ზრუნავს ბავშვის კვებაზე.
- **იძულება** - ბავშვის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს ქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ან საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება.
- **უგულებელყოფა** - მშობლის ან სხვა პირის მიერ ბავშვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვა, საფრთხისაგან დაუცველობა, დაბადების რეგისტრაციის ან ბავშვისათვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოწესრიგებაზე უარის თქმა.

როდის უნდა გაგვიჩნდეს ძალადობაზე ეჭვი?

- თუ ბავშვს აღენიშნება **ფიზიკური დაზიანების კვალი** (ნაკაწრები, ჩალურჯებები, მოტეხილობები...)
- თუ ბავშვის **ემოციური ფონი არასტაბილურია** - ხასიათი ხშირად ეცვლება, აღგზნებულია, დათრგუნულია, შეშინებულია, მუდმივად არ სურს კონკრეტულ ადგილზე დაბრუნება...
- თუ ბავშვი **რეგულარულად არ ჩნდება ბაღში**, სკოლაში, მეგობრებთან და სხვა.
- **ჩართულია ბავშვისთვის შეუფერებელ საქმიანობაში** - მუშაობს, ეკონომიკურად აქტიურია...
- **ბავშვი არის მოუწესრიგებელი** - ჭუჭყიანი, მოუწესრიგებელი ტანსაცმლით...
- ბავშვი **ხშირად იცვლის საცხოვრებელს** - რჩება ნათესავებთან, მეზობლებთან, ახლობლებთან...

ადრეულ ასაკში განსაკუთრებით მოწყვლადია ბავშვი და მისი დაცვისა და განვითარების პასუხისმგებლობა თითოეული ადამიანის კანონისმიერი და მორალური ვალდებულებაა. ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებები ოჯახებთან ერთად საკვანძო როლს ასრულებენ ბავშვთა დაცვის მიმართულებით. ეს ორი სოციალური სივრცე, სადაც ბავშვები ძირითად დროს ატარებენ, ერთმანეთის შემავსებელი და მაკონტროლებელია ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასაცავად.

ადრეული განათლების სისტემა ჩართულია არა მხოლოდ ბავშვისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნაში, შენარჩუნებასა და განვითარებაში, არამედ ბავშვებისთვის და მშობლებისთვის შესაბამისი ცოდნის გაზიარებისა და გაცნობიერების საკითხებშიც. ადრეული ასაკიდან გაცნობიერებული საკუთარი და სხვისი უფლებები ხელს უწყობს განმავითარებელი გარემოს შექმნას, საკუთარი და სხვების უფლებების გაცნობიერებასა და პატივისცემის გამომუშავებას. ოჯახებისა და მშობლებისთვის სათანადო ცოდნისა და რეაგირების გზების შესახებ ცოდნის მიწოდება კი გაუცნობიერებელი ქცევის პრევენციას ახდენს.

ნაბიჯი მეოთხე - მზრუნველი გარემო

ადრეული განათლების სერვისი - საბავშვო ბაღი არის ბავშვის სოციალური გარემო. ბაღში ბავშვს აქვს შეხება და ცხოვრობს იმიტირებულ ზრდასრულ გარემოში, რაც ტრანზიციის საუკეთესო საშუალებაა. საბავშო ბაღში ბავშვი სწავლობს და ივითარებს შემდეგ უნარებს:

- **ფიზიკური და სენსორული უნარები** - ეხმარება, ზრდასრულ ასაკში მსხვილი და ნატიფი მოტორული ქმედებები შეასრულოს;
- **სოციალურ-ემოციური უნარები** - სჭირდება პოზიტიური ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად როგორც გარშემომყოფებთან, ისე საკუთარ თავთან, იმისათვის, რომ შეიცნოს საკუთარი თავი და გარემო;
- **კომუნიკაციის უნარები** - სჭირდება, რათა გამოხატოს საკუთარი აზრი, დაამყაროს სოციალური და საქმიანო კონტაქტი;
- **კოგნიტური უნარები** - სჭირდება აზროვნების, ცნობისმოყვარეობის, შემეცნებისთვის და სხვა;
- **დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევა** - ასწავლის თანამედროვე სამყაროში გამოწვევებთან გამკლავებას.

რესპონსული ზრუნვა ადრეული ასაკიდან ნიშნავს, რომ მშობელი, აღმზრდელი ან სხვა მზრუნველი ამჩნევს, გებულობს და დროულად და ადრექვატურად რეაგირებს ბავშვის სიგნალებზე. ამგვარი ქცევა ბავშვისადმი უზრუნველყოფს უსაფრთხო მიჯაჭვულობის განცდას, ემოციურ წონასწორობას, რაც კონგიტური განვითარების ხელშემწყობია.

ნაბიჯი მეხუთე - ადრეული განვითარების შესაძლებლობები

ადრეული განვითარების შესაძლებლობები ბაღშიც და ოჯახშიც მორგებული უნდა იყოს ყველა ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე, ინტერესებსა და შესაძლებლობებზე.

მე რომ ბავშვი ვიყო:

კარგად ვარ, როდესაც არაფერი მტკივა

კარგად ვარ, როდესაც არ მშია

კარგად ვარ, როდესაც არ მცივა

კარგად ვარ, როდესაც არაფერი მაშინებს

კარგად ვარ, როდესაც იმედი მაქვს, რომ იქ სადღაც არის დედა, მამა, მასწავლებელი..., რომელიც დამეხმარება

კარგად ვარ, როდესაც მეხუტებიან და ვიცი, რომ ვუყვარვარ

კარგად ვარ, როდესაც შემიძლია ისე ვითამაშო, როგორც მე მინდა და შემიძლია

კარგად ვარ, როდესაც სხვა ბავშვებსაც ვხედავ

კარგად ვარ, როდესაც მეც მათამაშებენ

კარგად ვარ, როდესაც არ მაძალებენ იმის კეთებას, რაც არ მომწონს

კარგად ვარ, როდესაც ვიცი რა ხდება გარშემო

დაამატეთ თქვენი შვილის, თქვენ გარშემო ბავშვების მოსაზრებები

კითხეთ მათ, აბა დაასრულე წინადადება:

კარგად ვარ, როცა.....
კარგად ვარ, როცა.....
კარგად ვარ, როცა.....
კარგად ვარ, როცა.....
კარგად ვარ, როცა.....

ადრეული და სკოლამდელი განათლების გავლენა და მნიშვნელობა ცალსახად გამოიკვეთა ადამიანის ჯანმრთელობის სხვადასხვა მიმართულების ჩამოყალიბების, განვითარებისა და შენარჩუნებისთვის. უპირველეს ყოვლისა, ადრეული განათლება გადამწყვეტ როლს თამაშობს ჯანსაღი ჩვევებისა და ცხოვრების სტილის ჩამოყალიბებაში, ვინაიდან ბავშვობის ასაკში ყალიბდება ნუტრიციული, ფიზიკური აქტივობის, ჰიგიენისა და ემოციური უსაფრთხოების განცდისთვის საჭირო ჯანსაღი ჩვევები, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ქმნის ზრდასრული ადამიანის ქცევის სტილს. ადრეულ ასაკში შეძენილი ჯანსაღი ცხოვრების ჩვევები ფუნდამენტს ქმნის ჯანმრთელობის ისეთი რისკების შესამცირებლად, როგორებიცაა სიმსუქნე, დიაბეტი, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები.

ამასთან, ადრეული განათლება ავითარებს ადამიანის კოგნიტურ, სოციალურ-ემოციურ, ფიზიკურ შესაძლებლობებს, რაც ქმნის მზაობას სამომავლო აკადემიური წარმატებისთვის; პრობლემების გადაჭრის, გადაწყვეტილების მიღების, კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებისთვის; ემპათიის, ეფექტური კომუნიკაციისა და მრავალი სხვა საბაზისო უნარის გამომუშავებისთვის. ეს საბაზისო უნარები კი მთელი ცხოვრების განმავლობაში ესაჭიროება და ეხმარება ადამიანებს სრულფასოვან ცხოვრებაში.

ბიბლიოგრაფია:

- *ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ; საქართველოს მთავრობის დადგენილება 488*
- *https://matsne.gov.ge/ka/document/view/3838798?publication=0*
- *ადრეული და სკოლამდელი განათლების ხარისხის სტანდარტის გზამკვლევი ავტორები: ნინო ჯიჯავაძე, თამთა კუხალეიშვილი 2019*
- *https://www.unicef.org/georgia/media/3041/file/skolamdeli-ganatlebis-standarti.pdf*
- *ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მეთოდოლოგია; სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი 2024*
- *https://www.eqe.ge/res/NewFolder%202/NewFolder/4.6%20%E1%83%91%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%96%E1%83%94%20%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%94%E1%83%AD%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98%20%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%97%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90.pdf*
- *ბავშვის უფლებათა კოდექსი; საქართველოს პარლამენტი 2019*
- *https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=7*
- *კვების გაიდლაინი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებისათვის*
- *https://www.unicef.org/georgia/media/1031/file/%E1%83%99%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%98%E1%83%93%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%98.pdf*
- *ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის კონსტიტუცია https://www.who.int/about/governance/constitution*
- *Can Daycare Build Your Child's Immune System? Nabta Health 2019*
- *https://nabtahealth.com/articles/can-daycare-build-your-childs-immune-system/*
- *Child safety from the perspective of essential needs; National Library of Medicine*
- *https://pmc.ncbi.nlm.nih.gov/articles/PMC4292654/*
- *Improving early childhood development – world health organization https://www.who.int/publications/i/item/9789240002986*
- *Nurturing care framework https://nurturing-care.org/*
- *Nutrition – school age to adolescence - The Royal Children's Hospital Melbourne https://www.rch.org.au/kidsinfo/fact_sheets/Nutrition_older_children/*

www.tpdc.ge